



პაატა ნაცვლიშვილი


ვეფხისტყაოსანი

ფრაგმენტი პირველი: კენიის კენწეროები

თუცა ქალს ვიტყვით ხელმწიფედ, დია ღვთის ქვეშევრდომისა,
არ გათნვით, იცის მეფობა, შემობრუნება ომისა,
მზისაებრ გაზაფხულეა ზამთრის და შემოდგომისა.
ორივ ერთია, ძუ იყოს, თუნდ ხვალი ლეკვი ლომისა.


ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერი. ჩვ. წ. ა. XXI ს.

იმის მიუხედავად, რომ იმ წელიწადს ისეთი ხალხი მოვევლინა ქვეყანას, როგორც არიან, ვთქვათ, მეფე ფუადი, თეოფილო სტივენსონი, სტივენ სიგალი, ვლადისლავ ტრეტიაკი, როჟე მილა, პეტარ სტოიანოვი, ბრონისლავ კომოროვსკი, ორჰან ფამუკი, იზაბელა როსელინი, ჯიმი კონორსი, ოსვალდო არდილესი, გილერმო ვილასი, ნელსონ პიკე, რიში კაპური, მიკი რუკი, სილვია კრისტელი, ემომალი რახმონი, ვლადიმირ პუტინი, ლუდმილა ტურიშჩევა, ნიკოლაი ანდრიანოვი, ფრენსის ფუკუიამა, ოლეგ ბლოხინი და სხვები, 1952 წლის მთავარი მოვლენა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მაინც ჩემი დაბადება იყო საქართველოს დედაქალაქ თბილისში 16 ოქტომბრის საღამოს, ხოლო მთავარი იყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უამისოდ ის ყველაფერი, რასაც ქვემოთ ნაიკითხავს თავდადებული და დაუძინებელი მკითხველი, ან რაც აქამდე ნაუკითხავს ჩემი, უბრალოდ ვერ დაინერებოდა, მაგრამ ამ მთავარი მოვლენის გარდა, როგორც ჩემი დავაუკაცებისა და განსწავლის შემდეგ შევიტყვე, იმ წელიწადს დედამინაზე სხვაც არაერთი მნიშვნელოვანი რამ მომხდარა, რომელთა ჩამოთვლა ადგილსა და დროს კი წაიღებს, თუმცა არა მგონია, საინტერესო არ იყოს, ვთქვათ, თუნდაც ის ამბავი, რომ ჩემი დაბადებიდან მესამე დღეს, 19 ოქტომბერს, დაიწყო თავისი 65-დღიანი მოგზაურობა ფრანგმა ექიმმა და მერე პოლიტიკოსმაც ალან ბომბარმა, რომელმაც პატარა იალქნიანი გასაბერი ნავით მარტოდმარტომ გადაცურა ატლანტის ოკეანე სურსათისა და წყლის ყოველგვარი მარაგის გარეშე, რის შედეგადაც დაამტკიცა, რომ ადამიანი ამგვარ ურთულეს პირობებშიც შეიძლება გადარჩეს და რის შემდეგაც დაწერა ჩემი სიყმაწვილის ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნი „ბორტს მიღმა საკუთარი ნებით“, ხოლო ჩემი კიდევ ერთი უსაყვარლესი წიგნის ავტორმა ტურ შეიერდალმა 1952 წელს „ოსკარი“ დაიმსახურა 1947 წელს წარმატებით განხორციელებული მისი არაჩვეულებრივი ექსპედიციის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმისათვის „კონ-ტიკი“, და ესენიც რომ არა, განა შეიძლება იმის არაღნიშვნა, რომ სწორედ 1952 წელს, 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე პელსინკში გაიმართა XV ოლიმპიადა, რომელიც პირველი იყო საბჭოთა კავშირისათვის და რომლის შემდეგ, ოთხი ათეული წლის განმავლობაში, ოლიმპიური თამაშები ორი სპორტული გიგანტის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქეობის ნიშნით იქნება აღბეჭდილი და ოთხ წელიწადში ერთხელ ცივი ომის ყველაზე ცხელ წერტილად მოვევლინება მსოფლიოს, რომელიც უკვე 1952 წელს გააკვირვებს თავისი მიღწევებით საბჭოთა ოლიმპიელებმა, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ და სწორედ ქართველმა ნინო დუმბაძემ მოიპოვა პირველი საბჭოთა ოლიმპიური მედალი, როცა მესამე ადგილი დაიკავა დისკობოლი ქალთა შეჯიბრებაში, ხოლო სხვა ქართველებმა კიდევ რვა ოლიმპიური ჯილდო დაიმსახურეს, რომელთაგან ერთი ოქროს მედალი პირდაპირ მოსკოვში წაიღო სტალინის პირადი დაცვის წევრმა, იმ დროინდელი მსოფლიოს უძლიერესმა მძიმეწონოსანმა ფალავანმა არსენ მეკოკიშვილმა, ვინც საბჭოთა ნაკრებში მოსკოვის სახელით შეიყვანეს, ხოლო დანარჩენი ჯილდოები, რომელთა შორის სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალია, ისევ მოსკოვის გავლით საქართველოში ჩამოიტანეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა დავით ციმაკურიძემ, მზია ჯულელმა და რაფაელ ჩიმიშვიანმა და აგრეთვე ოლიმპიადის პრიზიორებმა ლევან სანაძემ, ოთარ ქორქიამ, ნოდარ ჯორჯიკიამ და ნადეჟდა ხნიკინა-დვალისვილმა, რითაც მათ საფუძველი დაუდეს საქართველოს ოლიმპიურ ისტორიას, თუმცა კი იმ თამაშებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, და ბარემ აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ საბჭოთა კავშირის გარდა ის ოლიმპიადა სადებიუტო იყო ისრაელისთვისაც, რომელიც მანამდე სამი წლით ადრე შეიქმნა, როგორც სახელმწიფო და ოლიმპიური თუ სპორტული წარმატებებით მაშინ კი არა, დღესაც დიდად ვერაფრით დაიკვეხნის, სხვა მხრივ კი, ოლიმპიადიდან სამი თვეც არ იყო გასული, რომ ისრაელის პირველმა პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გუ-



რიონმა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ხაიმ ვაიცმანის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის აბა ებანის მეშვეობით, პრინსტონის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორს, 1921 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს ალბერტ აინშტაინს ისრაელის პრეზიდენტის პოსტი შესთავაზა, რაზეც მან თავაზიანი უარი განუცხადა ისრაელის ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელ მამას და აქვე მასხენდება კიდევ ერთი იმწლებანდელი მამა, კლიველენდის რადიოს დისკ-ჟოკეი ალან ფრიდი, რომლის თაოსნობითაც 1952 წლის 21 მარტს კლიველენდში გაიმართა ისტორიაში პირველი როკ-ნ-როლის კონცერტი და რომელიც თავად ტერმინ „როკ-ნ-როლ“ ის მამად ითვლება და ეს ტერმინი მსოფლიოში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის იმავე პერიოდში წარმოთქმული იმ ცნობილი სიტყვების პარალელურად გავრცელდა, რომლებშიც მან კაპიტალიზმის თანდაყოლილ მანკად სიმდიდრის არათანაბარი განაწილება, ხოლო სოციალიზმის თანდაყოლილ ღირსებად სიღარიბის თანაბარი განაწილება მიიჩნია და მისი ეს ფრთიანი სიტყვები იმდროინდელი ბეჭდური მედიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ამერიკულმა ჟურნალმა „ლაიფ“მაც აიტაცა, მგონი, სულაც იმავე, ანუ 1952 წლის 1 სექტემბრის ნომერში, როცა დაბეჭდა ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, რომელიც ერთი კვირის შემდეგ, 8 სექტემბერს უკვე ცალკე წიგნადაც გამოიცა,

II-III



შემდეგი ნომერი ბამოვა ერთ კვირაში — 5 ივნისს



დასაწყისი პირველ გვერდზე

პაატა ნაცვლიშვილი

ვეფხისტყაოსანი

ფრაგმენტი პირველი: კენიის კენწეროები

თუმცა ყველაზე საინტერესო აქ ალბათ ის არის, რომ ეს უფროსი საზოგადოებრივი-გრილი იყო მხატვრული ლიტერატურისადმი და კიდევ ის, რომ უფროსის წინა ნომერში, სადაც რედაქციამ ჰემინგუის მოთხრობა დააანონსა, გამოქვეყნდა მწერლის ბარათი „ლაიფ“ის რედაქტორებს, რომელთაც ის იმ წერილში ბიჭებად მოიხსენიებს და რომელთაც სწერს, რომ ძალიან განიცდის ამ მოთხრობის ბედს და მისი „ლაიფ“ში გამოქვეყნება მისთვის უფრო დიდ ბედნიერებად მიიჩნია, ვიდრე ნობელის პრემია იქნებოდა და თითქოს მისი სიტყვების გამოძახილიაო, ჰემინგუეი სწორედ ამ მოთხრობაში მიიღებს ნობელის პრემიას ორი წლის შემდეგ, ხოლო 1952 წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში ფრანგ ფრანსუა მორიას მიენიჭა თავის რომანებში „ადამიანური დრამის მაღალმხატვრული ასახვისა და ღრმა სულიერი განჭვრეტისათვის“, ხოლო ფიზიკაში იმ წლის ნობელი მიიღეს ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მამებმა, შვეიცარიელმა ფელიქს ბლოხმა და ამერიკელმა ედუარდ პარსელმა, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი კი ფრანგი და გერმანელი ექიმი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი და მუსიკოსი ალბერტ შვაიცერი გახდა იმ გამორჩეული მისიონერული მოღვაწეობისათვის, რასაც იგი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ფრანგული ეკვატორული აფრიკის ანუ დღევანდელი გაბონის პატარა სოფელ ლამბარენში, სადაც მან ჯერ კიდევ 1905 წელს ააშენა თავისი პირველი ჰოსპიტალი, რომელიც, სხვათა შორის, დღემდე ემსახურება პაციენტებს იმ მეორე ჰოსპიტალთან ერთად, კეთილშინაობის რომ ააშენა ლამბარანეს შორიანხლოს ნობელის პრემიის თანხით, რომელიც 1953 წელს მიუთვალეს, ხოლო 1952-ში, იმ ჩვენთვის საინტერესო წელს, ალბერტ შვაიცერი მათედ ჩავიდა აფრიკაში, რომელიც ჩემ მიერ აღწერილ ამბებამდე მაინცდამაინც დიდად არ ყოფილა გადატვირთული მსოფლიო მნიშვნელობის თუნდაც იმგვარი ისტორიული მოვლენებით, როგორც იყო, ვთქვათ, სოციალისტური ინტერნაციონალის საბჭოს სხდომა, რომელიც მილანში გამართულა ჩემი დაბადების მეორე დღეს, როცა მე ჯერ ისევ სამშობლოში ვიყავი და ეს იყო სულ-სულ პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო ცხოვრებაში ჩემი დაბადების შემდეგ, ხოლო მას მერე და მანამდეც, ბუნებრივია, მრავალი ღრმადი მნიშვნელობის რამდენიმე ქვეყანაზე, ძველი ეგვიპტეიდან მოყოლებული, ვიდრე, ვთქვათ, კენიაში ჩემ მოგზაურობამდე, მაგრამ ვინაიდან ახლა 1952 წლის ერთი ყველაზე გამორჩეული ამბავი უნდა მოვყვე, მისთვის ერთგვარ ნიადაგს შევამზადებ და ზემოთ უკვე ჩამოთვლილთან ერთად სხვა იმწლებიან დიდ ამბებსაც გავიხსენებ, რათა მათ ფონზე უფრო რელიეფურად გამოჩნდეს ცალკე ეს მოვლენა და ცალკე მასთან უშუალოდ გადაჯაჭვული ის ამბავი, რამაც 2019 წელს კენიაში ჩავიყვანა მე ჩემი ნინოთი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ჩემი ძველი მეგობარი, ავსტრალიელი ჯოზეფ ჯორდანი თავისი ნინოთი, რომლებიც ალბათ ხშირად დამოგზაურობენ იმ თავიანთი მელბურნიდან ადელაიდადმდე კობტა და კომფორტული მატარებლით, მაგრამ ალბათ არ იციან, რომ ეს რკინიგზა ზუსტად 1952 წელს გაიხსნა, ისევე როგორც არ იციან, რომ იმ წელს, ჩემი დაბადებამდე სამი დღით ადრე, ეგვიპტე და სუდანმა საგანგებო ხელშეკრულებით გაიყვეს მდინარე ნილოსი, რომელიც სათავეს იღებს სწორედ ამ ჩვენი კენიის მეზობელ ეთიოპიაში, რომლის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ ჩემ დაბადებამდე ერთი თვითა და ხუთი დღით ადრე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმის შესაბამისად, სამინაო საკითხებში სრული ავტონომია მიანიჭა ერიტრეას და ეთიოპია ფედერაციულ სახელმწიფოდ აქცია, მაგრამ ეს ყველაფერი უკანა პლანზე გადავა, როცა ჩამოვთვლით 1952 წლის სხვა უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებს, რომელთაც დასტურ მეტი კავშირი აქვთ ჩემს მთავარ სათქმელთან, რაც, აკი ვთქვი,



უფრო რელიეფურად გამოიკვეთება, თუ ამ მოვლენებს(აც) გავიხსენებთ და, მოდი, ამ ყველაფერს ჩემი დაბადების თარიღიდან უკუპრონოლოგიით წამოვყვები და ბოლოს, რა თქმა უნდა, მივალთ 1952 წლის 5-6 თებერვლის ღამემდე, როცა ლონდონში დაიძინა და აღარ გაიღვიძა დიდი ბრიტანეთის ფიზიკურად უკვე დაუძღვრებულმა, მაგრამ სხვა მხრივ ძლევამოსილმა მეფემ ჯორჯ მეექვსემ, ვინაც სხვა არაერთ კოლონიასთან ერთად ფლობდა მაშინ კენიასაც, სადაც, კიდევ ვიმეორებ, ჩემი დაბადებიდან 67 წლის შემდეგ მე და ავსტრალიელი ეთნიმუსიკოლოგი, პროფესორი ჯოზეფ ჯორდანი, რომელიც წინა ცხოვრებაში თბილისელი სოსო ჟორდანი იყო, ჩვენ-ჩვენს მეუღლეებთან ერთად ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომის ჯიმ კორბეტის კვალმა ჩავიყვანა, მაგრამ სიტყვა იმ მთავარი სათქმელისკენ ჩაფიქრებულზე დროზე ადრე რომ არ გამეცეს, ზედაპირულად ჩამოვთვლი შეპირებულ მოვლენებს და დავიწყებ იმით, რომ 1952 წლის 5 ოქტომბერს მოსკოვში ვანო მურადელია და სერგეი მიხალკოვის მიერ სპეციალურად შექმნილი იმ ცნობილი პარტიული ჰომინი გაიხსნა საბჭოთა ბოლშევიკების XIX ყრილობა, რომელიც პირველი იყო 1939 წლის შემდეგ და რომელიც ბოლო გახდა სტალინისათვის, ვინც 14 ოქტომბერს ყრილობაზე მოკლე დასკვნითი სიტყვით გამოვიდა და ეს იყო მისი ბოლო საჯარო გამოსვლა, ხოლო მისი სულ-სულ ბოლო გამოსვლა შედგა ორი დღის შემდეგ, სწორედ ჩემი დაბადების დღეს, როცა გაიმართა იმ ყრილობაზე კომუნისტებად გადანათვლილი საბჭოთა ბოლშევიკების პარტიის, მიხალკოვმა რომ მე-საჭედ მონათლა, სწორედ იმ პარტიის, ცენტრალური კომიტეტის დახურული პლენუმი, სადაც სკკპ ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობა დადგინდა და სადაც სტალინმა საათნახევრიანი სიტყვა წარმოთქვა, უფრო ვრცელი და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საკუთრივ ყრილობაზე, და მისი ეს სიტყვა, რომელშიც მან კარგა გვარისადა

შეჯორა მოლოტოვი და მიქოიანი, და რომელშიც ძველი გვარდიის ახალგაზრდებით ჩანაცვლებაზე ილაპარაკა, სტალინის ერთგვარ ანდერძად არის მიჩნეული, რადგან ყრილობის გახსნიდან ზუსტად მეხუთე თვის თავზე იგი გარდაიცვალა და ეს გარდაცვალება არანაკლებ მნიშვნელოვანი მსოფლიო მოვლენა იყო, ვიდრე ის, რომელმაც ერთი წლით დაასწრო ამას და რომელსაც, აკი ვამბობ, ქვემოთ უფრო ვრცელად შევხებით, მაგრამ მანამდე, რაკი 16 ოქტომბრიდან უკუთამბმდევრობით მივყვებით ისტორიულ მოვლენებს, უნდა გავიხსენოთ, რომ XIX ყრილობის გახსნამდე ორი დღით ადრე საბჭოთა კავშირმა კატეგორიულად მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მოსკოვიდან გაეწვია თავისი ელჩი ჯორჯ კენანი, ვისაც მანამდე ბერლინში ყოფნისას სხვათა შორის უთქვამს, რომ მოსკოვში აკრედიტებული ყველა დასავლელი დიპლომატი ყინულის კედლით არის იზოლირებული და თუმცა ამერიკელებმა უარყვეს საბჭოთა მხარის ბრალდებები, ცოტა ხნის შემდეგ ელჩი მაინც გამოცვალეს, რადგან სრულიად სამართლიანად ჩათვალეს, რომ მას მერე, რაც ლავრენტი ბერიამ ყრილობის დელეგატებს და პირადად სტალინს საბჭოთა ატომური პროექტის წარმატებით დასრულება უბაძაქა, კორეის ომის ფონზე საბჭოელები საბაბს ეძებდნენ ამერიკასთან ვითარების გასაწვავებლად და ატომური იარაღის საქმეში გამოსაცდელად, რისიც, ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, ტერიტორიული სიახლოვისა თუ ინფორმაციის ნაკლებობის გამო სულაც არ ეშინოდა, მაგალითად, ფინეთს, რომელმაც 18 სექტემბერს დაასრულა რეპარაციის გადახდა საბჭოთა კავშირისათვის და ერთგვარად განერიდა საერთაშორისო ცხოვრებას, მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კვალობაზე საკმაოდ მდორედ რომ მიმდინარეობდა და მოვლენათა უმეტესობის მნიშვნელობა ერთი ქვეყნის ან ერთი რეგიონის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ თუ ამ მოვლენათაგან

მაინც შეიძლება რამდენიმე გამოყოფა, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ეს, გახლდათ, ვთქვათ, ის ფაქტი, რომ 4 სექტემბერს ჩილეს პრეზიდენტად აირჩიეს გენერალი კარლოს იბანიესი, რომელსაც, ვგონებ, კარგად იცნობდა კიდევ ერთი ვეფხისტყაოსანი, რუსთაველის პოემის ესპანურად თარგმნის თაოსანი და გამომცემელი ავთანდილ მერაბაშვილი, ვინც ცალკე ფაილად გამოყოფას იმსახურებს და აუცილებლად გამოვყოფ კიდევ სხვა დროს, აქ კი გავაგრძელებ იმწლებანდელი მოვლენების ჩამოთვლას და ვიტყვი, რომ 17 აგვისტოს მოსკოვში სტალინთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა ჩინეთის ცამეტკაციანი დელეგაცია ჩინეთის პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენლაის მეთაურობით, და რომ სამი დღით ადრე, 14 აგვისტოს უნგრეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა უნგრეთის მუშათა პარტიის ლიდერი, „სტალინის საუკეთესო მონაფედ“ ნოდებული, მატიაშ რაკოში, ხოლო 11 აგვისტოს იორდანიის სახალხო კრებამ გადააყენა მეფე ტალალი ქრონიკული შიზოფრენიის გამო და ტახტი გადააბარა მის შვილს ჰუსეინს, რომელიც, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, იმ დროს ჯორჯ VI-ის ინგლისში სწავლობდა, 26 ივლისს კი თავისი მცირეწლოვანი შვილის, ექვსი თვის ფუადის სასარგებლოდ გადადგა ეგვიპტის მეფე ფარუკი, ხოლო იმავე დღეს გარდაიცვალა უმთავრესი ევიტა, მარია ევა დუარტე, იგივე ევა პერონი, არგენტინის პრეზიდენტის ზუან პერონის მეუღლე, 22 ივნისს კი მუჰამედ მოსადდევი ექვსი თვით დაინიშნა ირანის პრემიერ-მინისტრად განსაკუთრებული უფლებებით, ხოლო 6 ივლისს ადოლფო რუის კორტინესი აირჩიეს მექსიკის პრეზიდენტად, 23 ივნისს კი ამერიკის ავიაცია რომბავს ჰიდროელექტროსადგურებს ჩრდილოეთ კორეაში, ხოლო 1 ივნისს ცეილონის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ზემოთს გაერთიანებული ნაციონალური პარტია, რომელსაც სათავეში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და დიდი შეღწევი სენანაიაკე უდგას, მანამდე ხუთი დღის ადრე კი, 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, ერთი მხრივ, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მეორე მხრივ, სეპარატული მოლაპარაკებების შედეგად ხელს აწერენ ევროპულ ხელშეკრულებას, 28 აპრილს კი ევროპაში მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლის პოსტს საკუთარი ნებით ტოვებს უფრო დიდ პოსტს დამინებელი დუაიტ აიზენჰაუერი, რომელიც რამდენიმე თვეში ამერიკის შეერთებული შტატების 34-ე პრეზიდენტი გახდება, ხოლო მისი წინამორბედი, 33-ე პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი 29 მარტს აცხადებს, რომ არ აპირებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, 26 მარტს კი ცეილონის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დადლი სენანაიაკე ცვლის მამამისს, დონ სტივენ სენანაიაკეს, რომელიც მანამდე ხუთი დღით ადრე უხერხულად ჩამოვარდა ცხენიდან და მეორე დღეს გარდაიცვალა კიდევ და რაკი გარდაცვალება ვახსენე, სანამ იმ მთავარ გარდაცვალებამდე მივალთ, აქვე ვიტყვი, რომ იმ წელიწადს, 10 მაისს თბილისში გარდაიცვალა დიდი ქართველი მხატვარი და ვითაც კაკაბაძე, ხოლო 19 თებერვალს, იმ მთავარი სიკვდილიდან ორი კვირის შემდეგ, გრიმსტადში 93 წლისა მიიცვალა დიდი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი, რომელმაც ნობელის პრემია აინშტაინამდე ერთი წლით ადრე მიიღო და რომელიც ცვლის მესამე ნობელის პრემიის მემკვიდრე მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრს იოზეფ გებელს უფე-შქაშა და რომელიც მეორე მსოფლიო ომის მერე იმ თავისი კოლაბორაციონისტობისათვის ნორვეგიელებმა გაასამართლეს, თუმცადა ასაკის გამო დაინდეს და მხოლოდ ჯარიმა აკმატრეს, ხოლო მისი გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ, 10 მარტს, კუბის ყოფილი პრეზიდენტი ფულხენსიო ბატისტა გადატრიალებას აწყობს და 8-წლიანი „მუსვენების“ შემდეგ თავს კვლავ პრეზიდენტად აცხადებს, ხოლო 1 მარტს ინდოეთის პირველ საპარლამენტო არჩევნებში იმარჯვებს ინდოეთის ნაციონალური კონგრესი ჯავაჰარლალ ნერუს მეთაურობით, 26 თებერვალს კი უინსტონ ჩერჩილი აკეთებს განცხადებას, რომ დიდ ბრიტანეთშიც შეიქმნა ატომური ბომბი, ხოლო, — და აქ დგება იმ წლის ის მთავა-


ვეფხისტყაოსნის შესავალი („ყვების დასაწყისი“) გამოქვეყნდა „ლიტერატურული გაზეთის“ 2019 წლის ბოლო ნომერში.

რი სიკვდილი, — ნ თებერვალს, დილით სა-
 ნდრინგეში, დიდი ბრიტანეთის მონარქ-
 თა საზამთრო რეზიდენციაში, პირად ფა-
 რეშს საკუთარ საწოლში მკვდარი დახვდე-
 ბა დიდი ბრიტანეთის მეფე ჯორჯ VI, რო-
 მელიც ძილში გარდაცვლილა კორონ-
 ალური ტრომბოზის შედეგად 56 წლისა და
 რომელსაც სიკვდილამდე ერთი წლით
 ადრე მარცხენა ფილტი ამოაჭრეს, მა-
 გრამ ამის მიუხედავად არც მონეგას უკლო
 და არც ექიმების რჩევა შეისმინა, როცა იმ
 ბოლო ძილამდე რამდენიმე დღით ადრე,
 31 იანვრის ქარსა და ყინვაში ჰითროუს აე-
 როპორტში წავიდა და აეროდრომზეც
 გავიდა, რათა სუთთივად მოგზაურობაში
 გაეცილებინა კენიაში, ცვილონზე, ავსტრ-
 ალიასა და ახალზელანდიაში სამეფო ვიზ-
 იტად ამგზავრებული თავისი უფროსი
 ქალიშვილი ელიზაბეთი, რომელიც მამის
 ავადმყოფობის გამო ბოლო დროს ხშირ-
 ად ესმარებოდა და ენაცვლებოდა მას სახ-
 ელმნიფო საქმეებში, ოფიციალური სტუმ-
 რების მასპინძლობა იქნებოდა ეს თუ სამხ-
 ედრო აღლუმების მიღება, და იმ დღესაც
 სწორედ სახელმნიფო საქმეებზე მიემგზა-
 ვრებოდა თავის მეუღლესთან, საბერძნე-
 თისა და დანიის ყოფილი პრინციდან, ედინ-
 ბურგის ჰერცოგ ფილიპ მაუნტბატენთან
 ერთად, რომელიც, როგორც წერდნენ, მე-
 ფეს დიდად არ ეხატებოდა გულზე და
 ქალიშვილსაც მასზე გათხოვების ნება თა-
 ვის დროზე უხალისოდ დართო, და რაკი
 იმ დღეს მისი ლილიბეთი ესოდენ ხანგრ-
 ძლივად პირველად ტოვებდა ქვეყანას,
 მეფე განსაკუთრებით ლელავდა და აერო-
 დრომზე, ელიზაბეთის გამდელს, მარგა-
 რეტ მაკდონალდს, იმავე ბოზოს, რომელ-
 იც პრინცესას სეფექალთან, ფილიპ მაუნტ-
 ბატენის ბიძაშვილ ლედი პამელა მაუნტ-
 ბატენთან ერთად თან მიჰყვებოდა წყვილს
 მოგზაურობაში, და რომელიც ერთადერ-
 თი იყო, ოჯახის წევრთა გარდა, ვინც მის
 ხელში გაზრდილ პრინცესას ლილიბეთს
 ეძახდა, შეევედრა, ღვთის გულისათვის,
 ლილიბეთს მიმიხედეთო, და მისი ეს ლელ-
 ვა არ იყო მხოლოდ მამობრივი მზრუნ-
 ველობით გამოწვეული, რადგან კენიაში
 ბოლო დროს ვითარება სერიოზულად გამ-
 ნევეებულიყო და შემდგომში მაუ-მაუს სახ-
 ელით ცნობილი აჯანყება უკვე ფართოდ
 მოსდებოდა ქვეყანას, და თუ ამის გამო,
 ერთი მხრივ, სასურველი იყო მონარქის
 ჩასვლა კენიაში და სიტუაციის ადგილზე
 გაცნობა-დარეგულირება, რაც ფილტვის
 კიბოთი მძიმედ დაავადებულ მეფეს არ შეე-
 ძლო, რის გამოც ეს მისია მემკვიდრე უფ-
 ლისწულს გადააბარა, მეორე მხრივ, კენ-
 იაში ელიზაბეთის ჩასვლა ერთკვეულ რისკ-
 თან იყო დაკავშირებული, მით უფრო, რომ
 სამეფო წყვილის დაცვაზე პასუხისმგე-
 ბელმა სამსახურებმა თავი შეიკავეს კენ-
 იაში მისი დაცვის გარანტიის გაცემისაგან,
 და თუ კენიაში ვიზიტი არ გააუქმეს, ერთი
 იმიტომ, რომ სახელმნიფოს საჭიროება
 ითხოვდა ამას, და ეს საჭიროება კარგა-
 დაც იყო მფუთული, რადგან წინასწარი
 განცხადების თანხმად, სამეფო წყვილი იქ
 საქორწინო საჩუქრის მისაღებად უნდა
 ჩასულიყო, რომელიც თუ ყველაზე ძვირ-
 ფასი არა, ერთ-ერთი ყველაზე ორიგინ-
 ალური იყო მათთვის 1947 წლის 20 ნოემ-
 ბერს, ქორწინის დღეს ბოძებულ 2500
 საჩუქარს შორის და მეორეც, ახლა ამ
 წინასწარ განცხადებაზე უარის თქმა სამე-
 ფო კარს, და ქვეყანას ზოგადად, სიმხდა-
 ლედ თუ არა, აჯანყებულთა წინაშე სათა-
 კილო შიშად მაინც ჩათვლებოდა, და, რაც
 მთავარია, თავად ელიზაბეთს არ უყოყმა-
 ნია, როდესაც მამისგან ეს დავალება მი-
 ილო და ოფიციალური გარანტიების უქონ-
 ლობის მიუხედავად, მისი უსაფრთხოებაც
 საკმაოდ მაღალ დონეზე იყო უზრუნველყო-
 ფილი და ლილიბეთს ყურადღება და
 ზრუნვა არ მოჰკლებია იმ მოგზაურობაში
 და თანაც არა მხოლოდ იმისაგან, ვინც
 საგანგებოდ ამისათვის გაჰყვა წყვილს ან
 ვისაც მეფემ ჰითროუსში გამოშვებობებ-
 ისას მისი თავი ჩააბარა, არამედ სხვები-
 სგანაც, რომელთა შორის იყო გადამდ-
 გარი კოლონელი, ძველი და სახელოვანი
 მონადირე ჯიმ კორბეტცი, სულ რამდენ-
 იმე წლის გადმოცხოვრებული კენიაში,
 სადაც მას ყავის პლანტაციები ჰქონდა და
 ბევრი თეთრკანიანისგან განსხვავებით,
 ნაკლებად გაუჭირდა სამშობლოს მიტოვებ-
 ბა ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის
 გამოცხადების შემდეგ, რასაც, მეორე
 მსოფლიო ომის დროს ლონდონის დაბომბ-

ვასთან ერთად ჯორჯ VI-ის ჯანმრთელო-
 ბის ბოლომდე მერყევის ერთ-ერთ მთავარ
 მიზეზადაც ასახელებდნენ და რასაც ინ-
 დოეთიდან თეთრკანიანთა მასობრივი
 ლტოლვილობა მოჰყვა სხვადასხვა ქვეყა-
 ნაში, რომელთა შორის გამოჩენილი ადგი-
 ლი ეკავა კენიას, სადაც ინდოეთიდან გა-
 დმოსახლებულებს მყუდრო თავშესაფარი
 ეგულებოდათ ძირითადად პატარა ქალაქ
 ნიერის სახით, რომელშიც და რომლის
 გარშემოც უკვე მანამდე მრავალი ინდოე-
 ლი იყო დასახლებული, აქაური რკინიგზის
 მშენებლობაზე რომ ჩამოეყვანათ ჯერ კი-
 დევ 1896 წელს და მას მერე ნიერში, კენი-
 ის ამ უძველეს ქალაქში დამკვიდრებუ-
 ლიყვნენ და დაოჯახებულიყვნენ და გამ-
 რავლებულიყვნენ და აქაურობას დაჰპა-
 ტრონებოდნენ, მაშინ, როცა აქედან 93 მი-
 ლის მანძილზე მდებარე ნაირობი დედა-
 ქალაქი კი არადა, მხოლოდ პატარა სარ-
 კინიგზო სადგური იყო, მეტი არაფერი, და
 ის მაშინდელი რკინიგზის სადგური დღე-
 ესაც ნაირობის ერთი მთავარი ღირსშ-
 ესანიშნაობაა და სწორედ მის წინ მდგარი
 კინალამ პოლიციაში წამათრია კბილებამ-
 დე შეიარაღებულმა ახმახმა კენიაში ყოფ-
 ნის ბოლო დღეს, აქაოდა, სურათი რატომ
 უღებ სადგურის შენობას, განა არ იცი, რომ
 არ შეიძლება და საიდან უნდა მცოდნო-
 და რომ არ შეიძლებოდა და ახლავე წაშ-
 ალე ყველაფერი და რა ყველაფერი, ათა-
 სობით კადრი მქონდა გადაღებული თუ
 ნიერში, თუ ტრიტოპში, თუ მასაი-მარა-
 ში, თუ იმავე ნაირობიში და აქ მიშველა
 ნინომ, ჩემმა მეუღლემ, გამომართვა კამ-
 ერა, რაღაც გადან-გადმონია და იმ ახმახ
 პოლიციელს ანთებული, მაგრამ ცარიელი
 ეკრანი მიუშვია, აჰა, დამშვიდდი, ყველა-
 ფერი ნაწეშალი და ისიც ბუზღუნით დამ-
 ხსნა, მე კი ფოტოკამერა ზურგჩანთაში
 ჩავაგდე და სასტუმრომდე აღარ ამომიღ-
 ია, ემანდ კიდევ რამე არ იყოს აკრძალუ-
 ლი ან ის პოლიციელი არ ამედეგნოს-მეთ-
 ქი და ერთი სული მქონდა, სასტუმროში
 მივსულიყავი და დავრწმუნებულიყავი,
 რომ ნინომ იმ სტრესულ სიტუაციაში ყვე-
 ლაფერი სწორად გააკეთა, მხოლოდ პო-
 ლიციელის მოსაჩვენებლად, და მართლა არ
 წაეშალა ყველა კადრი და შვებით ამოვ-
 ისუნთქე, როცა დავრწმუნდი, რომ ადგი-
 ლზე იყო ყველა და ყველაფერი, რომ ადგი-
 ლზე იყვნენ მასაბებიც და ლომებიც,
 ყირაფებიც და საბილოებიც, რომ ადგი-
 ლზე იყო ტრიტოპშიც, სენტ-პიტერის ან-
 გლიკანური ეკლესიაც, „აუტსპან“ იც,
 კორბეტის საფლავიც და ნიერიც იმ თავი-
 სი დათარსული სასტუმროთი, რომელსაც
 „გრინ ჰილს“ ერქვა და რომლის ჰოლოში
 რამდენიმე საათი მოვადგა ყურყურტი და
 სადაც ბუკინგჰამის თუ სასტუმროს ად-
 მინისტრაციის დაუდევრობით გამოწვეუ-
 ლი გაუგებრობის მოგვარების მოლოდინ-
 ში კიდევ ერთხელ წავიკითხე ჯიმ კორბე-
 ტის პანანა ბროშურა „ხის კენწეროები“
 (Tree Tops), რომელიც ოქსფორდის უნივერ-
 სიტეტის გამომცემლობას აგერ, უკვე ოც-
 დამეორედ გამოუცია დაწერიდან, ანუ 1955
 წლიდან მოყოლებული, და რომელშიც ავ-
 ტორი დაწვრილებით აღწერს 1952 წლის 5-
 6 თებერვლის ღამეს, როცა მან პრინცესა
 ელიზაბეთი ლეღებს ვეება ხეზე მოწყობილ
 ორიგინალურ სასტუმრო ქოხში აიყვანა და
 მეორე დღელს იქიდად უკვე დეფოლად
 ჩამოიყვანა და რომელშიც იხსენებს იმა-
 საც, თუ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და
 როგორი იყო მისი გაოგნება, როდესაც 5
 თებერვალს დილით ტელეფონით გამოი-
 ძახეს და უთხრეს, რომ მისი სამეფო უმაღ-
 ლესობა ბოდიგარდად იწვევდა მას ტრი-
 ტოპსში და როდესაც მან, უკვე წვერგა-
 პარსულმა, მეორედ დაიწყო წვერის პარს-
 ვა, როგორც ამას გააკეთებს ჯორჯ უნბე-
 სიტო მრავალი წლის შემდეგ იმ თავის ონ-
 ლაინრობანში, თბილისის ფორუმზე რომ
 ინერგობდა იუბილერების შეხახილებით თანხ-
 ლებით და მათივე მონაწილეობით და რომ-
 ლის რეალური ავტორი დღემდე იდუ-
 მალეობით არის მოცული, თუმცა მე მაშინვე
 გავიფრე და ცხელ კვალზე გამოქვეყნებ-
 ულ ერთ ჩემს რეცენზიაში, ლიტერატურ-
 თულ სამყაროში მოქურეზობა ჟორ-მარ-
 თლის საფუძველზე, ვივარაუდებ კიდევ
 მისი ვინაობა და რაკი ბოლომდე დარწმუ-
 ნებული არ ვიყავი, უბრალოდ მისი ცნო-
 ბილი გვარისკაცის ციტატა მოვიტანე,
 რათა მისი გვარი შეფარვით მაინც მეხსენე-
 ბინა ტექსტში და მერე ეს უნბესიტო კი
 ბოლოა ფუნქციონირი გახდა ივანშვი-

ლის საქართველოში და უფრო მერე ანაკ-
 ლოურ კანანტიპთან დაკავშირებულ მაგარ
 შარშიც გაეხვია, დაახლოებით ისეთში,
 თავად რომ აქვს აღწერილი იმ თავის რო-
 მანში და მერე სულაც დატყდა და
 როგორც ფორუმზე დაწერა, დიახ, ვადას-
 ტურებო, დავტყდიო, ინდოეთში ვარო,
 რაჯას უნდა შევხვდეო, და რაჯასი რა
 მოგახსენოთ და ეს ჩვენი ორჯერ წვერგა-
 პარსული კორბეტი კი, აკი ზემოთაც ითქ-
 ვა, სწორედ ინდოეთიდან ჩამოვიდა ამ
 ჩვენს კენიაში, როცა ინდოეთის დამო-
 უკიდებლობით დამფრთხალმა ბრიტანე-
 ლებმა თუ ინდო-ბრიტანელებმა ფეხები
 ილიაში ამოიდეს და უთავბოლოდ თუ
 თავბოლოიანად მოჰკურცხლეს სხვადასხ-
 ვა მიმართულებით, ხოლო მსოფლიოს
 ერთი ყველაზე მთავარი, უფრო სწორად
 მეორე უმნიშვნელოვანესი ბრიტანელი,
 რომელსაც მამა ლილიბეთს ეძახდა, თავის
 ჯერ ბერძენ-დანელი და მერე გაბრიტა-
 ნელეულ მეუღლესთან და რამდენიმეკა-
 ციან ამალასთან ერთად, ლონდონიდან 15-
 საათიანი ფრენის შემდეგ, 1952 წლის 1
 თებერვალს ჩავიდა კენიაში და ნაირობის
 აეროპორტში, რომელიც მაშინ გაცილებ-
 ბით პატარა იყო, ვიდრე დღესაა, მას დი-
 დის ამბით და სათანადო პატივით დახვდა
 კენიის კარგად ნაპატიები გუბერნატორი,
 სერ ფილიპ მიჩელი თავის ფაშფაშა კენინ-
 ასთან ერთად და ერთ-ერთ იმდღევანდელ
 ფოტოზე ეს ფაშფაშა გუბერნატორმა უკა-
 ნა პლანზე დგას, ნინ კი პრინცესაა, რო-
 მელიც თეთრკოპლებიან კაბაში, გრძელ
 თეთრ თათმანებსა და თეთრ ფეხსაც-
 მელეებში გამოწყობილი, თეთრი რედიკუ-
 ლით, თეთრი კოლიეთი და ფართოფარ-
 ფლებიანი კაბისფერი შლიაპით ძალიან
 ჰგავს ოდრი ჰეპბერნის პრინცესა ანას
 უილიამ უილიამის „რომალური არდადეგე-
 ბიდან“, იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე მან-
 ამდე ვაშინგტონში ამერიკის პრეზიდენტ-
 თან ერთად გადაღებულ ფოტოზე, მაგრამ
 ამგვარი შედარება არც ნაირობის და არც
 ვაშინგტონის თებევევაში მაშინ არავის
 მოუფიქროდა თავში, რადგან ჩემი უსაყ-
 ვარლესი და დიდნილად ჩემი პროფესიუ-
 ლი არჩევანის განმსაზღვრელი ეს უკვდავი
 ფილმი ეკრანებზე მხოლოდ შემდეგ წელს
 უნდა გამოსულიყო, როცა, პრინცესა ანა-
 სი რა გითხრათ და, პრინცესა ელიზაბეთი
 უკვე დედოფალი იყო, ხოლო იმ დღეს
 ნაირობის აეროდრომზე მასაც შეემთხვა
 იმ ფილმში რომ არის, მთლად ისეთი არა,
 მაგრამ ერთი საღალბო ამბავი, როცა
 მასთან შესახვედრად სპეციალურად შერ-
 ჩეულმა და მომზადებულმა კენიელმა ბი-
 ტუნამ, რომელიც 1948 წლის 14 ნოემბერს
 იყო დაბადებული, ანუ სწორედ იმ დღეს,
 რა დღესაც პრინცესას პირველი შვილი,
 ჩარლზ-ფილიპ-არტურ-ჯორჯი შეეძინა,
 პრინცესასთან შიშველი ფეხებით მიტყა-
 პუნებულმა, ვერა და ვერ გაიხსენა, რა და
 როგორ უნდა გაეკეთებინა ან კიდევ უს-
 აშველოდ დაიბნა და პრინცესასთვის მის-
 ართმევი მინდვრის ყვავილებების თავიგული
 იმ თავისი პატარა ტაკოს უკან გადააშალა,
 რომელიც, ფეხებისგან განსხვავებით,
 მადლობა ღმერთს, შიშველი არ ჰქონია და
 რაკი მასპინძელთაგან ამ ფეხშიშველა და
 ტირილამდე შეცხებულ ბიჭუნას შემ-
 ხედვარე, ყველა დაიბნასავით, პრინცესამ
 ჩაიმიუხლა, ალბათ რაღაც მოსაფერებუ-
 ლიც უთხრა პატარას და თავიგული ფრთხ-
 ილად ჩამოართვა, მაგრამ ამ სიფრთხილ-
 ის მიუხედავად, აშკარა იყო, ბიჭუნამ კიდევ
 უფრო დაირცხვინა და, მგონი, დასწყდა
 კიდევ გული, რომ თაიგული ასე ნაჰჰ-
 კარეს და პირველად რომ ვნახე ეს ეპიზო-
 დი იმ ვიზიტის ამსახველ ოფიციალურ კი-
 ნოქრონიკაში, მას მერე ვეძებ ამ ბიჭის
 მოგონებას მაშინდელ ამბებზე, რადგან
 დარწმუნებული ვარ, რომ თუ ბავშვობაშივე
 არ იმსხვერპლა რამე სენმა ას შემთხვევამ,
 პრინცესასთან ის თავისი შეხვედრა რაღაც
 ფორმით სადმე აუცილებლად უნდა გაეხ-
 სენებინა, თუნდაც სხვათა მონაყოლის,
 კინოქრონიკის კადრებისა და პოლ პოპ-
 ერის ფოტოების მეშვეობით, რადგან, და
 ამაშიც დარწმუნებული ვარ, ის შეხვედრა,
 თუმცა უკანა რიცხვით, მაგრამ მისი ცხ-
 თვრების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი
 მოვლენა იქნებოდა და ვინ იცის, როგორ
 ამაყობდა და ამაყობს კიდევ, თუ ცოცხა-
 ლია, იმ კინოკადრებითა თუ იმ ფოტოე-
 ბით, რომლებიც ორიოდ კვირის შემდეგ
 ყურნალ „ლაიფში“ იც დაიბეჭდა, საიდანაც
 გავიგე მე ეს ყველაფერი, მაგრამ ამ ფო-

ტობისა და კინოქრონიკის კადრების გარ-
 და სხვას ვერაფერს მივაკვლიე და ვერც
 კენიაში ყოფნისას გავიგე ვერაფერი ახა-
 ლი, არადა, წესით, კენიაში თითქოს ბევრს
 უნდა სცოდნოდა მათი თანამემამულე ბი-
 ტის ამბავი, რომელიც ზუსტად უელსის
 პრინცის კბილაა და რომელსაც ასეთი
 საინტერესო ამბავი უკავშირდება, არაფ-
 რით რომ არ უნდა მისცემოდა დავიწყებას
 და არც არის დასავიწყებელი, მით უმეტეს,
 რომ იმავე დღეს მას ლამაზი გაგრძელე-
 ბაც მოჰყვა პრინცესას ვიზიტის სახით
 ნაირობის სამშობლიაროში, სადაც იმ ბიჭუ-
 ნას დედას წინა დღეებში კიდევ ერთი ბავშ-
 ვი გაეჩინა და შემორჩენილ ფოტოზე კარ-
 გად ჩანს მისი დაღლილი, მაგრამ გაბადრ-
 ული სახე, როცა პრინცესა მასთან შევიდა
 პალატაში და უფრო დიდი და უფრო ლა-
 მაზი თავიგული მიართვა, ვიდრე თავად
 მიილო აეროპორტში მისი უფროსი ბიჭის-
 გან, თუმცა ფოტოზე არ ჩანს იმ ბიჭის სახე,
 რომელიც იქვე ყოფილა და პრინცესის
 დანახვაზე ის სახე თურმე ძალიან გვერ-
 დზე მიაბრუნა და კიდევ უფრო მეტად
 დაირცხვინა, ვიდრე აეროპორტში, სადაც
 ის სულ-სულ პირველი კენიელი იყო, ვინც
 პრინცესას მიეგება, მაგრამ, რაღა თქმა
 უნდა, არა უკანასკნელი და სამშობლიარო-
 ში ამ ყოველმხრივ ემოციური და მართლა
 დასამახსოვრებელი შეხვედრის გარდა,
 როგორც დიდი ბრიტანეთის მეფის ოფი-
 ციალურმა წარმომადგენელმა და ტახტის
 მემკვიდრემ, პრინცესამ ნაირობიში რამ-
 დენიმე ოფიციალური შეხვედრაც გამარ-
 თა, რომელთა შორის იყო შეხვედრა გუ-
 ბერნატორის რეზიდენციაში, სადაც მას
 მისი საქორწინო საჩუქრის, საგანის ლოჯი-
 ის გასაღები გადასცეს და სადაც იგი კენ-
 იის პოლიციის ოფიცრებს შეხვდა, რომ-
 ლებიც მას პოლიციის მეთაურმა ლეინტე-
 ნანტ-კოლონელმა სესილ ვალენტინმა
 წარუდგინა, რასაც მოჰყვა პრინცესის
 ვიზიტები პამვანის აფრიკულ ჰოსპიტალ-
 ში, ჯორჯ მეექვსის ჰოსპიტალში, პრინცეს-
 ა ელიზაბეთის ჰოსპიტალში, გარდა ამისა,
 ჩასვლის მეორე და მესამე დღეს, შაბათ-
 კვირას იყო შეხვედრები მომბასის ეპისკო-
 პოსთან რეჯინალდ პირის კრატთან, სხვა
 სასულიერო პირებთან და მისიონერებთ-
 ან ყველა წმინდათა და წმინდა ენდროუს
 ეკლესიებში, ინდოელ მოსწავლე გოგო-
 ნებთან ხალხას სკოლაში, რასაც მოჰყვა
 შობაბეჭდვითი ლეღების დატვირთული ტური
 ნაირობის ნაციონალურ პარკში და ყვე-
 ლაფერი დაგვირგვინდა საზეიმო მიღებით
 ღია ცის ქვეშ, სადაც ნამცხვრის 12 ათასი
 ნაჭერი შეიჭამა და 200 გაღონი ჩაი დაილ-
 ია და ამ მიღებას სხვებთან ერთად ესწრე-
 ბოდნენ ტურკანებისა და კიკუიუს ტომე-
 ის ბელადები, წარჩინებული მასაბები, ლომ-
 ებზე გამარჯვების აღსანიშნავი მაღალი
 ქუდებით, და კენიაში მცხოვრებ ინდოელ-
 თა თემის თავკაცები, რომლებიც, ყველა-
 ნი ერთად, დამხვდურთა სამიათასკაციანი
 არმიის ავანგარდში მდგარი, მანამდე
 პრინცესას აეროდრომზე შეეგებნენ თავ-
 ვიანთ ეროვნულ საზეიმო სამოსში გამოწ-
 ყობილები და იმ დავხედრას ისეთი ფერა-
 დოვანი ეგზოტიკური ფონი შეუქმნეს, რომ
 მთავარი ოფიციალური მასპინძლის, კენ-
 იის გუბერნატორის სრული სააღლუმო
 ფორმა საცოდნავ ყოველდღიურ ფლასებად
 გამოჩნდა და ალბათ ამის გამოც იყო, რომ
 გუბერნატორმა ამის შემდეგ ჩვეულებრივი
 ცივილური სამოსი გადაიცვა და მთელი
 მოგზაურობის მანძილზე ასე არანაკლებ
 ოფიციალურად, მაგრამ მაინც შედარებით
 მსუბუქად გამოწყობილი დაჰყვებოდა
 პრინცესას, რომელიც ორშაბათ დილას
 თავის მეუღლესთან და მცირერიცხოვან
 ამალასთან ერთად ჰამბერ-პულმანის
 ლიმუზინით ჩრდილოეთისაკენ გაემგზა-
 ვრა და ქალაქ ნიერიდან 20-ოდ მილში,
 მწვერვალ კენიის მისაღებობთან, მდინ-
 ნარე საგანას ნაპირზე მდებარე ლოჯიაში
 დაბინავდა, რომელიც კენიელებმა თავის
 დროზე სპეციალურად ააგეს ელიზაბეთი-
 სა და ედინბურგის ჰერცოგის საქორწინო
 საჩუქრად და სწორედ ეს საქორწინო საჩუ-
 ქარი იყო, რის გამოც ავსტრალიასა და
 ახალზელანდიაში ოფიციალურ ვიზიტად
 მიმავალი სამეფო წყვილისთვის საშუალე-
 დო პუნქტად იმთავითვე კენია შეირჩა და
 სწორედ ეს ლოჯია იყო, საიდანაც იმ დი-
 ლას დაურეკეს ტრიტოპის რეზიდენტ
 მონადირეს ჯიმ კორბეტს, რომელიც,



ქეთი ნიყარაძე

ზოგჯერ ასეა — დაჯერება გიჭირს ამბების, რომლებიც ასე უბრალოა, მაგრამ ნამდვილი, როგორც უცნობი ქალაქი, ან ის გრძელი ქუჩა, ვინრო ეზო და გაფენილი თოკზე სარეცხი — სანდო და ძველი, როგორც ფრაზა — „მე შინ მოვედი“.

PERFICE SE (Quibiscumque via) სრულყავი თავი (ნებისმიერი გზით)

სრულყავი თავი — არ ჩაგიგდონ ხელში ცოდვებმა, იარე მხოლოდ დატკეპნილი, უმტვერო გზით და იყავი ფრთხილი, მომთმენი და ყოვლის მცოდნე და ისე იცხოვრე, რომ სამყარომ მარტივად გზიდოს. სულ სათითაოდ გამოძვერი ყველა შიშიდან, შეუბრალებლად გაუსწორდი დარდს და სისუსტეს, ჩამოიშორე გზიდან ყველა, ვინც ხელს გიშლის და იბრძოლე, ოღონდ გაიაზრე კარგად — ვის უტევ. სრულყავი თავი — იმიმშილე და ივარჯიშე, სულ მისხალ-მისხალ გამოძერწე შენი სხეული, დროებით მაინც ყველა ნაკლი გადააჯიშე, ბევრჯერ დაასე მტერს ლახვარი გულსა ხეული. თუ საჭიროა, დაუნეჭი ქურურგის დანას, გადაიჭიმე ყველა ნაკვთი, ყველა ნაოჭი, იცოდე — თუკი მოინდომებ, სრულიად ახალ, თითქმის სრულყოფილ საკუთარ თავს ასე გამოჭრი. ყველა ტკივილი გულგრილობით ისე აავსე, როგორც ბუმტები — ჰელიუმით. ფერად-ფერადი კაბებით მორთე გამოცვლილი შენი სხეული და არსებობა — ნატანჯფურცლებამოხეული. მოარგე შენს სულს მოხდენილი შენი სხეული, გააკონტროლე ემოცია, ყველა სიტყვა და თუ წარმატებას დასჭირდება, გზის გასახსნელად, მხოლოდ მაშინ თქვი ჯადოსნური სიტყვა „მიყვარხარ“. გადააბიჯე სენტიმენტებს, საკუთარ თავს და არ შეუშინდე მოულოდნელ ქარბუქს და თავსხმას, გადააბიჯე ყველა პრინციპს და ყველა სირცხვილს — არ შეამცირო წარმატების არცერთი რიცხვი.

VIS VITALIS სიცოცხლის ძალა

ამბობ — დამთავრდა. ამბობ — აღარ მაფორიაქებს ან უკვე წარსულს დარჩენილი ცხელი დღეები. და ეს ფრაზები ეკიდება ჩვენ შორის მშრალად, გაბმულ მავთულზე მობუზული ბელურებივით.

დამთავრდა — ჩუმად ვიმეორებ, თითქმის უხმოდ და ბელურებს შორის დიაპაზონს ასე ვამცირებ, მაინც ვამჟღავნებ ძველ ფირებს და ვბეჭდავ კადრებად, ვკინძავ და ფონად იმ განწყობას ვადებ, როდესაც ის უსინათლო ბელურები ტოტებქვეშიდან იმზირებოდნენ, თავისსავე მზეებს ხედავდნენ და ხელოვნური ყვავილები, სულ მინდორ-მინდორ გაფანტულები, ცოცხლდებოდნენ, მერე ყვოდნენ. ჭკნებოდნენ ბოლოს, მაგრამ მაინც ამ გზით, ამგვარად სიცოცხლის ძალას გვაძლევდნენ და მზეს გვიახლებდნენ — იმ მზეს, რომელმაც ჩვენი ანწყო მაშინ დანადმა, იმ მზეს, რომელიც ორივესი იყო თანაბრად.

OMNIA FLUUNT ყველაფერი მიედინება ჰერაკლიტე

ჩემი ზაფხულივით შემოდგომა დგას და

SCIO NESCIO ვიცი, რომ არაფერი ვიცი სოკრატე

მე იმას მივხვდი, არაფერი რომ არ მცოდნია — თქვა ერთმა კაცმა და გავიდა საქადაგებლად. არაფერს წერდა — მხოლოდ აზრებს აძლევდა ფორმას, საუბრობდა და ახალ სივრცეს ასე აგებდა. სიტყვის ყალიბში ისხმებოდა ძველი ამბებიც, ყველა ვარაუდს რომ იტყვდა, რაც კი არსებობს, და სულ ახალი შეგონებებიც — ჯერარგანცდილი, ყველა ჭრილობას ედებოდა, როგორც პლაცებო. ჭეშმარიტებას ეძიებდა სამყაროში და სიმართლის პირზე დადიოდა, დანის პირივით. იცოდა — თავის შემეცნებას ასე შეძლებდა — თუკი სამყაროს შეიცნობდა, ანდა — პირიქით. იმეორებდა, რომ რასაც ჩვენ ცოდნას ვუნოდებთ, ზღვისფერ ქალებში ზეთისხილის სულ ერთი რტოა, რაც უფრო მეტ ხანს გაატარებ საკუთარ თავთან, მთელი სამყაროს შესაცნობად რომ მეტი დრო გაქვს. ის მაინც ვიცი, არაფერი რომ არ მცოდნია — იმეორებდა, ქადაგებდა ფიქრის ხმაზე და აზრებს აძლევდა უზადო და შთამბეჭდავ ფორმებს და სამყაროსთვის ახალ ბილიკს ასე ხაზავდა.

VERBA VOLANT, SCRIPTA MANENT სიტყვები გაფრინდება, ნაწერები რჩება

უმისამართო წერილები ფრონტის ხაზიდან განსხვავებულად იკითხება დიდი ხნის შემდეგ, როდესაც სახლის აივანზე, სარწევლაში პლედმოხვეული, საქმიანად მოკალათდები და წარმოიდგენ, რომ სანგარში ოთხმოცი წლის წინ — ხელით გათხრილ და სისხლით მოთხვრილ წყლიან ორმოში ინერებოდა ეს სიტყვები.

ირგვლივ ტყვიები ისე დაქროდა, თითქოს ვიდაც სულს უბერავდა ბაბუანვერას, ის კი ირგვლივ ტყვიებს აფრქვევდა, ისე სკდებოდა ყუმბარები სანგრების თავზე, როგორც სკდებოდა გული ყოველ მონატრებაზე.

ნაცრისფერ ცის ქვეშ, ტალახიან ორმოში ინვა კაცი და წერდა

ცოლს და დედას, და-ძმას და შვილებს და არ ეგონა, რომ ოდესმე გამოაღწევდა ჯოჯოხეთს, რასაც „სამშობლოსთვის“ ერქვა სახელად.

გამოაღწია. გადარჩა და დიდხანს იცოცხლა. ბევრი მოასწრო და ბევრი რამ შენც გაგიგია — რომ გაურკვეველ, დაბნეულ და მძიმე წუთებში მეთათსევე კითხულობდა სწორედ ამ წერილს — როგორც სასწაულს, როგორც საბუთს და იმის დასტურს, რომ ხსნა მაშინაც კი არსებობს, როდესაც წევხარ ტალახით სავსე ორმოში და გგონია, ბოლო წერილს სწერ ოჯახს, ეთხოვები უცხო მიწიდან შენს ძველ ცხოვრებას, შენს სამშობლოს და ყველა იმედს.

შენ კი სამკუთხა წერილს გახსნი დიდი ხნის მერე და იმ დღეების სუნთქვას იგრძნობ ისე ახლოდან, და ისე მძაფრად, რომ თავადვე გაგიკვირდება დოკუმენტურად აღწერილი ომის ქრონიკა.

DEUS EX MACHINA ღმერთი მანქანიდან

ზოგჯერ ასეა — დედამინის სულ სხვა კუთხეში, შორს სახლიდან და ადგილიდან, სადაც იშვი და იზრდებოდი და სეირნობდი, სადაც გიყვარდა, იმ ადგილიდან შორს — ათასი სიცოცხლის იქით თითქოს პირველად გახვედი და ეზო გამოჩნდა.

ხედავ ეზოში მთელ სიგრძეზე გაფენილ სარეცხს, როგორც სპექტაკლზე გამოჩენილ ღმერთს მანქანიდან — სარეცხს, რომელსაც ფორმას უცვლის, არხევს ქარი და უცებ ხვდება, რომ უკვე შინ ხარ, მიდიხარ არსად. ან თუ მიდიხარ — მხოლოდ ფიქრით, ისე არ ძალგის დატოვო უცხო ქალაქი და ეს გრძელი ქუჩა, გამოაღწიო ფეხაკრეფით ვინრო ეზოდან, რადგან შინ ხარ და ეს უცნობი სარეცხი გნუსხავს, ერთადერთ თოკზე მოქანავე — ოღნავ, ტაბით, თითქოს გაფინე დიდი ხნის წინ და ახლა გიცდის, როგორც საღებავშემოხილი ძველი ნახატი, რომ ჩამოხსნა და თქვა — დავბრუნდი, მივდივარ არსად.

არ აპირებს ფეხის მოცვლას,
ვერევი უქარო ამინდებს და
მზიანი დღეების გარემოცვას.
მსურდა,
შემენახა მატთან
და არ მისცემოდა დავინყებას
მძაფრი შეგებება განთიადის
და მზის ცეცხლოვანი დამინება.
მაგრამ უმზებობა დამისუსხავს
სიბოძოს,
რაც აქამდე შემოჰქონდა
თავის უკანასკნელ ამოსუნთქვით
ჩემი ზაფხულივით შემოდგომას.

PERICULUM IN MORA
საფრთხე დაყოვნებაშია

ჩვენ კი გადავრჩით,
მაგრამ გვიდგას ჟამი სასტიკი —
გადახსნილია ახლა ჩვენი სუსტი მაჯები
და ველოდებით მშველელს, როცა თავადვე ვიცით —
ჩვენ უნდა გავხდეთ შემოქმედი ამ გამარჯვების.
თუ ვერ შევძელით,
შევებრძოლოთ გადაშენებას,
ჩვენ ვერასოდეს აღმოვჩნდებით სხვათა მსაჯები,
თუ ვერ შევძელით,
ალმა ავყვეთ ძლიერ დინებებს,
ჩვენ ვეღარასდროს
ვერ მოვირგებთ როლს გამარჯვების.
ვირგებთ ალიკაპს,
ვირგებთ დუმბელს,
ნიღბებს არცოდნის,
და ვერასოდეს გავაკეთებთ ალბათ არჩევანს,
თუ არ დავდგებით დროშასავით გალავნის კოშკზე
და სამუდამოდ მსხვერპლის როლში თუკი დავრჩებით.

მინაზე ვდგავართ,
მაგრამ გვიდგას ჟამი მძიმე და
უნდა შევიკრათ დასერილი ჩვენი მაჯები,
ვერ დავაყოვნებთ გამოგონილ გმირთა იმედად,
ჩვენ უნდა გავხდეთ შემოქმედი ამ გამარჯვების.

TESTES MUTI
მუნჯი მონმეები

ვალაგებ სახლს და
ყვრი ყველაფერს დაუფიქრებლად —
ვცდილობ, თავიდან მოვიშორო, რაც არ მჭირდება,
და წინაპრების ნაქონ ნივთებს — გავლილ ცხოვრებას
მწყობრად ვალაგებ
ნაგვის პარკში
ვაზნის მჭიდებდად.
ვაზნის, რომელიც აღარასდროს აღარ გაისვრის,
რაც ახლა ხსოვნის კაფსულაა და ქიმერები,
მშვიდად ვიშორებ
და გულდაგულ, აუჩქარებლად
ვახშობ ყველა კარს და ყველა ხმას მეხსიერების.
ველევი სამოსს,
ზოგს — ჩაუცმელს,
ზოგს კი — გაცრეცილს,
ცხოვრებასავით დადებული საკერებლებით,
ველევი მძივებს,
ჰალსტუხებს და
ბენვის საყელოს,
და ერთ პატარა, გაყვითლებულ სარკეს ვნებდები.
სარკეს, რომელიც
ირეკლავდა ყველა გაზაფხულს,
ყველა მზერას და ყველა ნაოჭს, ახლადაჩენილს,
სარკეს ვიტოვებ,
როგორც წიგნად აკინძულ ამბებს,
როგორც ზარდახმას იმედების და გადარჩენის.
კიდევ ვიტოვებ სანთლის მოზრდილ,
ოთხკუთხედ ნაჭერს,
ბებიანეში ომის დროს რომ სანთლავდა ძაფს და
ისე კემსავდა წინდებს,
როგორც კემსავდა დღეებს,
რომ ველარ ვგრძნობ ტკივილები
ცხადად და მძაფრად.
ასე ვინახავ მის გასანთლულ ძაფით გაკერილ
საწყისს და სასრულს — ალფასა და ომეგასავით,
მოთმინებას და
მოლოდინს და
იმ ერთ სიხარულს,
ქმრის დაბრუნებამ რომ მოჰგვარა ომებგადავლილს.

ვალაგებ სახლს და
ვადგასულ ნივთებს ველევი,
მაგრამ ზოგჯერ ვგრძნობ მათთან კავშირს,
ახალგაჩენილს —
ყვითელ სარკეს და
სანთლის ნაჭერს უკან ვაბრუნებ,
როგორც მონმეებს იმედების და გადარჩენის.



ბაბიაჩაში

ჯერ ბრინჯს გაარჩევდა სათითაოდ
(ნეტა სად ჰქონდა ამდენი დრო?),
მერე მოსახარშად დადგამდა
(„ფანტელა ბრინჯი“ — ასე ეძახდა),
მერე ალუბლის მურაბას გადაასხამდა
და დაგვიძახებდა...

ჩამო...

ჩემო საყვარელო რინავ,
ჩემო სევდისფერო მინავ,
ჩემო სანატრელო ცაო,
როგორ უნდა იყო მარტო?!
როგორ უნდა იყო მარტო,
მარტოობა რომც გინდოდეს?!
ჩემო საყვარელო მინავ,
ჩემო სევდისფერო რინავ...

მეცხრამეტა საუკუნის კოეტი ქალი (ანუ მე)

პოეტი იყო. იჯდა და წერდა,
ფიქრობდა. ფიქრში სევდას ურევდა,
ვერ დაამშვიდა წყნარმა საღამომ,
ვერც მოჭიკჭიკე მოლაღურებმა.

იგი არასდროს არა ყოფილა
ასეთი კუმტი, ასეთი გულქვა,
ჩვეულებრივი მოხდა ამბავი:
ვინაც უყვარდა, უარი უთხრა!

დამთავრდა. უკვე დაკეცა ფრთები
ჩიტვივით მფრთხალმა ყველა ოცნებამ,
იცის, რომ მისი სუსტი მაჯები
აღარავისგან დაიკოცნება...

რადგან ქალია, ცრემლი ერევა,
რადგან მარტოა, მით უფრო უჭირს,
ჩალის ფასი აქვს უკვე ცხოვრებას,
უიდეალოს, უფერულს, დუხჭირს...

აღარაფერი არ გააჩნია,
რაც ჰქონდა, ისიც ნელ-ნელა ცვდება,
მანაც რაღაცას უღიმის ძილში,
ეძახის... უყვარს... ახლავს ხვედბა...

და გრძნობს, გარდასულ სიყვარულთაგან
სისხლიანი და გადაღუნული
რჩება სამშობლო — მარადი სატრფო —
საქართველოდან გადახვენილი...

სურათი: მეოცე საუკუნის დასაწყისი

ვერის ხიდზე იდგა
და თვალები ჰქონდა სველი,
ვერის ხიდზე წვიმდა...
კანკალებდა ნერვიული ხელი.

ფიქრი იყო მძიმე
და იმედი — მხოლოდ ღამე,
დაჰკარგოდა სიხარული,
სანუხარი ჰქონდა ბევრი რამე...

ვერის ხიდზე იდგა,
ყველაფერი დაემარხა,
ხმამალალი იწყო ფიქრი,
თავისი ხმის გაგონება გაეხარდა...

ჩურჩულებდა: შიში... ძილი...
ყვავილები... თოკი... სერაფიტა...
ვერის ხიდზე წვიმდა...
ვერის ხიდზე აღარავინ იდგა...

არტისტული ყვავილებით ხელში
ცის და მიწის გასაყართან იდგა,
არის რაღაც ჩაუქრობლად დიდი,
არის რაღაც დაუნველად წმინდა...

გულთან მიგაქვს ჯადოსნური ხელი,
თითქოს სულში ათასი მზე იწვის,
არტისტული ყვავილების ბალებს
სხვა ვერ დარგავს, საქართველომ იცის...

იყო ბავშვობა, დედა და მამა,
სოფელი, სახლი, მოვლილი ბაღი,
ფერადყდიანი წიგნების თარო
და სიმარტოვე — ცხოვრების დალი...

იყო სიმშვიდე (დედა და მამა,
ახლა ისინი სხვაგან არიან...),
მონაზონივით ვზივარ ოთახში
და ველარ ვუძლებ ღამეს მთვარიანს...

ბავშვობაში იყო:
დედაბერი კუდიანი,
ხოლო კაცი — გუდიანი...

ბავშვობაში იყო:
ნიშხა-ნიშხა,
ბალბალუკა...
საით?
უკან, უკან...

ბავშვობაში იყო:
ალათასა, ბალათასა,
კალათასა...
ბავშვობაში იყო...

უფლის სახლთან კუნელი და
ბარდები და ეკლესია,
შორიხლო მონყენილი,
მტრედისფერი ეკვდერია...

ისე ტკბილად გალობს შაშვი,
თითქოს ყველა ლოცვა იცის,
ზეცით მიხმობს უფალი და
შენთან მტოვებს მაღლი მიწის...

**ჩემი სახლი მარტო დგას გიორგინინდაში
და მიცდის**

სახლო, გილოცავ ახალ წელს,
მრავალს დაგასწროს უფალმა,
ხვავი, ბარაქა გქონდეს და
კიდევ... ჩემი თავი!

სახლო, ნეტავი არ მქონდე,
სახურავ-ღობიანა,
სულ ყრიაშული გქონდეს და
კიდევ... ჩემი თავი!

სახლო, ისეთი კარგი ხარ,
მრავალს დაგასწროს ღმერთმა,
მონყენილი ხარ ზამთარში,
ზაფხულში მხიარულობ...

მონყენილი ხარ ზამთარში...
ზაფხულში მხიარულობ...

ფოსტალიონი

ჩვენს ფოსტალიონს ერქვა ალექსა,
იყო ოჯახის ნამდვილი წევრი,
პაპასთან იჯდა, თან ცოტას სვამდა,
ათას რამეზე ლაპარაკობდნენ...
...ახლა არც ფოსტის ყუთებია,
აღარც ფოსტალიონი.
მასსოვს, სოფელში, კართან გაჭრილი იყო,
რომ გაზეთები შემოეცურებინათ
იმ შემთხვევაში,
თუ შინ არ ვიქნებოდით...
პენსია პირდაპირ სახლში მოჰქონდათ
(რა ბარათი... რის ბარათი...),
პაპა ყოველთვის მანეთს ჩუქნიდა ფოსტალიონს
და მე ვანგარიშობდი,
ასი პენსიონერი თუ ეყოლებოდა
ჩვენს ფოსტალიონს,
ე. ი. ას მანეთს აიღებდა
(მაშინ რამდენი იყო პენსია, აღარ მახსოვს)...
მარო ბებიას კი ლენინის ორდენი ჰქონდა და
განსაკუთრებულ პენსიას იღებდა...

დასასრული დასაწყისი N265

4

ფირო ქალაქში რამდენჯერაც ჩამოვიდა, ყოველ ჩამოსვლაზე ორი დღით მაინც რჩებოდა, თან საგანგებოდ გამოეწყობოდა და ხოლმე, ვაითუ მოულოდნელად ელეს გადავანყდევო. მორიგ ჩამოსვლაზე ჯერ სან-ზონას მიადგა, მერე ნაძალადევის გადაინაცვლა, გვარიანი ტერიტორია მოიხილა. ბინები ბევრი ქირავდებოდა და ორიოდ გროშით ღამის გათევვა შეიძლებოდა. ერთგან შენობა შენიშნა ჩამუქებული შუშებით. ფარმაცევტული ქარხანა ყოფილა. მარგალიტას შესახებ იქაც გაიკითხა. ეზოში ვეება ცილინდრები განელაგებინათ, თითქოს გოლიათების შლაპები ეწყო. საზღვარი არ ჰქონდა ადამიანთა ფანტაზიას. ხმაურიანი ალაგი კი იყო. დანადგარები დგანდვარებდა, დეკორატიული კაბინები რახრახებდა. მაშინვე იგრძნობდი, საქმიან თემში რომ აღმოჩნდი. იქვე სასაბუღალტრო შენობას გადააწყდა, ჩახუთული დერეფნები რომ ჰქონდა. ხანდაზმულ მეპატრონეს პური და მაკარონი შეუკვთა. მაღალი მინი დაკარგვდა და გემოს ველარაფერს ატანდა, მხოლოდ იმისთვის იკვებებოდა, ძალა რომ არ გამოცლოდა, რადგან ისევე ქალაქის მტვერში და ოხრობაში უნდა ედურთა თავი. თითქოს ვალდებული იყო, ქვანახშირის გამოწვლილ ქვიშაქვე და სქელი ძაფით ნაქსოვი მაისური ცმოდა.

უთენია ისევე ძებნას იწყებდა. აივნებზე თუკი ვინმე გამოჩნდებოდა, რჩევას ჰკითხავდა, თუმცა წინასწარ გრძნობდა, რასაც უპასუხებდნენ, აქეთ ეგეთი არავინ ცხოვრობსო. ირგვლივ ხარაჩოები ეყარა და დაშლილი ხარხინები მიმოეფანტათ. ეტყობა მშენებლობას მორჩნენ და ამახაც მალე წაიღებდნენ. ზოგან ციცაბოები ჩამოშლილ კიბეებს ჰგავდა. ვინო საფეხურები კლდეზე საგანგებოდ გამოეჩორკნათ. იქ მცხოვრებნი ხტუნვა-ხტუნვით ეშვებოდნენ, გეგონებოდა ფრთები გამოსხმოდათ. ფირომ გამვლელი გოგონა ელეს მიამსგავსა, თუმცა სხვა აღმოჩნდა. მერე ვერაფრით აღიდგინა ელეს სახე. თითქოს მეხსიერება ისე დაჰკარგვოდა. ეჭვმიტანილის ამომცნობადაც ვერ ივარგებდა, მაგრამ თავი დაიმშვიდა, რომ დავინახავ, იმნამსვე ვიცნობო. მონატრება ტანჯავდა, შეხორცებული ჭრილობები ტკივილს ვერ უამებდა და მწველი შეგრძნებები სადღაც შიგნით განაგრძობდა არსებობას. რეალობა რაღაცნაირი ამორფული გამხდარიყო, სიმკვრივე დაჰკარგვოდა და იმდენად ფუტურად ქცეულიყო, ხელის ერთი შეხებით იშვებოდა. ფირო შესაძლოა ფუჭად ირჯებოდა, მაგრამ ცხოვრება თავისას აგრძელებდა, მის შესახებ რა დასკვნაც არ უნდა გამოეტანა. ნეტავ ელე თუ გრძნობდა, ფირო განუწყვეტილვით რომ დაეძებდა. ან იქნებ ეს ახირება სულაც ხიბლი იყო, თითქოს არარსებული ჩრდილის მოხეტობას ცდილობსო. იქნებ სხვაგან უნდა ეძებნა, ქალაქის მეორე სანაპიროზე, მაგრამ ხომ ამკარად თქვა, რკინიგზასთან ახლო ვცხოვრობო. იქნებ უკვე ოჯახიც შექმნა, ისეთი ღამაზი იყო, ვინ გააჩერებდა, მთხოვნელნი ქვეყნის ეყოლებოდა, იქნებ ბინა გადაცემის ან სულაც საზღვარგარეთ გადავიდნენ საცხოვრებლად. ეს ყველაფერი გულს უკლავდა. თანაც ვერაფერს ასწრებდა, თვალის დახამამებაში გაპიკებიც სახვეწარი უხდებოდა. ვერც კი მოეფიქრებოდა, რა გზა დადგომოდა. მხოლოდ იმის იმედი იყო, რომ ყველაფერი ხანმოკლეა — სიმდიდრეც და ხელმოკლეობაც — და საბოლოო ჯამში თვით სიცოცხლაც კი. იგი წარმოდგენებით უფრო ცხოვრობდა, ვიდრე რეალური ყოფით, ალბათ ამიტომაც აღმოჩნდა ამ დღეში. ხარჯების შემცირებასაც ცდილობდა, რადგან ადრევე დაასკვნა, რომ ფული მხოლოდ იმ შემთხვევაში ეყოფოდა, თუკი არაფერი ენდომებოდა. სამსახურის შოვნაც სცადა, მაგრამ ქალაქში ჩანერილი არ იყო და უარით ისტუმრებდნენ, თუმცა დიდად არც ნუხდა ამაზე. რომც ეშოვა, ვიცავს დაათმობინებდნენ. ყველაფერი ხომ ჩანაცვლებში მდგომარეობდა. მერე ამას უფრო იდარდებდა. ადმინისტრატორებს ისეთი მკაცრი სახეები ჰქონდათ, თითქოს შემლითა თავშესაფარს განაგებდნენ. საზოგადოებაში გავლენები იმის მიხედვით ნაწილდებოდა, რაოდენი ქონების მფლობელიც იყო ესა თუ ის პირი. საქმე, რომელ-

საც თავი უძღვნა, უპერსპექტივო აღმოჩნდა. ხშირად რომელიღაც ჩაბნელებული შენობის ნიაღში შეიკარგებოდა ხოლმე, სადარბაზოს კარები დაფრენილ ხახას რომ უგავდა, ხოლო დერეფნის გაყოლებაზე ყოველ ოთახში ტურისტული სააგენტოები გაეხსნათ, აქ მაცხოვრებლებს ყოველი კვადრატული მეტრი გაეკირავებინათ, თვითონ კი სხვაგან გადასულიყვნენ დროებით, რომელიც დიდხანს გასტანდა და ძებნას ესეც აძნელებდა.

ერთგან უღამაზეს ადგილს გადააწყდა. ელე აქ უნდა ცხოვრობდესო, გაიფიქრა. მოედნის კოშკს გლუვი და შედებილი სახურავი ამშვენებდა. მის სიკაშკაშეზე ზოგან ჩამავებული ადგილები აჩნდა, ხანძრის ნაკვალევი. ფიროს ისეთი ხანძრებიც ენახა, ცასავით ლურჯი ალი რომ ჰქონდა. მერე შენობაზე წარწერა შენიშნა — „სამხარეო მუზეუმი“. ირგვლივ ბინდი იფანტებოდა და განათიადის დაკლაკინილი ნათელი ერთიანად ასხივოსნებდა შემოგარენს, რომელიც მორიგ გაუგებრობაში გახვევდა ფიროს.

ერთ მაღაზიაში კამათიც მოუვიდა. მაღაზიის მეპატრონე ცოლ-ქმარს ამუშავებდა თავისთან. ცოლი დახლში ვაჭრობდა,



ქმარს კი საქონელი მოჰქონდა ხოლმე ძველი, დაფხავებული მოტოციკლით. იმ დღეს სასტიკი შელაპარაკება მოსვლიათ. სადღაც ყოფილან წასასვლელები და მძღოლს ცოლზე უთხოვია, დღეს იქნებ გაუშვავო. მეპატრონეს ჰგონებია, რომ იმ დღეს მიტანილ საქონელზე ელაპარაკებოდა და დამაჯერებლად უპასუხია, გავაფორმებ და გაუშვებო. რას ჰქვია, გააფორმებო, აღრენილა ქმარი და ღამის იქაურობა დაუღვინა. მერე სხვები შემოცვენილან და ძლივს გაუშვებდნათ. ბედის სასტიკი ნებბიერი ფიროს კი სწორედ იმ დროს შეხებდა მაღაზიაში სახეზე დადებული ღიმილით. მეპატრონემ შეუბღვირა, შენ რაღა ჭირი გინდაო. ადამიანს ვეძებო, მშვიდობიან ღიმილს განაგრძობდა ფირო. მერე რას მომშტერებხარ, ვერ ხედავ, რომ აქ მხოლოდ პროდუქტებს ვყიდითო, ჯავრით გასძახა და გავეზულმა კარები ბრაზით გაიჯახუნა, დერეფანში კი მოვარაყებულ ყუთს ნამოედო და ააყირავა. იქიდან გამოცვენილი ყინულები ნაფშვენებდა იქცა. აქ ეს რომელმა ჭკუათმყოფელმა დადგაო, მოჰყვა გინებას. წამით ამ ყინულებმა ზღვისდაბის კაფე გაახსენა ფიროს. ძალიან ბევრი დრო დაეკარგო ფუჭად, გაიფიქრა. მერე ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ქალაქის გარეუბნისკენ გასწავა. იქ ძეძვებით მოსილ ხრიკ ბორცვზე შედგა, დაძინილი და ქანცაგაყვითილი და უკანასკნელად გახედა უღმობელ ქალაქს, რომელიც არაფრით გაიკარა და უმაღლური სიტყვები წარმოთქვა იმ მიმართულებით, ხოლო ქანცი რომ გაუწყდა, ლასლასით მიბანცაღდა სადგურში, დაბისკენ მიმავალ ღამის მატარებელს რომ გაჰყოლოდა.

5

ფირო ბაქნიდან მარტო ჩამოვიდა, იქნებ სწორედ დაძვრის წინ. ფიქრებმა თუ

წაიღო. ჩაღრმავებული მზერა სადღაც ფსკერის რეალობისკენ მიეშვირა. ეტყობა, მგზავრთაგან ბოლო იყო. იგი საბოლოოდ დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს, განვლილი ცხოვრების აქტივ-პასივი რომ შეაფასა, სხვა გზა აღარც დარჩენოდა. ასე ალაღებდად აღარ ივლიდა, ელეს დაივიწყებდა და ყველაფრის სიყვარულს თავიდან ისწავლიდა. გზაზე ყოველ წერილმანს აკვირდებოდა, თითქოს პირველად შენიშნა გაჩაჩხული ხიდი, კონიალას რომ ეძახდნენ. ზედ რომ შედგა, ყანალი იყო. უბანიც ისეთი მივარდნილი იყო, ერთ მდიდარსაც რომ არ ეცხოვრა და თუ ვინმე გამდიდრებულა, აქედან საშუალოდ წასულა. ფული რომც ეშოვა, უმნიშვნელო მონეტა იქნებოდა და იმასაც მოაგარაკე თუ დაკარგავდა. მან მდინარეს ჩახედა. ჭავლების ლიცლიცით რწმუნდებოდა, წყალიც რომ ცოცხალი იყო. იგი სარკესავით ირეკლავდა გარემოს, რომელიც ასევე ცოცხალი იყო და სიცოცხლეთა ეს ერთობლიობა თუმცა უსაზღვროებას მოიცავდა, ერთმანეთის მაინც არ ესმოდათ. მოტივტვლებული გორაკების დანახვა ფიროს ნუგეშს ვერ ჰგვრიდა. უღრანი ტყე სჭირდებოდა, უსიერ ნიაღში მიმალვა, საიდანაც ყვე-

ლაფერი ხელისგულზე გამოჩნდებოდა, თვითონ კი ფარულში დარჩებოდა. მომცრო ჩირგვების გაკაფვისას ხელებს დაიკანრავდა, რომელი მეურნეობის მიძხედავი ფირო იყო. ბევრი რამ კი ექნებოდა მოსაგვარებელი, მაგრამ ეს მაინც მისი ცხოვრება იქნებოდა. ამ გზით უნდა ეარა და უქნარობას ვერ დასწამებდნენ. ამ ფიქრებში სკოლის შენობას მიადგა. გამჭოლად გამავალი დერეფნით გზას გაცილებით შეიმოკლებდა, მაგრამ შესაძლოა უკანა კარები ჩაკეტილი ყოფილიყო და გამობრუნება მოუწევდა. ამიტომაც არჩია შემოვლა. მაშინ მიადგა ახალ დარბაზს. ეს მნიშვნელოვანი ნაგებობა დაბელებს წერილმანი დანაზოგებით აეგოთ, მას კი მონანილობაც არ მიუღია, თითქოს აქარც ეცხოვროს. აქაურები შრომით დაძაბუნდნენ, ღამის მექანიკურ არსებებად ქცეულიყვნენ, სანახევრიდან როცა ბრუნდებოდნენ, ჩემები ლაფში და ტალახში ეფლობოდათ, დასკვნების დღეებში საწოლზე მიეყრებოდნენ და წამსვე იძინებდნენ, სკამზე ჩამოჯდომისას თვლებდნენ, არსებობისთვის ბრძოლაში სამეფო ხილის მოპოვებას კი არ ცდილობდნენ, არამედ რასაც მოიხელთებდნენ, მაგრამ გულწრფელ სიხარულს გამოხატავდნენ და უმნიშვნელო საქმის გაჩარხვაც ისე აბედნიერებდათ, როგორც გამოზამთრება, ან რაიმე სიმძიმის გადაგორება.

მერე ჩამსხვრეულმიწებთან ქარხანას ჩაუარა. გამოვიგულე შენობაში ორპირი ქარი ზუზუნებდა. პატარა საამქროები მანაც განაგრძობდნენ მუშაობას. რა ექნათ, პურის ფული ხომ უნდოდათ. ამოორებულ მდინარეში წამწვი მარუთივით ლაპლაპებდა. ეს შავი სითხე, მეტი იყო, ვიდრე წყალი და მდორედ და ზღაზღვით მიედინებოდა. შიგნით თევზები დაოსებული დაცურავდნენ. მათ ხელში ჩაგდება ბადე არც კი დასჭირდებოდა, თვითონვე გამოდიოდნენ

ნაპირთან მოსასულიერებლად, ერთ დროს პრიალა ფასადები სიძველეს მოეცვა, კედლებს ბათქაში ჩამოცვენიდა. ჭებოც იყვე იყო, ხელის განვდენაზე. ფირომ წყალი შესვა და მოშორებით შეკრებილ მეზობლებში გაერია, იქნებ რაიმე მნიშვნელოვანს ჰყვებოდნენ და ორიოდ სიტყვას მასაც შეენია. თუმცა არც არაფერი ჰკითხავდნენ, სანამ თვითონ ამბავი არ მიადგებოდა იმ მომენტს, საიდანაც თხრობა მას უნდა გაეგრძელებინა, რადგან რაღაცის დაზუსტებას უკეთ შეძლებდა. მაგიდა, რომელზეც დომინოს თამაშობდნენ, პავლეს ეზოში იდგა. კიდევ კარგი წვიმამ დროზე მომიწნო, თორემ ორიოდ დღის წინ მიმოიეზო ძმარვივით ყარდაო, ყვებოდა პავლე. იგი გრძელ მოშენებას სათავსოდ იყენებდა და ღვინოს და არაყს იქ ხდიდა. ფიროს უყვარდა დაბის მცხოვრებნი, მაგიდასთან რომ ისხდნენ და დომინოს ქვევს უჭახუნებდნენ. ახლაც პავლემ ის იყო დუშაში დაახეთქა, რომ სარკმლიდან საწყალობელი შეძახილი მოისმა:

— წყალი, ღვთის გულისათვის!
 — რაც მე წყალი ვუზიდე, ხანძრებს ჩააქრობდა. მას კი ისევე სწყურია! — აღმოხდა აღმფრთხილ პავლეს, ფეხზე წამოიჭრა და იქვე მდგომ დასაყრდენად კაცს გასძახა, — მოდი, სიგრძე, გააგრძელე ჩემს მაგივრად!

— გატანჯა დედის სწეულებამ! — სევდიანად ჩაილაპარაკა სიგრძემ, სიხარულსაც ოხვრით რომ გამოხატავდა და მის ადგილს მიაშურა. სიგრძე ის გახლდათ, კაპასი ცოლი რომ ჰყავდა. ამ მეტსახელსაც სიმალის გამო ეძახდნენ. ვირივით მშრომელი კაცი იყო. დაეჩემებინა, ჩემიანები ზღვაშიც კი მყავსო, ვირთევზებს თუ გულისხმობდა, მაგრამ თურმე შორეული ნაოსნობაში გადახვენილი შორეული ნათესავები ჰყოლია მხედველობაში. სიგრძეს სჯეროდა, კაცი რომ იბადება, გოლიათები გიგანტურ ქვიშის საათს ამოაბრუნებენ ხოლმეო, ჭურჭელს უწვრილესი ყელი აქვს, მარცვლები ერთმანეთს ეფინება და კაცმა არ იცის, როდის ჩამოიცილებო ბოლომდე, ამიტომაც გვეცხვრობსო სევდა და მონყენილობა. ეს მარცვლები ჩვენი სიცოცხლის წუთებს გამოხატავსო. ფიროს უნდოდა მხურვალედ გადახვეოდა გულითადი ლაპარაკის გამო. ოჯახს აღარ უნდა მოეკიდო? მერაზდენედ საყვედურობა სიგრძემ. მერე იმდენხანს ელაპარაკა, თითქოს ორმხრივი თანამშრომლობის კონტრაქტს აფორმებენო. ფირო უსმენდა, მაგრამ ძველებური შემართების მგზნებარე ცეცხლი მინავლებოდა. მიზეზად რას მოიდაც, რატომ არ მოგყავსო, განაგრძობდა დაკითხვას დაჟინებით. ქალების ატანა არა მქვსო, თავი იმართლა ფირომ, როცა ენებს ატარტარებენ ცეცხლის ტკრციალა ალექსს მაგონებენო. სიმართლეს ხომ არ გაუმხელდა. მის ნათქვამზე სიგრძეს სიცილი აუვარდა, ერთი მხრივ მართალი ხარო, კვერი დაუკრა, მაგრამ სხვა გზა მაინც არა გაქვსო.

ფიროს დეიდას ადრე უდღეური კამეჩი ჰყოლია, რომელიც ხორცად გაეყიდა და გვარიანად ეზარალა. თურმე ამას დიდად განიცდიდა. მაგრამ ფიროს ფინანსური მხარე არასოდეს ალელვებდა. უჯვობდა, სახელზე ეზრუნა. ფიქრობდა, სახელს თუ გავითქვამ, ფულიც გამიჩნდება და ყურადღებაც არ მომაკლდებაო, თუმცა ეს იოლი საქმე სულაც არ ყოფილა. შეცდომები თავიდანვე ჰქონდა დაშვებული და ბევრს ველარაფერს შეეცვლიდა. ცხოვრება როგორც არ უნდა განეგრძო, მაინც ჩიხს მიადგებოდა. იქნებ რასაც გულისხმობდა, არც ჰქონდა საფუძველი ეგულისხმა, მაგრამ ის კი ესმოდა, თუკი აქ ფსევსი გადგმას მოინადინებდა, ბედნიერებაზე მოუწევდა უარის თქმა. ცხოვრება ცუდად მაშინ გეპყრობა, როცა თავისიანად არ მიანიხარ, ანდა იქნებ სულაც ამ მეთოდით გწვრთნის. ერთი კია, დრო უაზროდ აღარ უნდა ეფლანგა. ეს ხომ იგივე იქნებოდა, ოქროს მონეტებით სავსე სკივრი შუაგულ მდინარეში ჩაეპირქვავებინა.

დეიდის გარდაცვალება ძალიან განიცადა. იმ ღამეს ისეთი კუნაპეტი ჩამოწვა, ქურდსაც რომ არ ენდომებოდა. რაც მიწას მიაბარა, ათასში ერთხელ თუ გამოვიდოდა გარეთ, მაგრამ ერთხელაც სიგრძემ უხმო და კვლავ ძველ თემას მიუბრუნდა.

— დროა, დაოჯახდე, ფიროუხ!
 პირველად მაშინ მიმართეს სრული სახელით, რომელიც ფიროს ძალიან ეუ-

ცხოვრება, დავინყებოდა კიდევ. სიგრძეს უზადრუკი არ გუგუნებდა მოჰყავდა, ცდილობდა გამჭრიახად ემსჯელა, თუმცა ამ მცდელობით ფიროს თვალში მინიატურულ ფიგურას ემსგავსებოდა, საკუთარი გოლიათობა ნუთისოფელს რომ შეაცვითა. ადამიანი ხომ ისეა მოწყობილი, რასაც თვალს ვერ შეანდვენს, წარმოიდგენს. ფირო კი თავის შესახებ არავის არაფერს უამბობდა, განა სხვებისთვის სულერთი არ იყო მისი სადარდელები? რომ გაეგოთ, დასცინებდნენ კიდევ, გამასხარავენ და დაუნყებდნენ, შედარებით გულთაღი, როგორც სიგრძე იყო, ურჩევდა, დაივიწყე, მაგრამ მაშინ გასამხნეველად სად ეცალა ომში ჩაბმულს. ვერავინ გაუგებდა, სულის სიღრმეში რას განიცდიდა. ცხოვრება მძიმედ დაძრულ შემადგენლობას ჰგავდა, ფუჭად იღწვოდა ლიანდაგებზე ამოსული ენძელების გადასარჩენად, სიგრძე კი აქტიურობდა, ექთანს გოგო მუშაობსო პოლიკლინიკაში, მენ უნდა გაგრიგო. ფიროს უკვირდა, ეს მშვიდობიანი კაცი კარის მეზობელთან უბრადად რომ იყო. მეზობლად მდებარე ორსართულიან სახლს სიგრძეს კაპასი ცოლი პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა და ქმარს მის წინააღმდეგ აქეზებდა. იმიტომაც ააშვერინა ღუმლის მილი იმ სიმაღლეზე, მეზობლის სახურავს რომ აცდენოდა. სიგრძე იმდენად ალალი და ბრიყვი იყო, რაიმე საკითხის გადასაჭრელად შუამავლებს ერჩინათ საქმეზე ტელეფონით გასაუბრებოდნენ და მაშინაც ერთი სული ჰქონდათ, სალაპარაკო დრო გაუქმებოდათ თანხის ამონურვის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით. სიგრძეზე ამბობდნენ, ჭკვიანი მამა ჰყავდაო, სიმდიდრეს პეშვებით ხაპავდაო. ბანკის ანგარიშზე არ გააჩნდა, მაგრამ ჯიბეები მუდამ ძვირფასი ქვებით ჰქონდაო გამოტყენილი. სადაც მთებში თვითნაბად ოქროს გადააწყდა და ნიჩბით ხვეტავსო. ერთი პერიოდი სიგრძეც დააჯერეს. მან გადაწყვიტა, რუმად ავედევნებო, გავიგებ სად დადისო მამაჩემი, მაგრამ ეს სიმდიდრე ფანტაზიის ნაყოფად აღმოჩნდა. ნიჩბით იგი მხოლოდ ბელეტებს აფხვიერებდა და მოსავალი მოჰყავდა. მომცრო მდელივებსაც იყენებდა დასათესად. უქმად მოცდენილ მინას ვერ ჰგუობდა. ის ძვირფასი ქვები კი მინერალური კრისტალების ნატეხები აღმოჩნდა, მთის მდინარის ფსკერზე რომ პოულობდა. სიგრძემ აღნიშნა, მამაჩემს დიდი ფული რომ ჰქონოდა, განა მეორე სართულს არ წამოჭიმავდაო?!

დომინოს ყოველი პარტიის შემდეგ ნაგებულ წყვილს ახლები ცვლიდნენ. ფიროსაც შესთავაზეს, მაგრამ აიჩქმა, მირჩევნია ასე გიყუროთო. ნეტავ ყურებში რა ეყარა? სიგრძე კი მარჯვედ თამაშობდა, რადგან სულ მაგიდასთან რჩებოდა. მისი ცხოვრებისეული უცნაურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთთავად ეძინა. მხოლოდ დიადი საქმეების ჩასადგენად აღვიძებდნენ. ამის მიზეზი თუ მალეობარას სკრიპალი იყო, მამ სამსახურში წასვლის დრო დამდგარა. თუ ძმაცკების ყიჟინა, ესე იგი საქეიფოდ ეპატიუბოდნენ, თუ ცოლი აღვიძებდა, სიყვარულს ეძლეოდა, ხოლო თუ მეზობლები, დომინო უნდა ეთამაშა და ამას ყველაფერს ფხიზლად, უსიტყვოდ და გამიჯობი გამოემტყველებოდა სწადიოდა, თითქოს დაკისრებულ მოვალეობას მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მერე ისევე ტკბილად და დამსახურებულად რომ ჩასძინებოდა. ერთხელაც ფირომ მასთან საუბრისას თავისი მოსაზრება მკაფიოდ ჩამოაყალიბა:

— ცხოვრება თავიდანვე უნდა წავივიდეს, თორემ შემდგომში, გადაკეთებას რომ შეეცდები, ათასი შეუსაბამობა იჩენს თავს. ნებისმიერი წნეხი საზოგადოებრივი შეთანხმების შემადგენელი ნაწილია. ოფლის ღვრას ყოველი საქმე მოითხოვს, იდუმალი ქმედება კი, როგორც შორეული ჩქამი ან ფარდის უმიზეზო შერხევაა, სამყაროს სიფაქიზეზე მეტყველებს. ჩვენ კი რასაც ვაკეთებთ — ვშრომობთ, ხარისხებს ვამაგრობთ, შრეებს შორის გამყოფ სივრცეს ვიშვყავს გადანაჭრებით ვავსებთ, ჭყეტელა ფერის საბან-გობანს ვანიავებთ, ზენარს და ბალიშისპირს ვცვლით, თუ ჩიტების ფლურტულს ვუსმენთ — ამით ცხოვრების გაუმჯობესებას ვცდილობთ!

ფიროს ამდენი მისდევში არ ულაპარაკია. ყოველ შემთხვევაში, სიგრძემ ასეთი ვერ გაიხსენა, ყურადღებით უსმენდა და

იმ დღიდან ჭკვიან კაცად მიიჩნია. სამეზობლოში რაიმე საკითხს თუ ვერ წყვეტდნენ, ხშირად უთქვამს, ფიროს ვკითხოთო. დეიდის წლისთავის მერე ფირო კიდევ უფრო სერიოზული გახდა, თითქოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა წარსულსა და მომავალს შორის, არც ერთის დათმობა რომ არ სურდა და აქამდე ასე გულსგარეთ ცხოვრობდა.

ერთ დღესაც პოლიკლინიკას მიადგა. ის ექთანი მონახა, სიგრძე რომ ურჩევდა და საკაცზე ჩამოეჭდარმა ხელი თხოვა. ექთანმა უპასუხა, მოსაფიქრებლად დრო მჭირდებაო, პაციენტი მოიმიზეზა, რომელიც ინჰალაციას უკეთებდა, მაგრამ როგორც კი პროცედურას მორჩა, თანხმობა განუცხადა. თურმე სიგრძე მასაც ჩასჩინებდა, იმ ბიჭზე უარს ნუ იტყვი, თუკი კარზე მოგადგებო. მასზე კარგად ვერავის ნახავო. მალე დაქორწინდნენ. დასახლებაში ფიროს ყველა უნონებდა არჩევანს, სანიმუშო ოჯახი შექმნაო. ხოლო შემდგომში მთელი ცხოვრება ბანალურად გაგრძელდა. დაოჯახებული ფირო სამუშაოდ მოეწყო. დღესასწაულებზე რესტორანში უკრავდა ხოლმე დამატებითი შემოსულისთვის. მალე შევილიც შექმინათ, მერე მეორეც მოჰყვა. მოვა დრო და გიტარის დაკვრას ვასწავლიო, განაცხადა ფირომ. მართლაც, როცა წამოიზარდნენ, ყრუ კედლების მიღმა ერთთავად სიმების ჟღერაილი გაისმოდა. მერე კი წლები ისე გავიდა, ერთი დღის აღწერაც საკმარისი რომ იქნებოდა მთლიანი სურათის წარმოსადგენად. ერთხელაც თანამდებობის პირის ქორწილში დაუკრა და გვარიანად დასაჩუქრდა. ჯიბეები ფულით გამოუტენეს და შინ მისვლისას გადათვლა დაიწყო. თუმცა დიდი ენთუზიაზმით არ ითვლიდა, რადგან თვითონ ფული ითვლიდა უკანასკნელ დღეებს, ძალას კარგავდა. სადაცაა ნყოფილება დაემხოოდა და პირველ რიგში ფულის ნიშნებს შეცვლიდნენ. ჩინოვნიკებიც იმიტომ გამხდარიყვნენ ხელგამოღობი, ატყობდნენ ფული ფუჭდებოდა და ხალხს თავს იყრდნენ დაკარგვით, მაგრამ რაოდენი იყო ფიროს გაკვირვება, როცა ერთ-ერთ სამმანეთიანზე ელეს გაუფერულებული მინანერი ამოიკითხა:

„გორაკებიანი დასახლება. დრამის ჩიხი 5.“

მაგრამ იქნებ ეს მინანერი ელეს სულაც არ ეკუთვნოდა, დარწმუნებული ვერაფერში იქნებოდა. ოცდაათი წელი მაინც იყო გასული.

6

იმ დღეს ფირო ადრინად ჩავიდა ქალაქში. შუადღისას უკვე გორაკებიანი დასახლებაში იმყოფებოდა. მოეჩვენა, რომ იქაურობა ეცნო, თითქოს ერთხელ უკვე ჩაეკლოს.

დრამის ჩიხი 5. „კოლენელი“ — დიდი ასოებით ეწერა მწვანედ შეღებილ ჭიქკარზე. კოლენელი ეტყობა ელეს გვარი იყო.

— ელე კოლენელი! — ორჯერ გაიმეორა ფირომ, როგორც მაშინ გადაიხადა მადლობა ორჯერ, თითქოს სიმების ჟღერადობას ამონებდესო. მის გულს ზაგაბუგი გაჰქონდა. ნუთუ სწორად მოვიდა და აქ, ამ მყუდრო ეზოში ცხოვრობდა მზისა და ვარსკვლავების უნაზუხი პირმშო, პირმშვენიერი გოგონა, რომელზეც ალბათ ყოველთვის დიდი ტაცება იქნებოდა გამართული, სიბერის მიუხედავად ეჭვებს ვერაფერს უხერხებდა ფირო.

— ვინმეს ეძებთ? — გამოსძახა წინსაფრინამა ქალმა, გრძელი ცოცხი რომ ჩაებლაუჯა და ეზოს ჰგვიდა, მოსამსახურედ იდგებოდა ოჯახში.

— ქალბატონ ელეს! — ხმა არ გამეზხაროსო, რიხით წარმოთქვა ფირომ.

— შელიშვილს ასეირნებს იქ, მწერლის სკვერში! — ხელი დაღმართისკენ გაიშვირა.

მამ უკვე დაბადებულა მომავალი გულთავანმამირავი, გაიფიქრა ფირომ და ქვაფენილს დაუყვა. საკმაოდ დამრეცი ქუჩა იყო. შორიანო რკინიგზა გამოჩნდა, წყვილი რელსი მრავალი განივი განძელით. ზედ ელმავალმა ჩაიარა მცირე შემადგენლობით. გუგუნის ხმაც გაიკონა, როცა სადგურს მიაყვია. სკვერში ვერხვების ხეივანი შრიალედა, შადრევნის შხეფები მონითალო ქვიშას ფერქვევდა, შუაგულში კი მწერლის ქანდაკება იდგა, რომლის კვარცხლბეკთან ბათქაში ეყარა და ჰაერი მტვრით იყო გაჟღერებული. დაბზარულ

ფილებსაც ეტყობა ექსპლუატაციის ვადა გასვლიდა. ალბათ აღარც მკითხველი სწყალობდა დიდად ამ მწერლის წიგნებს. საჩუქარს გადაეცემ და წამოვალ, თავს იმხნევებდა ფირო, საჩუქარი კრეზსაც კი გაახარებდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ამ ქმედებასაც გაბედულება სჭირდებოდა.

— ელე! შორს არ წახვიდე! — გაიგონა მან. ეს ხომ მარგალიტა ბებოს ხმა იყო. ფირო იქითკენ მიტრიალდა და იმ ქალში, მარგალიტა ბებო რომ ეგონა, ელე ამოიცნო. თითქოს ძველისძველი კადრი მეორედებოდა, ოღონდაც შეცვლილი როლებით. მას შალის მოსასხამი მოეხურა, უცხო ვარცხნილობის თმა წაბლისფრად ჰქონდა შეღებილი, ასაკის მიუხედავად მოღუდურად ეცვა და არც პენი და ეშხი აკლდა.

ფირო მერხზე ჩამოჯდა. მწერლის ძეგლი გამგლელებს ისე ცნობისმოყვარედ დასჩრებოდა, გეგონებოდა, სადაცაა გადაყრავდებო. ქანდაკებას ლამის ძახილი მიერთო, ფირო კი ეღმდა.

— გამარჯობა, ელე! — გაბზარული ხმით წარმოთქვა ბოლოს, რომელიც ისე უცხოდ გაისმა, თითქოს თანხმონებებს დამტვრეული მინის ჟღერადობა შესქენოდა. მის ხმას ცეცხლი აკლდა, სიტყვები დამაჯერებლად რომ გაჟღერებულიყო, სიმხნევის ცეცხლი, სიმარტოვის წლებმა რომ გაანელა. მათ ერთმანეთს შეხედეს შეხერეული სახეებით, თუმცა ასაკი ქალს მაინც ნაკლებად ეტყობოდა კანის მოვლის, პუდრისა და ფერუმარილის გამო.

— ფირო?! — გაოცებით აღმოხდა ელეს.

მას გაუკვირდა, რომ იცნეს, მოკითხვის შემდეგ კი ენად გაიკრიფა. ათას რამეს გადასწვდა და მიკიბ-მოკიბა, ელეს ვაგამხიარულეო, იფიქრა. ჩემი ამბავი, იცი, რას ჰგავსო, თქვა, დაძრულ მატარებელს უკანასკნელ წამს ძლივს რომ მიუსწრებ და დახშული კარის სახელურზე ჩამოეკიდები, ბოლო საფეხურზე ფეხს როგორღაც მოიკიდებ და მერე კი გაქვავებული მგზავრობ. ეს მატარებელი ჩქარი და კომფორტულია, ვრცელ გზაზე მხოლოდ ორიოდ სადგურით თუ აჩერებს და რამდენი ნაცნობიც თვალს მოგკრავს, იმდენი აზრი ჩნდება — პირველი კლასის მატარებელით მგზავრობდაო, საუკეთესო კუპე ექნებოდაო აღებული, მაგრამ ჰაერზე ყოფნა ერჩივნაო, ჩვენზე არც კი უფიქრია, ჩვენთვისაც რომ აელო ბილეთიო, მხოლოდ თავის თავი ანაღლებსო, ეტყობა, როცა პირველი კლასის მატარებელით მგზავრობ, სხვები გავიწყდებო... არადა ერთი სული მაქვს, მატარებელი გაჩერდეს და ფეხით განვაგრძო გზა! — ფირომ მოყოლა ისე გაასრულა, რომ თვითონაც არ იცოდა, რისი თქმა უნდოდა. არაფერი იყო საამბობი და მაინც ყვებოდა, მაგრამ სიტყვები მალე ისე გამოელა, როგორც უდაბნოები შვა დამშრალმა მდინარეებმა.

— აი, ეს მოგიტანე! — სამკაულთან ერთად გაუნოდა ელეს. თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ იმიტომ დაეძებდა, ამდენი ტარებით გაძენილი თავშალი რომ დაეზრუნებინა. ელემ მხრები აიჩქმა, როგორც ოდესღაც სწევოდა, ზავგობაში, — გახსოვს, მაშინ სადგურში რომ დაკარგე!

— მარგალიტა ბებოს თავშალი! — თქვა ელემ სევდიანი მხიარულებით, — სამკაულიც რა მშვენიერია! ნუთუ მე მეკუთვნის?

— თავშალი შენი მეგონა! — თქვა გადაიტანა ფირომ.

— მაშინ ნაძვანარში რომ ვიყავით, მხრებზე მომახვია, არ გაცივდებო! — ელესაც ყოველი დეტალი ახსოვდა.

— მარგალიტა ბებო სად არის?

— რახანია მშობლების გვერდით განისვენებს ძველ სასაფლაოზე!

ფირომ წამით წარმოიდგინა, როგორ მიჰქონდა ხოლმე სევდიანი ყვავილები ელეს მის საფლავზე. ერთხელ იქაც ავალ, გაიფიქრა მან, ძებნა ხომ მისი ცხოვრების მთავარ საქმედ იყო ქცეული, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს აგნებდა. უცებ საშინლად დაწყდა გული, ელეს ცხოვრებაში, ვისთვისაც მთელი თავისი ცხოვრების მიძღვნა სურდა, ყველაფერი უმისოდ რომ ჩატარდა.

— ელე კოლონელი! — გაიმეორა დამარცვლით და ათასი სიტყვის წარმოთქმის ნაცვლად ესაღამოდურდა, — ზანზალაკებით უღერს!

— სხვა, როგორ ხარ, ფირო? — გაელიმა ელეს.

— აბა, რა გითხრა! ვინც შენ ცოლად არ მოგიყვანა, სევდის მეტი არაფერი დარჩენია, რადგან დროის მსგეველობაში მშვენიერი გოგონები საბედისწერო ქალებად იქცევიან ხოლმე!

— ნუ აბუქებ, ფირო, ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ! — თქვა ელემ.

— ვერასოდეს ვნვდებოდი პარალელური სამყაროების არსს, იქნებ ასეთ მდგომარეობას გულისხმობენ, როგორც ჩვენ ვიცხოვრებთ?! — თქვა ფირომ.

— რატომ არ მნახე! — საყვედურით განყვეტინა ელემ.

ზღვასავით იდუმალი მზერა რომ ჰქონდა, რომელშიც მრავალი სევდა ჩაძირულიყო ძველი ორჩხომელების მსგავსად, დროდრო ტალღები რომ რიყავენ ხოლმე ნაპირზე, ფიროს კი თვალეში შემზარავი მარტოობა ედგა, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა. იქნებ რახან ყველაფერი ჩავლილი იყო, ელეც იმიტომ მოეცვა სევდას. იქნებ ის გაიფიქრა, რომ ფიროსთან შესაძლოა სულ სხვანაირად წარმართულიყო ცხოვრება, მაშინ ხომ თავიდან უნდა დაწყებულიყო და ჯერაც ახალგაზრდები იქნებოდნენ. მარტო ამის გულისთვისაც კი ღირდა. ვერ იჯერებდა, რომ როგორც არ უნდა მომხდარიყო, ყოველივე ამოდ ივილიდა, რადგან ცეცხლის მარადიული თვისებაა ფერფლად და ნაცრად იქცეს. ზოგადად შეყვარებულების მზერას მწველი მზე ასხივოსნებს ხოლმე, მაგრამ რძისფერი რიყრაჟის მგზნებარე ნაპერკლები იმათ თვალეში დიდი ხანია ჩამქრალიყო.

ხელი ვისაც ჩაეჭინა, გამოეხვეცა სევდიანი ჰქონდა, მთვარით განათებულ მდელის მიუგავდა, ან იმ კელაპტარს, სადაცაა რომ მიიღოდა. ახალგაზრდობა აბრიალებული ცეცხლია, სიბერე მინავლებული ნაკვერჩხალი. ადამიანებს ჩვევით ფუჭ ამბებზე მოცდენა, თითქოს ეს სიცოცხლე უხანგრძობელებით, ხოლო ყველაზე მთავარს კი ხელიდან უშვებენ. ერთადერთი ესლა რჩებოდათ, ბალის გრძელ მერხზე ჩამომხდარებს წარსული მოგონებინათ, მაგრამ როცა ცხოვრება ადამიანზე ძლიერია, მოსაყოლსაც არაფერს ტოვებს. მათ წინ ახალგაზრდებმა ჩაიარეს ტრანსპარანტებით, ახალ დროებას მოუძღოდნენ. წინამძღოლი მჭექარე სიტყვით გამოდიოდა, გაქვავებულებივით ვცხოვრობთ და სამშობლოც გამოქვავებულად ვაქციეთო. ფიროს კი თითქოს მოსაფიქრებელი დრო მისცემოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ის კაფეც არ გახსენებია, სადაც შეხვედრის შემთხვევაში ელეს დააპტიუებდა აპირებდა, გიტარის წამოღებაც დავინყებოდა, აზრები ეფანტებოდა და მაშინლა გამოერკვა, ელეს შეილიშვილმა რომ დაუძახა.

— წასასვლელი ვარ! — თქვა ელემ, მაგრამ სანამ ვერხვების წამლეკავ ჩრდილში ერთმანეთს საბოლოოდ დამორდებოდნენ, ფირომ ის ძველი და სევდიანი სიმღერა წამოიწყო, ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტით. მღეროდა მთელი არსებით, ოღონდ ხმადაბლა და აუჩქარებლად:

*კენწეროთა შერხევით
ჩორჩულელებ ვერხვები:
— ჩვენ მშვენივრად ვერკვევით,
გრძნობა გახლავთ მეფური...
ერთურთს კვლავ რომ შეხვდებით
ძველი შეყვარებულნი...*

წამით მოეჩვენა, რომ ელეც აჰყვა. ნუთუ სიტყვები და მელოდია მასაც ახსოვდა. არადა რამდენი დრო იყო გასული. ერთმანეთს თავდახრილი დაემორდებოდნენ და ორი მშვენიერი ელე, ერთი სევდიანი და მეორე მხიარული, სახლის აღმართს ნელნელა შეუყვა. მარტოდ დარჩენილ ფიროს მათხოვარი მიუახლოვდა:

— ცოტაოდენს ვერ მიწყალობდით? მათხოვარს რატომღაც ეგონა, რომ მის მუდარას ამჯერადაც ნაუყრებდნენ, მაგრამ ფირომ სამმანეთიანი რომ გაუნოდა, თვალეებს არ უჯერებდა:


— ნუთუ მთლიანად მძღვევთ? — ფული ხელში ჩაებლუჯა და ხმა უკანკალედა.

— აბა, ხურდა გამოგართვათ?

— ამ ქალალს ხომ დიდი ფასი აქვს?

— დიდი ფასი? — მგზნებარედ აღმოხდა ფიროს, — დიდი ფასი მაშინ ჰქონდა, ოცდაათი წლის წინ!

ფირო საპირისპირო მიმართულებით გაემართა, ხოლო როცა მწერლის ქანდაკებას ჩაუარა, იგი ისეთი ჩაფიქრებული ეჩვენა, თითქოს ახალი მოთხრობის სიუჟეტს იგონებდა.



მურად მთვარელიძე

მეც შემომადნა ხელზე მყვირალა ბუკი, მოდის სიბერე — ხეზე შემხმარი ფითრი, ერთი ექვსი ცა ამოვათავე უკვე, ბოლო ცაზე ვარ, ბოლო სივრცეებს ვითვლი. ფრუტუნებს ქარი — გაუხედნავი კვიცი, ნაზად ირხევა ცაზე ვარსკვლავთა ძეძვი, უნდოდ გავხედავ მთვარის ირიბულ ციმციმს და ქურდ ძმა-ბიჭებს — ზოდიაქოებს ვებრძვი.

სოფელში გაგონილი...

კვლებზე მზე ლაღობს უჩუმრად, კვლებში — ქინძი და კამა, აიშლებიან ღრუბლები დასალიერის კარად. ცეცხლზე შედგმული ჭაჭა დულს, შეშა ვერ ჰგუობს ნკვარამს, მოდის არაყი ნკიპ-ნკიპად, კამარ, კამარ და კამარ... ინვიმოს, თუნდაც ითოვოს, არად მიიჩნევს, არად, მთებზე ჯერ ისევ თოვლი დევს, ია ყვავილობს ბარად. ისიც მზეს ერუხჩუხება თვისთა წინაპართ დარად, ზარფუშს დრო და დრო ორთქლი სდის, შემორღვევია კალა. ერთი ორისა ჩვენცა ვთქვათ, სხვის იმედობა კმარა, მალლა თხილნარის ქედია, იმის იქით კი — ძამა, მოდი, ჩამოჯექ ამ ლოდზე, ჩვენი რიგია, ძამა!..

სამშობლო — ხაფანგი

ვისთვის სიცოცხლე ტკბილი ძილია, ვინ სამშობლოსთვის დღესაც სულს ლაფავს, ყველა ხაფანგი სასიკვდილოა, ნუ მიუახლოვდები სამშობლოს — ხაფანგს...

ვის სული ძვრება სიცივე-შიმშილით, ვინაც ქვეყანას გულდაგულ ხაფავს, ყველა ხაფანგი არის შემლილი, ნუ მიუახლოვდები სამშობლოს — ხაფანგს.

არ შეიფარებს ნლები გულცივი, ვინც ვერ გაუძღვება ამ დროის ღვარ-ქაფს, ყველა ხაფანგი არის სიკვდილი... ვუახლოვდები სამშობლოს — ხაფანგს!..

ასეა მუდამ, ყოველი იბადება და კვდება, ერთი ლამაზი ყვავილი ჩემს გულზეც აყვავდება. დილით ცის ჭიკჭიკს მოუსმენს, სალამოს მიწის ზღაპრებს და ჩემს მაგივრად შეჰღიმიებს გაზაფხულსა და აპრილს. მას ვუჩურჩულებ ჩემს სათქმელს და ღიმილიან სიტყვას, ჩემ გულზე რომ აყვავდება, ა, ის ყვავილი მიყვარს!

ვიდრე ბავშვები ფრთებს გაშლიან და

ვიდრე ბავშვები ფრთებს გაშლიან და სახურავებს მიაშურებენ, იქნებ ვილაცამ ამ ცხოვრებიდან,

შეაჩერონ ეს მოზარდები თბილი ღიმილით და ჰკითხონ თუ რა ენატრებათ, ანდა თვალეში ჩახედონ და იმ სარკეებში დაინახონ ის ჯანყი სულის, რამაც ასე ადრინად დააფრთიანა ეს ყმაწვილები. მერე კი თბილად მოხვიონ ხელი, გულში ჩაიკრან და უჩურჩულონ სიყვარულით, რომ მათთვის ფრენა ჯერ არავის უსწავლებია, თორემ მას შემდეგ, როს ჰაერში შეიფრთხილებს რომელიმე მათგანი, მერე ყველაფერი სულ ერთი ხდება!.. ამ ქვეყანაში სიყვარული გადაიფინყეს... ამ ქვეყანაში სიძულვილის ყვავილებს რგავენ!..

ყინვისის მთაპარანგლოზი

ყვავილნარს და ვარდთა ფურცლებს თავად აფენ ეზოს, ფირუზისფრად — ჟამსა უცვლელ მთავარანგლოზო! აქ თამარი ტაძრის კედლებს კვალად აფენს მზესო, და ღვთისმშობლის ფაფუკ კალთას შვენივს ქრისტე ეგზომ... ჩვენც სურნელთა გზით გვატარე, გაგვიყვანე ფონსო, ყინვისის და საქართველოს მთავარანგლოზო!

რომ შემძლებოდა, მეცხოვრა მშვიდად — მარხვიდან მარხვამდის, მხოლოდ შენ გაგიღიმიებდი, მხოლოდ შენ დაგინახავდი. მხოლოდ შენ დაგიტკებოდი, სხვას არვის გავიკარებდი, მთვარეს შევსხნიდი მირაჟებს, მზის სხივებს არ ვიკმარებდი. ვიდრე სულს მივბარებდი უფალს, გეტყოდი: — ნახვამდის, მერე ჩემივე ხელებით ზედ გულზედ დაგიმარხავდი!

ომავლის გახსენება

მზე იყავ თუ მთვარე იყავ ცაზე ობლად მარებელი, ვინ იყავ? დალი იყავ ტრფობაგაუკარებელი?! ვარსკვლავების ჭურჭრუტანებს გინათებდი სანთელ-სანთელ, მერე იყო განშორება, მერე ერთმანეთი დავთმეთ. ახლა, როცა დრო და ხანი გარდასულთან აბამს ქსელებს, ვდგავართ ორი ბებრუხანა და ერთმანეთს ძლივს ვიხსენებთ!

ჩაბი სოფელი

ჯეჯილის ღერებს ჯერ შეჰღულუნებს მზე, მიუტკებება მერე ამ ღერებს და ყაყაჩოებს — მინდერის ბულბულებს ყანის უბიდან ამომღერებს... აქ ნუხელ მთვარის ენთო კოცონი, აქ ღრუბელს ქარი მუხლზე ეჯინა, აქ ყოველ დილით ლაჟვარდს კოცნიან ქართლის ველები — ზურმუხტჯეჯილა. აქ ყორანქედის მწვანე ვარცლები ცის სიყვარულით ივერცხლებიან, აქ თრიალეთისპირის ნამცკრევი მზეს უგალობენ ტუჩმერცხლებიანს. აქ ხციულა ხსნის ტალღებს დაკუმშულს, ზამთრის ნაკვალევს შლის ბარდებიანს და წისქვილების რაკუნ-რაკუნში გაზაფხულები იბადებიან.

იბავ-არაკთა სიბრძნე

მინანერი გიორგი ლობჯანიძის მიერ თარგმნილ ნიგნზე „ნიგნი ქილილასი და დიმნასი“

ამდენ მგლებსა და ვირებს, ამდენ ტურას და მელას, ყურს მიუგდებდე ვინემ, კარგად შეხედე ყველას. ზოგს მზის თავთავი მოსავს, არადა, არის ბილნი, ზოგი ხმით ბაძავს ფრთოსანს, ზოგს გარეგია ხრინნი. ზღაპრებს სიმართლე ტკივით, სიბრძნე სიცრუეს ზარავს,

გთხოვ, ნუ შეხედავ ცივად ამდენ ცოდვილს და ზვარაკს. ჰგავს სიბრძნით სავსე ჭურჭელს, ჰგავს გაზაფხულის დილას, სამყარო ყელზე უჭერთ ქილილასა და დიმნას.

სიბერისთვის ვემზადები, სიბერისთვის ვჯახირობ, გამარჯობა, სოფლის ბალო, ორლობე და ნახირო, გამარჯობა, პაპის წაღლო და დიდების სათონევე, ყავარს აყოლილო ვარდო, არ შეაკრთო ცა თორემ მთვარე ჩამოქვეითდება, კოცნით ლოყებს აგინვავს, ზეცა ნუ გსურს, უგალობე ამ ეზოს და ამ მიწას. ქარი უსტვენს, განცვიფრდება გააცოცხლო ბახი რომ, სიბერისთვის ვემზადები და სიბერისთვის ვჯახირობ.

ნათლისმცემლის ფერდობზე, ვხედავ ჩემი ფანჯრიდან, ნუხელ ფრთამოვლევარე ანგელოზი დაფრინდა. მერე უცებ გაისმა ზეციური დაფი და, მთვარემ გამოიხედა მერე ღრუბლის ქაფიდან. მას კი არც შეხებია დედამიწის ლაფი და ფრთა ფრთას უხმოდ შემოჰკრა და ცეცხლისფრად აფრინდა. ქარი ზეცის ნაჟურებს სვამდა ღრუბლის ტაფიდან, ნუხელ, გათენებისას, ნათლისმცემლის კალთიდან, ცეცხლისფერი ფრთეებით ანგელოზი აფრინდა.

იესო

პასექის ზეიმზე გამოჰყავთ იესო, გამოჰყავთ ბარაბაც — ცნობილი ავაზაკი, და რადგან ხალხს ძალუძს დაიხსნას ერთ-ერთი, პირდაპირ მოითხოვოს, პირდაპირ, არა ზაკვით. „ხალხი ბრძენიაო“, — პეტრე გაიფიქრებს, (ამ ერთხელ არ შეცდეს და მერე ჯანდაბას!) — აბა, ვის დაიხსნით? — კითხულობს მთავარი, და ხალხი იხუვლებს: — ბარაბას! ხალხი ბრძენიაო, — ვინა თქვა ნეტავი, პეტრეს გააჟრჟოლებს: — ფუ, ამათ, ავსულებს, — ხალხმა უკეთ იცის, — ჩურჩულებს იესო, — ხალხმა უკეთ იცის, რომ ნება მამისა, რომ ნება უფლისა დღეს უნდა აღსრულდეს!

გაზაფხულია, აპრილის ბამბებს ქარი და წვიმა ცასაც ვერ ანდობს, ვიხსენებ ძველ და სევდიან ამბებს, პირველ სიყვარულს და პირველ ამბორს.

იმ გასაოცარ, დათაფლულ წუთებს, გულში უთქმელი ნაღველით ვადნობ, აპრილის ღამეს ცრემლებით ვუთევ და სიყვარულის აბზაცებს ვდარდობ!

დის სსოვნას

ალარ შევხედავ-მეთქი მის სახლს, გულში გავივლე, და გულმა მითხრა: — ამას ვერ შეძლებ... ალარ შევხედავ-მეთქი მის ბაღს, გულში გავივლე და გულმა მითხრა: — ამას ვერ შეძლებ... არასდროს მივალ მის საფლავზე, არ დავინახავ საფლავის ქვაზე შეყინულ სევდას მისი თვალების და გულმა მითხრა: — ამას ვერ შეძლებ... რადგან იმ სახლსაც, რადგან იმ ბაღსაც, საფლავის ქვასაც — სამივეს ერთად, სწორედ შენი დის სახელი ჰქვია...



ბადრი სულაძე

დეკემბრის ღამემ ციდან მთვარე ისევე ჩამოსხნა და ჩამოშალა ყველა სხივი — კლდესმიჭედლი, მაგრამ სიცივის უმთვარეო ქიმზეც გამოჩნდა, თეთრი გუმბათი, — ალერგიული შენი ყელივით... მეგონა თმენით, ჩემთვის უცხო გზებს გავივლიდი, თუნდაც მოლოდინს შენს ფიქრებში უბრადა ეთოვა... მერე კი, თოვლმა გადაფარა ყველა ბილიკი, როცა მე შენი მარტოობა უნდა მეპოვა... ნაქანდაკარი თეთრი მხრების რბილი კონტური, მიხმობდა ჩუმი მონატრების მტკიცე ნადილით, და ნეკერჩხალსაც, ორი ტოტი, ყინვით მორთული, დარჩა მლოცველის ხელებით ცისკენ განვდილი... მეგონა, თმენით, ჩემთვის უცხო გზებს გავივლიდი, თუნდაც მოლოდინს შენს ფიქრებში უბრადა ეთოვა... მერე კი, თოვლმა გადაფარა ყველა ბილიკი, როცა მე შენი მარტოობა უნდა მეპოვა...

თუმცა ძენები წლების საზიდად ფშანის პირებზე ჯერ არ მოხრილან, როგორც ნისლებში მთების აზიდვა, — მძიმედ ამომდის ბგერა ხორხიდან... შემღვრულ ფიქრებს ვეღარ ვამშვიდებ, კანი სხეულზე ისე ამეწვა, ვეღარც სურვილებს ვღებავ საშინდედ, დილაც ბილიკებს იქნევს დამრეცად... მინის სატკივარს ცით ვერ ვიაზრებ, გზას ვტანჯავ, ჩრდილად ზედ დარჩენილი, — და ვეღარც ფიქრი, ცივ კერიაზე, ვეღარ ფუსფუსებს დედაჩემივით, — კარტოფილებით სავსე ორმოდან რომ ამოჰქონდა ნიჭიც მოთმენის და მერე, მეც რომ არ მეთობობდა სითბო — კანგათლილ ცივი ბოლქვების... რაკილა თივად მანაც ივარგებს, კვლავაც ვისხენებ სრულად — იმ ამბავს, — რომ გადავურჩე უამის სიავმგლეს, სული ბავაზე უნდა მივბაბა... მინის სატკივარს ცით ვერ ვიაზრებ, გზას ვტანჯავ, ჩრდილად ზედ დარჩენილი, — და ვეღარც ფიქრი, ცივ კერიაზე, ვეღარ ფუსფუსებს დედაჩემივით...

გამოისახა მონატრება ცაზე ტოლფერდად და გზის ყოველი მონაკვეთი გამართლდა კვირტით... თუმცა არ იცის, სიზმრის კართან, რა ელოდება, ფაქტი ერთია, ცეცხლისაკენ ფარვანაც ილტვის, — (მერე რომ, ვილაც უცხო მხატვარმა ცას მიახატოს უგრძობი ფუნჯით შეუცნობლობის ჩამწვარი ფრთები...) და რადგან წლები ისარვიით, გასცდა ლელიანს,

რადგანაც მზესთან ქარის ფლირტიც მწარე ჭორია, მოვა და ღამის შეუმშრალი ნამწამებიდან მთვარე მოხაზავს სიყვარულის ტრანეპტორიას, — (მერე რომ, ვილაც უცხო პოეტმა დროის მანქანით გადაკვეთოს წონასწორობის ლერძულა ხაზი...).

მოსანყენია, ყოველ საღამოს, ავტობუსის ბოლო სკამიდან ჯიუტად ცქერა, მგზავრებს რომ ზვერაგ და გეჩვენება, თითქოს, შენს აჩრდილს შენივე დარდი დაახურეს ბონაპარტეს ქუდივით, ცერად, და გახრჩობს სევდა, ლაიფციგთან ომის ნაგების... მოსანყენია, მაგრამ არ იშლი ავტობუსის ბოლო სკამიდან ჯიუტად ცქერას, მგზავრებს რომ ზვერაგ, — და გეჩვენება, რომ კიდევ გაქვს მოგების შანსი...

მსურდა, სამყარო ისე შემეცნო, არსთაგამრიგემ რაც ჩაიფიქრა... თითქოს გაფრენა მზისკენ შემეძლო, ანდა მთვარისკენ... ვარსკვლავს იქითაც... ვეღარც სინდისმა ვეღარ მოთოკა ეს სითამამე, თავივით მხდალი — და უმწეოდ რომ ვწევარ სოროსთან, მანაც დაღლილი ხარვივით ვბლავი... აპრილი დადის მწვანე სამოსით, სანთლებს რომ სევდის ნაცვლად არიგებს, თუმცა სინათლეს, ძალაგამოცლილს, უკან უბრუნებს არსთაგამრიგეს... არ ვიცი, საით მენწევა უღვეთოდ ყელზე მობმული თმენის ბანარი... ან, სინანულსაც როგორღა უხმობს აზრი — გველივით ხვრელში ჩამძვრალი... მე სიცრუესთან ჯერ კიდევ ვდაობ, სულში რომ სამტროდ შემომესია... და წართმეული სიმართლის გამო დარდობს აპრილიც და ეკლესიაც.

სალამოები ვერ მწყალობენ რადგან ვერც ქერცლით და თევზის ფხებზე ამფიბიის ცივ სისხლს ახმობენ, — მე დედამინას სულ ცოტა ხნით გამოვქექცი, მყუდრო ოთახი რომ მქონოდა ცის სიახლოვეს...

თუმცა ფრთადაჭრილ მამალივით ორთქლით ნაყვილებს, თუჯის ქვაბიდან ამოსული მწველი მზეც მსტუმრობს, ღრუბლის აივნის მობინადრე ქოთნის ყვავილებს, უმჯობესია, წვიმისფერი რწმენით ვეპკურო... იქნებ, შავ-თეთრი ფოტოები მეც გავამჟღავნო და ეს ჭიდილიც თუნდ იმისთვის შეპატიება, ბევრჯერ განცდილი სიყვარულის ტყვეც და მაჟალოც დროს არ შემორჩეს გაყვითლებულ ნეგატივებად... ისევე ვატარებ გულის ჯიბით ფოთოლს ნაპარავს, ნედლი მინისგან სამემკვიდროდ რაც გადმომეცა, ხელში ვიმარჯვებ ზეცას, როგორც ფოტოაპარატს და კადრში ვატევ იმ ცივისსხლა საღამოებსაც... დიდებულია ყველაფერი, რაც განმიცდია, თუმც, არ მთავაზობს დრო ყოველთვის ნათელ ბერკეტებს, მე დედამინა მწვეარივით არ გამიცვლია, — მხოლოდ ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით, ცას შევეკედლე...

ვერ ვეგუები უსასრულო დარდის მარათონს, სუროდქცეული მღელვარებით ვკვებავ ძირხვენებს, მაგრამ დროდადრო საკუთარ თავს მაინც ვლაღატობ და ჩემი ნების საზიანოდ, ბედსაც ვიმხედრებ!.. ვეღარ ვისხენებ, გაზაფხულზე რაც ვთქვი ფიცივით და ვერ ვკითხულობ ქარებისგან ნაშლილ ქარაგმებს... ნკავენკავენებს ფიქრი, გათოშილი ზამთრის სიცივით, ფიქრი — დასჯილი ძალღივით რომ, კარში გავავდე...

ლევა ღრუბლებით შემოლობილ გზებს როცა ალღევებთ ბედი ქარავნის, ბოლო ფოთოლს კი, შემოდგომის მზეც, ჰგავს, ვით მზუშუტავი ოქროს ფანარი, — როცა ღამეებს, ფერავენ ვერცხლით, — მეფანრები კეფის ცხელებით, უკვე ვერაფერს, ვერაფერს ვერ ვცვლი, — ზამთარს შეუბამს ეტლში ცხენები...

სინორჩის ფესვი თუკი კლდეშიც ხარობს ნაყოფით და არ ელევა სასიცოცხლო ობერტონები, ეს დარდისხელა დედამინა რატომ არ გეყოფნის, — მინამდე დახრილ ალვის ხესაც რომ ვეტოლებით... სიბნელეს ვერ ვთმობთ, სინათლისგან თანხმობის ნაცვლად, თუმცა სიცოცხლე მეტისმეტად მყიფე ბირთვია, — არც სიმინდს ყოფნის დედამინა, არც ხორბლის მარცვალს, მაგრამ ისინი უსასრულოდ ცისკენ ილტვიან... მათი სიცოცხლე სინანულსაც დაემგვანება, როცა სიჩუმეც სინმინდია თვით ღვთისმოსავის, — მზისგან დამწვარი ღეროებიც არ ენანებათ, სილაჟვარდზე რომ გააკრან იესოსავით... სინორჩის ფესვი თუკი კლდეშიც ხარობს ნაყოფით და არ ელევა სასიცოცხლო ობერტონები, ეს დარდისხელა დედამინა რატომ არ გეყოფნის, — მინამდე დახრილ ალვის ხესაც რომ ვეტოლებით...

მე გავიქცევი და გთხოვ, მწვევარს ნუ დამადვენებ, — შენი ყინულის სასახლიდან მთაში გავრბივარ... უმჯობესია, გრძნულ ღამეს უმაღლ დავენებდე, ვიდრე კვლავ დავრჩე, ძველისძველი დარდის საკიდრად... სანამ მთვარეულ ვარსკვლავებზე ცეცხლს მოიკიდებს, ალბათ, ცის თალი — კვლავ გახდება მოსაკითხავი... მერე, მე თვითონ გაგიკვალავ ჩემსკენ ბილიკებს, მთაში გახიზნულ უჩემობას როცა ისწავლი...



მოდრი, გინდა, ვითამაშოთ?!
მე რომ თამაში არ ვიცი?!
რა ცოდნა უნდა, მე გასწავლი. ხელი მომეცი.

არადა, თამაში თავისთავად გამოვიდა. კრავივით სხარტი გოგონა მდინარის პირას მივბოძა, ციყვივით სწრაფი ბიჭუნა კი უკან მისდევდა.

ვინრო ბილიკი ქვიშით იყო სავსე, მორბენალს დროდადრო ფეხი უსხლტებოდა, მაგრამ თმახუჭუჭა ბიჭს მაინც სჯობდა.

გოგონა მივბოძა და ჩემი თვალებიც მის ხუჭუჭა ქერა თმებს გაჰყვა. იმ წამს ამ თმებმა წარსული გააღვიძა ჩემში. გზა შორი აღმოჩნდა, გოგონა დაილაღა, კისკისს უკლო, ან მისი ხმა მე აღარ მესმოდა, ჩემს გულში ახლა სულ სხვა დრო აღმოცენდა, დრო, რომელსაც ბავშვობის ხანას ეძახიან.

ეჰ, ღმერთო ჩემო, იგივე მდინარე, გზა, დღე, ხეები — სხვაობა არაფერს ეტყობოდა, მხოლოდ ღრმად მოხუცი კაკლის ხე უფრო დაბერებულიყო და თითქოს ცალი გვერდი დაწვოდა.

ყველაფერი იგივე იყო დროისა და ქალ-ვაჟის გარდა, ადრე აქ სხვა ქალ-ვაჟი დარბოდა, ახლა სხვანი დარბიან და ალბათ ასე გაირბენენ სხვანი და სხვანი გზას, რომელსაც მე მაშინ სიყვარულის ბილიკი დავარქე. რატომ ბილიკი და არა გზა?! ეს ხომ გზა არის დიდი და მტკიცე, სასიამოვნო მოგონებებით სავსე, თუმცა იმ წუთს ჩემთვის ბილიკი იყო, შემდეგ იქცა გზად, როცა უკვე იმ გარემოსგან მოშორებით მივხვდი, რომ ის დრო, იქ მოშორილ გოგონას თმები მენატრებოდა, მაგრამ შემდეგ მისი მონატრებაც დრომ გადამაგინა. იმ წუთს მეგონა, რომ მეძინა და სიზმარში ვხედავდი ყოველივეს, თითქოს მინდოდა და არც მინდოდა, რომ თამაში ბოლომდე დამთავრებულიყო, მეშინოდა კიდევ, ესეც ისე დასრულებულიყო, როგორც წინანდელი.

თამაშის დასასრული კი იქ, ბებერ კაკლის ხესთან, მთავრდებოდა. კაკლამდე ყანა იყო, მანამდე კი მაღალი ხის ჭიშკარი უნდა გაგველოთ. დამწვარ კაკლამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გახლდათ გასარბენი, თუმცა ახლა მეჩვენება შორი, მაშინ კი, ბავშვის პანანა თვალთ, სულ ძალიან ახლოს იყო.

მეგონა, სურათის ბოლო იქ, ჭიშკართან, დამთავრდებოდა, მაგრამ არა, გოგონამ ჭიშკარი გააღო, სისწრაფისგან დაბნეული ბიჭუნა ყანაში ჩაკეტა, თვითონ კი მდინარეში საბანაოდ გადაეშვა. დასაწყისის დასასრული სხვა აღმოჩნდა, ეს თამაში ცურვით დასრულდა, ჩვენი კი ფიცით — გულუბრყვილო ბავშვური, მაგრამ წრფელი ფიცით — იქ, კაკლის ხესთან.

გოგონა მარდად გადაეშვა დიდ და მაღალ ჭიშკარზე, მე კი ძლივს, დათვივით, გადავბობდი. კრავი უკვე კაკლთან ისვენებდა. გავწითლდი, შემრცხვა. მეგობრებს რომ გაეგოთ, დამცინებდნენ, ფერიასავით გაზრდილმა გოგომ გაჯობაო. მე დარცხვნილი ვიდექი, გოგონა კი კმაყოფილი სახით ხმამაღლა კისკისებდა, თამაში აღარ მინდა, გაჯობეო. მეც არაფერი მიპასუხია. სირცხვილი საკმაოდ ვიგემე, ვიკმარე, დამწვარ კაკლის ხესთან მივედი და

ხელში ნახშირი ავათამაშე. აკი თამაში არ ვიციო?! გოგონა ისევ აკისკისდა. მოგატყუეო, მიპასუხა. გავბრაზდი და მეც ვიცრუე, გოგოს ყოველთვის ვაგებინებ—მეთქი.

მერე სულ სხვა მზერით შემომხედა, თითქოს ის პატარა, ექვსი წლის გოგონა უცებ გაზრდილიყო. მოკლე, თხელ კაბაზე თითები ჩაებლუჯა და ქვემოთ სწევდა. უნდოდა, მუხლები დაეფარა, მაგრამ უშედეგოდ — კაბა ძალიან მოკლე იყო.

— გოგონები მოკლე კაბას რატომ იცვამთ?!

არაფერი მიპასუხა. დიდი ცისფერი თვალები მომანათა და მერე თითქოს რცხვენიაო, ზღარბივით შავ ხუჭუჭ თმებში შემაღლა.

— ბიჭებს რომ მოეწონოთ, იმიტომ, — თავადვე ვუპასუხე ჩემს დასმულ კითხვას. — არა, — მკვახედ მიპასუხა, — უბრალოდ ლამაზია. შენ რა გინდა?

— საშინლად არ გიხდება. მახინჯი ხარ! გოგონამ ტირილი მორთო. შემეცოდა. თმებში ნახად მოვწვნიე:

— მოგატყუე, ძალიან გიხდება, მაგრამ როცა დიდი გაიზრდები, აღარ ჩაგაცვამ.

მახსოვს, აქ აველდი, ჩემს ცოლს გრძელი კაბა უნდა ეცვას—მეთქი.

— მართლა აღარ ჩამაცმევ! — ბუტბუტით მიპასუხა. კაბას დააშტერდა, თითქოს დიდი იყო და საბოლოოდ ეთხოვებოდა, — მართლა უნდა დამნიშნო, — მიპასუხა და თითებით პუტკუნა სახე დამალა.

— მართლა? — და დაფშვნილი ნახშირი შავგვრემან სახეზე მოუუსიე, ნიშნად დანიშნისა. მერე ჩემი თავიც დავინიშნე, შემდეგ, შემდეგ კი უკვე ძახილმა გამოგვარკვია და ორივენი შინისკენ გავიქეციით. აქ დამთავრდა ყოველივე. იმ წელსვე ჩაიფერულა ის ფიცი, როცა უკვე სხვა გოგოს ვუთხარი, მიყვარხარ—მეთქი. დამთავრდა. თითქოს ეს ამბავი დრომ მოიტაცაო, აღარასდროს გამხსენებია.

და უცებ ნაწყენმა წარსულმა თავისკენ გადამაგდო. გონს მოვეგე და მონატრებულ გზას წელი სვლით გავუდექი.

წუთუ ამდენი წლის შემდეგ ვერსად ვნახე?! არსად შემხვედრია?! იქნებ შემხვდა და ვერ შევამჩნიე, ალბათ სადღაც თმაშეცვლილი წვრილ-წვრილი ნაოჭებით მომხვდა თვალში, მაგრამ ვერ შევიცანი. რა დამავდება, რომ ვიკითხო მისი ამბავი?! — ეთქვი და მდინარეს კენჭი ვესროლე, მანაც თითქოს თანხმობა მომცაო, უფრო ახმაურდა. ეჰ, გიჟო მდინარე, ალბათ ვერ გრძნობ, იმ დღის შემდეგ რამდენმა თოვლმა დამათოვა?! რაღა დროს ჩემი ბავშვური გრძნობის ქექვაა ახლა?! და რომც ვიქექო, მომცემს კი დრო ამის უფლებას...

ეჰ, დრო მიდის, მაგრამ მე ვერ მივყვები, სარკემი ვიცქირები, მაგრამ ჩემი შევერცხილი თმის მაგივრად ჩემს სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდულ, ჯერ კიდევ ბავშვურ თვალებს ვეყრები. დრო უცნაურია, უცნაური და უღმობელი, ციფრებს მაღლა სწევს ისე, რომ არც კი გვეკითხება, გვინდა თუ არა. ანდა, რა მისი ბრალია, მე თუ სიყვარულს ვერ გავუფრთხილდი.

მდინარიდან გზამდე თითქოს მანძილი გაიწვია, თითქოს მარტო ფიქრის საშუალებას მაძლევდა ბილიკიც.

ეჰ, ნეტავ სად იქნება წარსული წლების აქ, ამ მდინარეზე, მოტიტინე ლამაზი გოგონა?! ის უკვე დიდაა, ალბათ ჰყავს თავისი მსგავსი ლამაზი შვილი, უკვე შვილიშვილიც, ალბათ ზის სადმე კაკლის ჩრდილში და პატარას ეაღერსება, პატარას გვერდით მოთამაშე ბავშვების ჩურჩული ხმამაღალ ტიტინში გადაიზრდება. თმაშევერცხილი, ალბათ უკვე წელში მოხრილი, კობტად დაბერებული ბებია უფროსი შვილიშვილებს ტუქსავს და დედისკენ მიარბენინებს. ისევ ჩვილის აკვანს უბრუნდება, პატარას ისევ ღვიძავს, მაგრამ ტირილის მაგიერ სასიამოვნოდ უგუნურად იღიმება, ბებიასაც ამის შემყურე შვილიშვილებს ისგან გაბრაზება მაღვეე ავიწყდება. პატარას ისევ ტპილი მოაღერსე ხმით გაუბამს სიმღერას.

ვინ იცის, იქნებ ბედნიერი ქალია, იქნებ უბედურიც, სრულყოფილი ბედნიერება ხომ არსად არაა.

ფიქრებში გართულს დრო მალე გამეპარა, უკვე ბინდი იყო, მე კი ისევ იმ მინდორზე, მდინარის პირას, ვსეირნობდი წარსულთან ერთად. მინდორი მაღვეე გავათავე და ორღობეში სირბილით დავეშვი.

უკვე კარგა ბინდი იყო, სახლს რომ მივადექი. კარი ნელა მივხურე, ღრმად მოხუც ნათლიაჩემს ტკბილად ეძინა. ოთახები გავიარე და სახლის უკან აივანზე გავედი და თვალში გამეყინა. იქ არავინ იყო. მაშინ ერთმანეთის ცქერაში ვიძინებდით, ახლა კი მარტოობას შეჩვეულ აივანზე სადღაც კუნჭულში ერთადერთი ნათურა ენთო. წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო...

ფიქრი მომწყინდა, თითქოს დავიღალე კიდევ. თვალთ მიყრუებულ აივანს შევაგულე და მზერა სამგზავრო ჩემოდანზე შევანერე. ნათლიაჩემს ჩემი ერთდღიანი ხეტილის განმავლობაში ყველაფერი გაემზადებინა და დილით ძილქუში რომ არ მომრეოდა, დასაძინებლად გავეშურე.

გათვინდა. ღამით მოღრუბლულ ცას წვიმა არ დაეშურებია, განვივებულყოფი, ცრიდა ახლაც. ღია სარკმლიდან წვიმის წვეთები საწოლზე ეცემოდა. სარკმელი მივხურე. დიდი სიყვარულით ნათლიას დავემშვიდობე და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ღრმად მოხუცი აკაცის ქვეშ მოსაცდელში ვიდექი. წვიმას უკვე გადავლო, ბუნების თბილი ნიავე სახეზე სასიამოვნოდ მეაღერსებოდა. ახლად ნაყიდ მაისურზე კი ცაცხვის ყვავილი მეფინებოდა.

სხვაგან რომ ვყოფილიყავი, არ ვიცი, ალბათ ამ ყვავილებს მოვიმორებდი, მაგრამ ახლა მათი მოცილება მხრებიდან არ მინდოდა. ეს სურნელი, ნიავე, სასიამოვნო სიგრილე, ჩიტების განსხვავებული ჟრია-მული, ისეთი საოცარი სიამის მომგვრელი იყო, რომ მეგონა, ახლახანს გავჩნდი ამ თვესთან ერთად, თითქოს ეს ყოველივე პირველად მენახოს, გონს ვერ მოვედიო და ალბათ მთლად ამ ყველაფერს სურნელსა და ფუტკრების ფუსფუსში დავიკარგებოდი, ავტობუსს რომ არ ჩამოველო. თითქოს თვალმა საზოგადოება იცნო, მათობელა სურნელებიდან გამოვედი და ისევ ის მკაცრი, ოდნავ ჯშუხი ადვოკატი გავხდი, ისეთი, როგორც ნათლიას არ მოსწონდა, მკაცრი გამომეტყველება მქონდა, მაგრამ ჩემს მხრებზე დაყრილი აკაცის ციციქნა ყვავილები ჩემს სიმკაცრეს მთლიანად შლიდა. სათვალე უფრო მოხერხებულად მოვირგე, მხრებიდან უმწეო ციციქნა ყვავილები ფრთხილად მოვიმორე, შეუმჩნევლად მხრებს ვიმსუბუქედი, ამ დროს კი თურმე თეთრ ფერიასავით ლამაზ, ციციქნა გოგონას თმებს ვამძიმებდი. გოგონამ მორცხვად ამომხედა, ყვავილები თმიდან ამოიღო, ხელისგულზე გაეშალა, თითქოს დათვლას უპირებოდა. ამის შემყურემ კიდევ ერთხელ დავარღვიე მკაცრი იერი, სათვალის ქვემოთ სხვებისთვის შეუმჩნევლად თვალები სიყვარულით გამიბრწყინდა.

რატომღაც ყოველთვის დიდ სიყვარულს ვგრძნობდი ბავშვებისაგან, მეც ყანსაკუთრებულად მიყვარდა ეს პატარა, ყველა ენის მცოდნე ტიტინა არსებები. ალბათ იმიტომ, რომ სადღაც გულის კუნჭულში ჩამალულია მარად ბავშვური, მაგრამ ამაყი ჩემი სული.

ბავშვმა ნახად ამომხედა, თბილი მზერით შემომციცინა და ხელისგულზე დაყრილი ყვავილები ნელა აათამაშა, თითქოს

თავისი ლამაზი ბავშვებით ბუტბუტებდა, რას ერჩოდო. ტრანსპორტს ვაჩერდა, ხალხი ჩავიდა, ადგილი განთავსდებოდა და მეც დავეჯექი. მხოლოდ ერთი ქალბატონი იყო ფეხზე. ის ჩემგან ოდნავ მოშორებით ზურგით იდგა. ნამსვე ავდექი, ადგილი შეეთავაზე ისე, რომ სახეზე არც კი შემხივდავს.

ქალი უყოყმანოდ დაჯდა.

— გვანცა, მოდი, დედიკო... — ძლივს გასაგონად წაილულულა და მხოლოდ ამის მერე შევხედე ქალს, შევხედე და თითქოს ჩემი თვალები მის განსხვავებულ უნაკლო სახეს დაენებაო, მისი სახიდან ჩემი თვალები ვეღარ ავიღე.

მაღალი სიფრთხიანი ლეჩაქმობეული, ოდნავ თეთრი პირისახით ცისფერი თვალებით, სევდიანად იყურებოდა და დროდადრო ბავშვის გაუთავებელ ტიტინს ოდნავ ღიმლით პასუხობდა.

— დედი, ეს გზა დიდაა?!
— არა, მალე ჩავალთ.
— როდის ჩავალთ?

ქალი დუმდა.

მეც ბავშვის ტიტინს ცალი ყურით ვუსმენდი, ახლა უკვე მის ახლოს, ოდნავ ვიღიმოდი. მხოლოდ ერთმა დამაინტერესა ბავშვის კითხვებიდან.

— დედი, იმ ხესთან, იმ მინდორზე არ თამაშობდი? იცი, მე გუშინ ვითამაშე, ვიბანავე კიდევ.

ქალმა თითქოს ახლახანს გაიღვიძაო, გამოცოცხლდა.

— აბა, რომელ ხესთან, დედი?
— აი, იქ, დამწვარ კაკლის ხესთან.
— კი, შვილო, დიდი ხნის წინ მითამაშია.

— მარტო, დედი?

— არა, — დედა ჩაიფიქრა, თითქოსდა ზედმეტ კითხვებს თავს არიდებოდა, სარკმლისკენ დაიწყო ცქერა.

— შენც ლამაზ ბიჭუნასთან თამაშობდი, დედი?! ალბათ მამიკო იყო, არა?!

დედა-შვილი აქ თითქოს ჩურჩულებდნენ, მაგრამ მათი ხმა მაინც ისმოდა...

— არა, შვილო, სხვა იყო. ჩემი მეგობარი.

— ახლა სადაა შენი მეგობარი, დედი?!

— არ ვიცი, დედი, არ ვიცი.
— რა ერქვა?

— კარგი, შვილო, ნუ დამღალე!

ბავშვმა იგივე კითხვა გაიმეორა და მე გავიგონე ჩემი სახელი — ნიკოლოზი.

— ჩემი პატარა ძმასავით ნიკოლოზი არა, დედი?!

— ხო, შვილო, ხო, — იმავე ხმით გაიმეორა ქალმა.

— სადაა, დედი, ახლა ის ნიკოლოზი?! იმ ადგილას აღარ დადის?! ძალიან ლამაზი ადგილია. იცი, დედი, გუშინ, გუშინ... — და ბავშვის თვალებმა დაიმორცხვა, რომელსაც თითქოს არ უნდოდა, რაღაც გაემხილა.

ქალი დუმდა და ისევ სარკმლისკენ იყურებოდა.

— რა, დედი, რა. მიპასუხე, შვილო.

პატარა ბავშვმა მორცხვად თვალები მიანათა, მერე გაიღიმა და:

— მე იმ ხესთან... დამწვარ ხესთან ვითამაშე... იქ პატარა ბიჭი იყო, დედი, გუშინ გამეცნო.

— იცი, რა ერქვა?!

— ვაი, — ჩაიბუტბუტა პატარამ.

— მგონი, გიორგი ერქვა, დედი. მერე, დედი, ვილაც კაცი იყო იქ, ჩვენ გვიყურებდა. გვინდოდა, გვეთქვა, ჩვენთან ერთად ითამაშე—თქო, მაგრამ მოწყენილი იყო, დედი. მგონი, ტირიდა.

— ვინ კაცი, შვილო?!

— არ ვიცი, — გულუბრყვილოდ ჩაიბუტბუტა პატარამ.

ამის გაგონებაზე შევხედე ბავშვს და მე მასში ის გოგონა ამოვიცანი, რომელიც ოქროსთმინა ბიჭუნასთან ნაცნობ მინდორზე დანაგვარდობდა.

გაოცებისგან წავბარბაცდი, მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დასრულებულიყო, სრული განადგურება მაშინ ვიგრძენი, როცა მას მოეკარი თვალი, ვის კალთაშიც ის პატარა გოგონა იჯდა და მხოლოდ ახლა შევიცანი იგი.

ოჰ, ეს დრო! ისე ხომ არ გაივლის, რომ წარსულს, ჩვენ ბავშვობას, არ შეგვახვედროს.

ჩემს გვერდით შავი დედოფალი იჯდა, ერთ დროს ქერა დალალები შავ თავშალში დაუმალავს, თითქოს გამოჩენისა რცხვინაო. მაღალ გულ-მკერდზე პატარა ეფ-

არებოდა, თითები ისევ ისეთი პატარა და ნაზი ჰქონდა, თვალებიც ისეთი შერჩენოდა — ბავშვური უმანკოებითა და სინდონდით სავსე. ჩემს მხართან შავ სამოსში გამოწყობილი თეთრი ანგელოზი იჯდა. მინდოდა, მივსულიყავი, გულში ჩამეკრა ეს ისევე ბავშვი ჩემი არსება, მაგრამ იმ წყველბოძს ისე ვიყავი მიჯაჭვული, ფეხის გადადგმაც და ალბათ იქვე დავეწარცხებოდი. ასეც რომ არ ყოფილიყო, მქონდა კი ამის უფლება?!

— უცებ თავზაიანმა ხმამ გამომარკვია, დაბრძანდით, ადგილი თავისუფალია.

ალბათ მიცნეს, გაივლიდა თავში. გოგონას ნაძალადევი და გველდომე და ცარიელად გიღის თვალი გადავავლე. თავისუფალი ადგილი მის გვერდით იყო. სხვების ყურადღება რომ არ მეგრძნო, დავჯექი. თავი ისე დავიჭირე, თითქოს აქამდე არც მინახავს. დავჯექი. ოდნავ ჩავახველე და, აი, მონატრებული თვალები ერთმანეთს შეხვდა.

— ნუთუ?! — ნაიბუტბუტა ქალმა.
— გამარჯობა, მარიამ, — აღმომხდა ძლივს.

ქალმა არაფერი მიპასუხა, თავი დახარა და უცებ ვიგრძენი, რომ მისი ცრემლები პატარა გოგონას თმებს ასველებდა. ბავშვი ატირდა, დედამ ორივე ხელი სწრაფად მოხვია და ტირილიც შეწყდა.

— დედი, რატომ ტირი?! — განაგრძობ ბავშვმა.

— თვალში რალაც ჩამივარდა, შვილო, — მიუაღერსა დედამ.

გზა იყო უღვევი. იქ ჯდომა კი, მგონი, ჯოჯოხეთის ცეცხლზე მტანჯველი.

— სად მიდიხართ, მარიამ? — ამოვიღულულულე ძლივს.

გოგონამ ბავშვური თვალები შემომანათა. უადგილო კითხვა უპასუხოდ დამიტოვა და თავისას მოჰყვა.

— ნუთუ, ნუთუ ეს შენა ხარ?! ნუთუ, ამდენი ხნის შემდეგ... — ვეღარ დამათავრა.

ჩვენი საუბარი რალაც ინციდენტმა შეაჩერა, ტრანსპორტში ჩოქოლი ატყდა, მაგრამ არც მე და არც ჩემს მოსაუბრეს ეს არ გვადარდებდა, ჩვენი გულები ახლა ვერაფერს გრძნობდნენ გარდა ერთმანეთისა. ერთმანეთს ვუყურებდით და ვხვდებოდით, რომ საკმაოდ დიდი დრო იყო გასული. ყველაფერი დრომ წაიღო, თითქოს ადიდებული შავი მდინარე ჩემს გულში შემოიჭრა და ყველაფერი, რაც ამ გოგონასთან მაკავშირებდა, სადღაც წარიტაცა — ყველაფერი, გარდა სიყვარულისა. ახლა კი ვდგავარ გაძარცვული და იმის დაბრუნებას ვცდილობ, რაც მე უკვე აღარ მეკუთვნის.

ის ქალია — ორი შვილის დედა და ცოლი. თუმცა... და უცებ დამეხდა კითხვა შევების შესახებ.

ქალი დაიბნა და სარკმლისკენ დაიწყო ცქერა. თითქოს რამე რომ თქვას, გული აუჩუყდებოდა. ვამჩნევდი, რომ პასუხის გაცემას არ ცდილობდა, აღარ დამიძალებია, ვიგრძენი, რაშიც იქნებოდა საქმე. ქვრივ ქალს თვალმოუშორებლად შევცქეროდი, ბოლოს კი ისე მოხდა, რომ ფიქრებში გართული გაჩერებას საკმაოდ გავცდენოდი. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ჩემი ცხოვრების მოღუშულ მზეს მართო არ დავტოვებდი, მეც მასთან ერთად უნდა წავსულიყავი. თუმცა რა უნდა მეთქვა მისთვის?! რას ვითხოვდი მისგან?! მქონდა კი უფლება მის ცხოვრებაში ქექვისა?! არ ვიცი.

ავტობუსი გაჩერდა, ქალი მძინარე ბავშვით დაბლა ჩავიდა და მეც არდილივით უკან დავედევნე. ქალმა შემომხედა და ნაბიჯს მოუმატა. როგორც ჩანს, ჩემთან საუბარს გაუბრუნდა, სიარულში ბავშვსაც გაეღვიძა და ძირს ჩამოსვა. მას ვერ გაუბედე, პატარას ჩაეჭიდე ხელი. ქალმა ბავშვურად შემომხედა და ჩემს წინ ამყვად თითქოსდა წლების წინ დაგროვილი ბრაზით აღმოხდა.

— რა გნებავთ ჩემგან? ყველაფერი დრომ წაიღო, გამოუსადეგარი თოჯინასავით კუთხეში მომიხროლეთ, ახლა კი ცდილობთ, იმ შავად ნაწერი ქალაქისგან სიყვარულის ფერია გამოძერწოთ, რომელსაც თუნდაც ერთი ვარდის ფურცელს მართმევთ და უკან დავედევნებთ? ნუ, ნუ ეძებთ თოვლზე ვარდებს. ვარდები გაიყინა. თოვლი — ის დრო იყო, ვარდები კი ჩვენ ვიყავით, რომლებიც გაიყინენ, უგულონი გახდნენ.

ატირდა. დიდხანს ვიდექით უბრადა. ბოლოს თავი დახარა და ნასვლა დააპირა. შემრცხვა, უპატრონო ძალივით უკან ავიკედებოდი, აქაც სიამაყემ დამლუპა. იქვე ახლოს მეუბოვე ვიპოვე, ჯიბეში ფული ჩავუდე, ადგილსამყოფლის გასაგებად გავაყოლე. მე კი იქ დავრჩი და სულმოუთმენლად ველოდი მეუბოვეს. დრო ისე გაიწინა, მთლად ავირიე, ადგილი ვედარსად ვიპოვე და ნასვლას ვაპირებდი, მეუბოვეც რომ დაბრუნდა. პატარა ფურცელი გადმომცა და მისამართიც მითხრა. ბარათი გადავშალე და ნაცნობ ხელწერას ნავანყდი — ნუ მომძებნით, გთხოვთ და თუ ჩემს თხოვნას არ დაიშლით, მიგულოთ როგორც და. სასონარკვეთილების ნუთებშიც რომ ოდნავ ხელჩასაჭიდიც კი სადღაც გულის სიღრმეში იმედს გისახავს... მე მისამართი ვიცოდი მისი, როგორც მეუბოვემ მითხრა, მაღალ მთებში მონასტერში ცხოვრობდა.

მონასტერზე აღრეც მსმენია, მაგრამ ბევრი არაფერი და ისიც ვიცოდი მხოლოდ ბავშვობაში გადამხდარი ამბიდან. სოფელში მაღალი მთის წვერზე ვხედავდი ტაძარს, რომელსაც მე იმ დროს კოშკს ვეძახდი. ყოველ დღით კი ამ კოშკთან მოფუსფუსე ხალხს ვათვალისწინებდი, შავ ფატაში შემოსილი. ბაბუას თქმით, იქ მონასტერი იყო — დედები ცხოვრობდნენ, მეტყოდა ხოლმე, დიდი დედები და მეც ცამდე ხელს ავანდუნდი — ამხელბი-მეთქი. ბაბუა თავზე ხელს გადამისვამდა ნაღვლიანად, გაიცინებდა და ისევ მონასტრისკენ დაიწყებდა ყურებას. შეჩვეულ ფიქრებში ჩაეფლობოდა, რომელსაც მე ვერ ვგებულობდი.

ცხოვრება იქ არის თუ არისო, ბუტბუტებდა თავისთვის. მე ბაბუას ბუტბუტი რახან არ მესმოდა, ვეცლებოდი და გასართობად მივიწვედი, ხოლო როცა ზარის ხმა მომესმებოდა, ისევ ბაბუასკენ მივასურებდი... ზარის შემდეგ ლოცვას იწყებდნენ, მეტყოდა და თვითონაც ლოცულობდა, მე კი ისევ არ მესმოდა მისი ბუტბუტი და ისევ გავრბოდი. ბაბუა სულ იქ იყო, არ ვიცი, რა ჰქონდა იმ კოშკთან ასეთი საერთო. სულ იმ მონასტერს გაჰყურებდა. ეს იყო ჩემი მცირე ცოდნა მონასტერსა და მის ბინადარ შოსან დედებზე.

კიდევ მახსოვს, ბევრ კითხვას ვსვამდი კოშკზეც, დედებზეც, მაგრამ ბაბუა ყოველთვის თავს არიდებდა ისევე, როგორც თხოვნას იმ კოშკში წაყვანაზე. ნაკვერჩხალდადებულივით ნამოიჭრებოდა, არ შეიძლებოდა, მეტყოდა და სახლში შევიდოდა. რატომ არ შეიძლებოდა, ისიც მიკვირდა, მაინტერესებდა, მაგრამ კითხვები ბუნდოვნად მრჩებოდა. ვფიქრობდი, გავიზრდები და გავიგებ-მეთქი. გავიზარდე და გადამაინწყდა სოფელიც, ის კოშკიც, ბაბუის ინტერესიც... მაგრამ ბავშვობის სურვილმა ისევ გაიღვიძა ჩემში და გამიჩნდა სურვილი იქ, მაღალ მთებში, მყოფი მონასტრის ხილვისა, უფრო სწორედ, ჩემი შოსანის ფერისა, და მზად ვიყავი მისი ნახვით შეპყრობილს, თუნდაც მუხლის ჩოქვით გადამეველო მთები. დიდხანს აღარ მიფიქრია... მართალია, ყოველ წამს მიტრიალებდა

აზრი თავში, რომ ის მორჩილია და აღარასოდეს დამიბრუნდება. ვინ გაცვლის ვარდს იაზე. ამაზე ვფიქრობდი მაშინაც კი, როცა მონასტრის აღმართს მივუყვებოდი, მაგრამ არ ვიცი, მეყოფოდა კი იმის გამბედაობა, რომ მონასტრის დახშულ კარში შევსულიყავი. არ ვიცი... გზა იყო შორი, მტვრიანი და უსწორმასწორო, თეთრი პერანგი მთლად დამისველდა, მტვრისაგან გაშავდა კიდეც, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ნაბიჯებს ავუჩქარე და მონასტრის კარს მივადექი. შევყოვნდი, უცებ თითქოს რალაცამ წამაბარბაცა, მთელი სხეული მომიდუნდა, კარამდე ძლივს მივანღიე. ხელი ოდნავ შევავხე სახელურს, ნახევრად დაკეტილი კარი უცებ გაიღო, ჯერ კიდევ სუსტად მყოფი კარის მოძრაობას დავმორჩილდი და მონასტრის შიგნით აღმოვჩნდი. იმ წამს ვიგრძენი, რომ გარდაცვალებამდე არსებობს მიწიერი სამოთხე. ისეთი სიჩუმე არსად მიგრძენია, უამრავ ყვავილში ეკალი ვიყავი, წმინდა ადგილას ამოსული და თითქოს ფეხები წამერთვაო, იქვე ყვავილებში ჩავიკეცი. შესვლისთანავე თვალი მოვკარი ახალ საფლავეს, უფრო სწორედ, ერთი იყო მხოლოდ ახალი, მაგრამ უმაღლე თვალი ავიარიდე, რატომ უნდა მექცირა მათთვის, როცა წინ საოცარი სურათი მქონდა — მიწისფერი შუაში დიდი ტაძარი, ტაძრის მარჯვნივ კი პატარა შენობა იყო, შორიდან შემჩნეველი სარკმლებით. პატარა შენობამდე კი მწვანე ხასხასა ბალახი, ბალახში ამოსული პანანინა, ჩემი სიყვარულივით პანანინა, უმწეო ყვავილები. ყვავილსა და მის შორის განსხვავება ერთი იყო მხოლოდ, ჩიტისთვალისოდენა ყვავილები კარგად არ ჩანდნენ, ჩემი პატარა ია კი ყოველთვის ისე ბრწყინავდა, როგორც მზე. ვერ აღწერი ჩემი უმწეო, ლატაკი ბუნება იმ საოცრებას, რაც იქ ვნახე. მოულოდნელად თვალი ისევ სასაფლაოსკენ გამექცა, სადაც პირველად დავტოვე მზერა, მაგრამ უმაღლე ავიარიდე, საფლავიდან მართოსული სიო უბერავდა. უცებ ჩემი ნაბიჯით მონასტრის კარისკენ მიმავალ შავებში ჩაფლულ მონაზონს შევხედე, შევატყვე, მანაც შემეშინა... ჩემკენ გამობრუნდა და მანიშნა, ტაძარი ღიააო. თავი დავუკარი. მინდოდა, ხელზე ვმთხვეოდი, მაგრამ არ ვიცოდი, ეს რამდენად მიღებულ იყო. მონაზონს ადრე პირისპირ არასდროს შევხვედრილვარ, არც ისეთი სითბოთი და სიყვარულით მბრწყინავი თვალეზი მინახავს არსად, თუ არ ჩავთვლით იმ ფერიას, რომელსაც ჩემი ამღვრული თვალებით ვეძებდი.

დედაომ დამლოცა და ტაძრისკენ გამიძღვა. იქ შესულს უცნაური შიში დამეუფლა, თითქოს ფეხები მომაჭრეს და სხვა გზა აღარ მქონდა, უფლის სახლში დავეცი უგონოდ, ჩემი დაკარგული ფერია დამიბრუნე-მეთქი. იმ ნუთში ვოცნებობდი, ჩემი ფერია შემოსულიყო და იატაკზე უსულდგმულად დანარცხებული ავეყენებინე. იმ ნუთს და ახლაც ვეულოფერს გავიღებდი, რომ ეს მომხდარიყო, მაგრამ მე საბრალლომ რა ვიცოდი, რომ ჩემი ფერია აღარ იყო.

მისი სხეული იმ პატარა საფლავს შთაგონებდა, რომელზეც სამორჩილე ეწერა, სული კი, როგორც მითხრეს, ანგელოზის ზეცაში აეტაცათ და ალბათ დიდებული უფლის მერე მონივნებით ეთაყვანებოდნენ. მე კი პირქვე დამხოვილი მის დაბრუნებას ველოდებოდი.

არ მახსოვს, როგორ დავტოვე მონასტერი, მხოლოდ ის მახსოვს, რომ დედაო მაშინაც და ახლაც ამაზე საუბარს თავს არიდებდა. როგორც ჩანს, მან იცოდა ყოველივე. მხოლოდ სიზმრად ვხედავ საფლავზე დამხოვილი ჩემს მოქვითინე სხეულს და ალბათ სწორედ ის იყო იმ შავბნელი დღის ერთ-ერთი ისეცა. ნათლად მახსოვს ის მოტივინე და-ძმაც, თუ როგორ დარბოდნენ მინდორში პეპლების დასაჭერად და აზრადაც არ მოსვლიათ, რომ დედის საფლავს უვლიდნენ კისკისით.

იმ დღის ამბავი ბუნდოვნად მახსოვს, ნათლად მხოლოდ მერე დღე დამამახსოვრდა, როცა ნახევრად ძილურანში მყოფი ბავშვის ტიტინმა გამომავლიდა. ძია, ნაკვიყვანე იმ ადგილას სათამაშოდ. გავოგნდი, ბალახში ჩავიკეცი, ვიგრძენი, თითქოს ბავშვი კი არა, ჩემი ფერია ამომჩურჩულებდა საფლავიდან, წამიყვანე, წამიყვანეო, მაგრამ ვერყეობდი. ვგრძობდი, მინდოდა, თან გამეყოლა ისინი, მაგრამ შეშინოდა, რომ გავიდოდა დღეები და ისინი ისევ მონასტერში დაბრუნებას მოისურვებდნენ. რა უნდა მეთქვა დედის ალერსს მოკლებული ბავშვებისთვის, ისიც არ ვიცოდი.


კარი ნელა გაიღო და ქურდივით გაპარვა დავაპირე, რომ ხელზე პატარა თათი შემეხო, ნაცნობი ბავშვი იყო, ნაცნობ ბავშვს კი გვერდით ხელჩაჭიდებული პატარა ჰყავდა. გავიჟიდი, გული ვეღარ დავიმორჩილე, მინაზე დავემხე და ორივენი გულში ჩავიკარი. ამ დროს თითქოს საფლავზე მოფარფატე სული ხარობდა, თითქოს მან შთააგონა ბავშვებს, რომ ვიპარებოდი, მოულოდნელმა სიტყვებმა ათრთოლებული გამომარკვია:

— ძია, ნაკვიყვან შენთან? მე დავთანხმდი, თითქოს თავიდანვე მინდოდა ეს, მაგრამ ერთადერთი, რაც მბრკოლებდა იყო დედა, როგორ შეხვდებოდა მათ, ყოველივე როგორ ამეხსნა მისთვის.

წინ კიდევ შორი გზა იყო. უკან მონასტერი აღარ ჩანდა, კარგა მანძილი გამოგვევლო, მივდიოდი და მეშინოდა, ახლობლებისგან მივიწყებული ბავშვები არავის მოეკითხა და ბავშვებსაც მათკენ არ გაეწიათ, არ მივეტოვებინე მათ, ვინც მე უკვე შვილებით მიყვარდა.

მაღე შიშაც გაქრა, სამანქანო გზაზე ტაქსი გავაჩერე და დათქმულ ადგილზე წაყვანა ვთხოვე. მძინარე პატარა ფრთხილად დავინვინე, გოგონა კი დაუკითხავად მუხლებზე მომიკალათდა. მათკენდა ეს გოგონა, თითქოს ყველაფერს ხვდებოდა, და ბუნდოვნად გამახსენდა იმ ღამეს საფლავს დროდადრო როგორ ანათებდა სენაკიდან გამოსული შუქი. როგორ იწეოდა და იფარებოდა სარკმლის ფარდა.





ხორხე ლუის ბორხესი

იუდას სამი პერსია

There seemed a certainty in degradation.
T. E. Lawrence: Seven Pillars of Wisdom¹

მცირე აზიისას თუ ალექსანდრიაში, ჩვენი რწმენის მეორე საუკუნეში, როდესაც ბასილიდესი წერდა, კოსმოსი ნაკლოვანი ანგელოზების სახიფათო და უკეთური იმპროვიზაციითაა, ნილს რუნებერგი განსაკუთრებული ინტელექტუალური მგზნებარებით უწინამძღვრებდა რომელიმე გნოსტიკურ ერთობას. დანტე ალბათ გემნას საფლავში გაამწესებდა; მისი სახელი უმცროსი ერეტიკოსების კატალოგს შეემატებოდა სატორნილესა და კარპოკრატეს შორის; მისი ქადაგების რომელიმე, ცილისწამებისგან თავისუფალი ფრაგმენტი დიდხანს იცოცხლებდა აპოკრიფულ ტექსტში — *Liber adversus omnes haereses*, ან იმ სამონასტრო ბიბლიოთეკის ხანძარი შთანთქავდა, რომელმაც *Sin-tagma*-ს უკანასკნელი ხელნაწერი გაანადგურა. ამის ნაცვლად, ღმერთმა მეოცე საუკუნე და ლუნდის საუნივერსიტეტო ქალაქი არგუნა. იქ გამოქვეყნდა 1904 წელს *Kristus och Judas* პირველი ვერსია; იქ დაინერა 1909 წელს მისი მთავარი ნიგნი — *Dem hemlige Frälsaren* (ამ უკანასკნელის გერმანული გამოცემა 1912 წელს თარგმნა ემილ შერინგმა სახელწოდებით — *Der heimliche Hailand*).

ვიდრე ზემოხსენებული ნაშრომების შესწავლას შევუდგებით, უსათუოდ უნდა გავიმეოროთ, რომ ნილს რუნებერგი ნაციონალური ევანგელური საზოგადოების წევრი და ღრმად რელიგიური პიროვნება გახლდათ; პარიზის რომელიმე სალონში ან თუნდაც ბუნენს აირესში, ვინმე ლიტერატორს მშვენიერად შეეძლო, ხელახლა აღმოეჩინა რუნებერგის თეზისები; თუმცა, იქ განხილული და ნარმოჩენილი მხოლოდ დაუდევრობისა და ღვთისგმობის მსუბუქი და უსარგებლო ვარჯიშს ემგვანებოდა. რუნებერგისთვის ეს თეზისები მთავარი გასაღები იყო თეოლოგიის ცენტრალური მისტიკის გასაშლივად; ეს იყო მასალა მედიტაციისა და ანალიზისა, ისტორიული და ფილოლოგიური წინააღმდეგობისა, ამპარტავნების, ალტაცების და ტერორისა. გაამართლა და გაანადგურა მისი ცხოვრება. ვინც ამ წერილს თვალს ადევნებს, უნდა იცოდეს, რომ მასში მხოლოდ რუნებერგის დასკვნებია წარმოდგენილი და არა მისი დიალექტიკა და მტკიცებულებები. მავანი იმასაც შენიშნავს, რომ დასკვნებს უჭყველად „მტკიცებულებები“ უძლოდა ნინ. ვინ შეუდგება იმის ძებნას, რისიც თავადაც არ სჯერა და ვისი წინასწარმეტყველებაც არაფრად ანადვლებს?

Kristus och Judas პირველ გამოცემას კატეგორიული ეპიგრაფი ახლავს, რომლის შინაარსიც წლების შემდეგ საშინლად ამხელს ნილს რუნებერგს: „ერთი რამ კი არა, ყველაფერი, რაც ტრადიციით იუდაის კარიოტელს მიენერება, სიყალბეა“ (დექუინსი, 1857). რომელიმე წინამორბედი გერმანელის შემდგომ დექუინსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იუდაიმ იესო ქრისტე იმიტომ გასცა, რათა მისთვის ღვთაებრივი ბუნების გაცხადება ეიძულებინა და რომის უღლის წინააღმდეგ ამბოხი გაეღვივებინა; რუნებერგი იუდას მეტაფიზიკურ გამართლებას გვთავაზობს. დასაწყისში ისტატურად წარმოაჩენს იუდას ქმედების ზედმეტობას. შენიშნავს (რობერტსონის მსგავსად), რომ იმ მასწავლებლის იდენტიფიკაცია, ვინც ყოველდღიურად ქადაგებდა სინაგოგაში და ათასობით ადამიანის თვალწინ სასწაულებს სჩადიდოდა, მოციქულისგან გაცემას არ საჭიროებდა. ამის მიუხედავად, ეს მაინც მოხდა. წმინდა წერილში შეცდომის ალბათობა შეუწყნარებელია. არანაკლებ შეუწყნარებელია შემთხვევითი ქმედების დაშვება კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მშვენიერ მოვლენაში. *Ergo* იუდას ღალატი შემთხვევითი არ ყოფილა; წინასწარგანსაზღვრული ქმედება იყო და თავისი მისტიკური ადგილი აქვს გამოსყიდვის ეკონომიაში. რუნებერგი განაგრძობს: როდესაც სიტყვა ხორციით შეიმოსა, ყველგანმყოფობიდან სივრცეში გადმონაცვლა, მარადისობიდან — ისტორიაში, საუკუნო სიხარულიდან — სახეცვლებასა და ხორციულებებში; ასეთი მსხვერპლის საპასუხოდ, აუცილებელი იყო ადამიანს — ყველა ადამიანის სახელით — მაცხოვრის საკადრისი მსხვერპლი გაეღო. იუდა ისკარიოტელი იყო ის კაცი. იუდა ერთადერთი იყო მოციქულებს შორის, ვინც იგრძნო ღვთაებრიობის იდუმალება და იესოს საშინელი განზრახვა. სიტყვა მოკვდავამდე დამდაბლდა; იუდა — სიტყვის მოციქული — მოლაღატემდე უნდა დამდაბლებულიყო (ყველაზე უარესი დანაშაული, რასაც უღირსობა იტყვს) და უშრეტი ცეცხლის სტუმარი გამხდარიყო. ქვენარი წესრიგი ზენარი წესრიგის სარკვე: დედამინის ფორმები ცის ფორმებს შეესაბამება; კანის ლაქები ცის უზალო თანავარსკვლავედთა რუკა; იუდა, გარკვეულნილად, ქრისტეს ანარეკლია. აქედან მოდის ოცდაათი ვერცხლი და ამბორი; აქედან მოდის ნების სიკვდილი, რათა დაგმობა დაიმსახურო. ასე განმარტა ნილს რუნებერგმა იუდას ენიგმა.

რუნებერგი ყველა კონფესიის თეოლოგებმა უარყვეს. ლარს პეტერ ენგსტრომა ის უმცირესაა თუ ჰიპოტასური ერთიანობის უგულვებელყოფაში დაადანაშაულა; აქსელ ბორელიუსმა — დოკტებლის ერესის განახლებაში, რომელიც იესოს ადამიანურობას უარყოფდა; ლუნდის ფოლადის ეპისკოპოსს წმინდა ლუკას სახარების 22-ე თავის მესამე მუხლის უარყოფაში დასდეს ბრალი.

მრავალგვარმა ანათემამ რუნებერგზე გავლენა იქონია. შერისხული ნიგნი ნანილობრივ გადანერა და თავის დოქტრინას სახე უცვალა. მეტოქეები თეოლოგიური ბრძოლის ველზე მიატოვა და მორალური რიგის ირიბი დებულებები წარმოადგინა. აღიარა, რომ იესოს, „რომელიც ყველა იმ ღირსშესანიშნავ საშუალებას ფლობდა, რაც ყოვლისმპყრობელს შეუძლია, შემოგვთავაზოს“, ერთი ადამიანი არ საჭიროებოდა ყველა სხვა ადამიანის გამოსახსენებლად. შემდეგ იმათ შეეკამათა, ვინც ამტკიცებდა, ამოუხსნელ მოლაღატეზე არაფერი ვიცით; ვიცით, თქვა რუნებერგმა, ერთ-ერთი მონაფე იყო, ერთი რჩეულთაგანი — ზეციური სამეფოს გასაცხადებლად, სწულთა განსაკურნად, კეთროვანთა განსაწმენდად, მიცვალებულთა აღსადგენად და ეშმაკთა განსადევნად (მათე 10: 7-8; ლუკა 9:1). იმ კაცის საქციელი, ვინც მაცხოვარმა ასე გამოარჩია, საუკეთესო ინტერპრეტაციას იმსახურებს ჩვენგან. იუდას დანაშაულის სიხარბით ახსნა (როგორც ზოგიერთები აკეთებენ იოანეს სახარების 12: 6-ზე დაყრდნობით) ყველაზე უგუნურ მოციქვთან შეგუებას ნიშნავს. ნილს რუნებერგი სრულიად საწინააღმდეგო მოტივს ასახელებს: ჰიპერბოლურ და ლამის უსაზღვრო ასკეტიზმს. ასკეტი, უფლის საიდუმლად, ხორცს აკნინებს და აკვდინებს; იუდა იგივე დამართა თავის სულს. უარყო ღირსება, სიკეთე, მშვიდობა, ზეციური სამეფო, როგორც სხვებმა უარყვეს — ნაკლებ გმირულად — სიამოვნება². მან საშინელი სიცხადით გაიაზრა თავისი დანაშაული. ადულიტერში სინაზესა და თავგანწირვას აქვს ნილი; მკვლელობაში — შეუპოვრობას; პროფანაციასა და ღვთისგმობაში — თავისებურ სატანურ მგზნებარებას. იუდა იმ დანაშაულს აირჩია, რომელსაც პრაგმატიკი სიქველე არ ახლდა: ნდობის პროტად გამოყენება (იოანე 12:6) და გაცემა. ჩაიღინა უდიდესი თავმდაბლობით, რადგან კარგად ამიანად ყოფნის ღირსად თავი არ მიაჩნდა: „რომელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდის“ (1 კორინთელთა 1:3); იუდამ ჯოჯოხეთი მოქმებდა, რადგან მისთვის უფლის სიხარულიც საკმარისი იყო. ფიქრობდა, რომ ბედნიერება, ისევე როგორც სიკეთე, ღვთაებრივის ატრიბუტია და ადამიანებმა არ უნდა დაისაკუთრონ³.

ბევრმა *post factum* აღმოაჩინა, რომ რუნებერგის სავსებით გამართლებული დასაწყისი მის ექსტრავაგანტურ დასარულსაც მოიცავს და *Den hemlige Frälsaren* — მარტოოდენ *Kristus och Judas* გაუკუღმართებული და გამაფრებული ვერსიაა. 1907 წლის მიწურულს რუნებერგმა ტექსტის ხელნაწერი დაასრულა და შესწორა; თითქმის ორი წელი გავიდა, სანამ დასასტამბდ დაგზავნა. 1909 წლის ოქტომბერში ნიგნი დაიწვეთ ებრაისტის, ერიკ ერფიორდის თბილი და ლამის ენიგმატური პროლოგით გამოიცა, რომელსაც ეპიგრაფად ეს ვერაგული სიტყვები უძლოდა: „სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმა იგი ვერ იცნა“ (იოანე 1:10). მთავარი არგუმენტი რთული არ არის, თუმცა, დასკვნა საშინელია. ღმერთი, ასკენის რუნებერგი, კაცამდე დამდაბლდა, რათა ადამიანთა გვარი გამოეყვიდა; შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მის მიერ გაღვთი მსხვერპლი სრულყოფილი იყო, უგულვებელყოფით არც გაუქმებულა და არც დაკნინებულა. მისი ტანჯვის შემოსაზღვრა ჯვარცმულის მწუხრის აგონიით ღვთის გმობაა⁴, მტკიცება იმისა, რომ ადამიანი იყო და ცოდვის უნარი არ ჰქონდა — წინააღმდეგობრივი კემნიცი აღიარებს, რომ მაცხოვარს შეეძლო, ეგრძნო დაღლილობა, სიცივე, ძრწოლა, შიმშილი და ნყურვილი; ასევე შესაძლებელია, ცოდვაში ჩავარდნილიყო და თავი დაეკარგა. ცნობილი ტექსტი ამბობს: „აღმოცენდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მინიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ

შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალსწინებელი, გატანჯული და დასწეულმტბული; ერთი იმთაგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით“ (ესაია 53:2-3). ბევრისთვის ეს სიტყვები ჯვარცმულის აღსასრულის წინასწარმეტყველება იყო; ზოგისთვის — (მაგალითად, შანს ლასენ მარტენსენისთვის) იმ მშვენიერების უარყოფა, რაც ვულგარული თანხმობით ქრისტეს მიენერება; რუნებერგისთვის — არა მხოლოდ ერთი მომენტის ზუსტი წინასწარმეტყველება, არამედ დროსა და მარადისობაში განკაცებული სიტყვის მთელი საზარელი მომავლის განჭვრეტა. ღმერთი სრულად განკაცდა უღირსობამდე, განკაცდა დამობამდე, უფსკრულამდე. ისტორიის ბუნდოვან ქსელში მას შეეძლო, ნებისმიერი გზა აერჩია ჩვენს დასახსნელად; შეეძლო, ყოფილიყო ალექსანდრე ან პითაგორა, რურკი ან იესო; მაგრამ უკნინესი ბედისწერა აირჩია: იუდა იყო.

ამაოდ სთავაზობდნენ ამ აღმოჩენებს სტოკჰოლმისა და ლუნდის ბიბლიოთეკები: ურწმუნობმა *a priori* მიიჩნიეს თეოლოგიის შრომატყვედ და უგემოვნო თამაზად; თეოლოგებს ამრეზით შეხედეს. რუნებერგმა ეს ეკუმენისტური გულგრილობა სასწაულებრივ მტკიცებად აღიქვა. თავად ღმერთი ბრძანებდა ამ გულგრილობას; უფალს არ სურდა, მისი საზარელი საიდუმლო დედამინაზე გავრცელებულიყო. რუნებერგი მიხვდა, რომ ყამი ჯერ არ დამდგარიყო: იგრძნო, ყველა ძველი ღვთიური წყევლა რომ დაატყდა თავს; გაიხსენა ელია და მოსე, რომლებმაც სახეზე ხელი აიფარეს, რათა ღმერთი არ ეხილათ; ესაია, რომელსაც თავზარი დასცა იმის ხილვამ, ვისი დიდებაც სამყაროს ავსებდა; სავლე, რომელიც დამაძვკოს გზაზე დაბრმავდა; რაბინი სიმეონ ბენ-აზაი, რომელმაც იხილა სამოთხე და აღესრულა; ცნობილი ჯადოქარი, იოანე ვიტერბოელი, ჭკუიდან რომ შეცდა სამების გამოცხადებაზე; მიდრაშები, რომლებსაც სულთ ურწმუნობი, უფლის საიდუმლო სახელს — *Shem Hamephorash* — რომ წარმოსთქვამენ. მას ხომ არ მიუძღოდა ბრალი ამ ბნელ დანაშაულში? ეს ხომ არ იყო სულიწმინდის გმობა, რომელსაც შენდობა არ ექნება (მათე 12:31)? ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტყვება ადამიანებს, მაგრამ სულის გმობა არ მიეტყვება მათ. ვალერიუს სორანუსი გარდაიცვალა, რადგან რომის საიდუმლო სახელი გაამჟღავნა; როგორია იმის საუკუნო სასჯელი, ვინც ღვთის საშინელი სახელი აღმოაჩინა და გაავრცელა?

უძილობითა და თავბრუდამხვევი დიალექტიკით გათანგული ნილს რუნებერგი მალმოს ქუჩებში დაეხეტებოდა და ხმამალა ითხოვდა მონყალებას, რომ მაცხოვართან ჯოჯოხეთი გაეზიარებინა.

ანერვიზმა გაუსკდა 1912 წლის პირველ მარტს. ერესილოგებმა შესაძლოა, გაიხსენონ; ძეღმერთის გაცვეთილი კონცეფციას უკეთურებისა და უიღბლობის სირთულეები შესძინა.

¹ „დეგრადაცია ერთგვარად დამაიმედებელია“ — თ. ე. ლოურენსი, სიბრძნის შვიდი ბურჯი.
² ბორელიუსი დამტკიცავდა იძიებს: „რატომ არ უარყო უარყოფა? რატომ არ უარყო უარყოფის უარყოფა?“
³ ეკკლედეს და კუნა რუნებერგისთვის უცნო ნიგნიში აღნიშნავს, რომ კანუდუსელი ერესიარქის ანტონიო კენსელიერუსაგან კველმოქმადი „თითქმის შეუბრალებელი“ იყო. არგენტინელ ეპისკოპოსმა ანალოგიური პასაჟი აღმოაფურტეს წინამორბედიან. რუნებერგმა სიმბოლურ ურწმუნობა *Sju insegel* გამოაქვეყნა აღწერილობითი ნაშრომი *El agua secreta*. პირველი სტროფები მღვლავარ დღის ამბებზე მოგვითხრობს; უკანასკნელი — შემთხვევით აღმოჩენილი ყინულოვან ტბორზე; პოეტი მიგვანიშნებს, რომ ამ მღვლავარ წყლის ხანგრძლივობა ამართლებს ჩვენს ამაო რისხვას და გარკვეულნილად, მის უფლებასაც გვაძლევს და შეგვინდობს. პოემა ამტკიცავს სრულდება: „სიღვას წყალი ბედნიერია; შეგვიძლია, ვიყოთ ბორბები და ტანჯულები“.
⁴ მორის აბრაამოვიცი აღნიშნავს: „ამ სკანდინავიელის მიხედვით, იესო ყოველთვის მომგებიან როლშია; მისი ფათერაკიანი თავგადასავალი, ტიპოგრაფიული ხელოვნების თანხმად, მრავალწლოვანი დიდებით სარგებლობს. ერთი სიტყვით, 33 წლის განმავლობაში, მისი სამყოფელი კაცთა შორის სხვა არაფერი იყო, თუ არა აგარაკზე დასვენება“. ეროზორდ *Christelige Dogmatik*-ის შესამე დანართში უარყოფს ამ პასაჟს. აღნიშნავს, რომ უფლის ჯვარცმა არ შეწყდა, რამეთუ ერთხელ დროში განხორციელებული მუდმივად მეორედება მარადისობაში. იუდა კვლავ იღვს ვერცხლის მონეტებს; კვლავ ეამბორება იესო ქრისტეს; კვლავ ვერცხლის მონეტებს ყრის ტაძარში; კვლავ თოკის მარყუჟს ნასკავს სისხლიან მდლოზე (ამ მტკიცების გასაწარმოებლად ეროზორდი იარომირ ჰლადიკის „მარადისობის გამართლების“ პირველი ტომის ბოლო თავს იმონებს).

თანამედროვე სპარსულ მწერლობას არაერთი გამორჩეული შემოქმედის სახელი ამჟღავნებს. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერიდუნ თონქაბონის. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდმა მწერალმა თავისი თაობის სხვა ნიჭიერ წარმომადგენლებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპარსული პროზის შემდგომ განვითარებაში.

ფერიდუნ თონქაბონი დაიბადა თეირანში 1937 წელს. მომავალი მწერლის მამა პედაგოგი და სკოლის დირექტორი გახლდათ, დედა — მასწავლებელი. თეირანის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თონქაბონი ერთხანს მასწავლებლობდა. მოგვიანებით კი მთავარ პროფესიად მწერლობა აირჩია. მისი დებიუტი შედგა 1961 წელს თხზულებით „კაცი გალიაში“, რომელსაც მაინცდამაინც დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ნამდვილი აუთენტური მოჰყვა ნიგნს „ხმაურიანი ქალაქის ჩანაწერები“, რომელიც 1971 წელს გამოიცა. თონქაბონიმ სატირისა და სუსხიანი ირონიის გზა აირჩია. აღნიშნული ნაწარმოების გამო მწერალი შაჰის უშიშროების სამსახურმა — „სავაქმა“ — დააპატიმრა. მას პირველ ჯერზე ექვსთვიანი პატიმრობა აკმარეს, მაგრამ მოგვიანებით, ნიგნისთვის „ნაღველი სიბერნის გამო“, ციხეში ისევ მოხვდა, ამჯერად 2 წლის ვადით. ცხადია, მძიმე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა საქმიანობა შეზღუდული იყო. შაჰის მრისხანე ჟანდარმული სისტემა განსხვავებული აზრის მქონეებს მკაცრად უსწორდებოდა. მწერალი მუდმივი კონტროლისა და ცენზურის წინაშე ექვემდებარებოდა.

თონქაბონი მონაწილეობდა ირანის მწერალთა კავშირის შექმნაში და მისი მმართველი ორგანოს წევრიც იყო, საიდანაც მოგვიანებით რამდენიმე მწერალთან ერთად დაითხოვეს.

ისლამური რევოლუციის პერიოდში თონქაბონი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ (1979), როგორც თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედი, ახალი რეჟიმისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. მწერალმა არაერთხელ იწვინა დევნა-შევიწროება. 1983 წელს კი სამშობლო დატოვა და ევროპაში გადასახლდა. მან სამწერლო მოღვაწეობა უცხოეთშიც განაგრძო. ამჟამად მკ წლის ფერიდუნ თონქაბონი ცხოვრობს გერმანიის ქალაქ კიოლნში.

თავად მწერალი BBC-Persian-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ადრეული სატირული ნაწარმოებების შექმნისკენ სწორედ იმჟამინდელი ირანის პარადოქსულმა რეალობამ უბიძგა. ევროპაში გადასვლის შემდეგაც, ცენზურის არარსებობის პირობებში, მაინც ძველი ფორმის ერთგული დარჩა: „ბევრის აზრით, რადგან აქ ცენზურა არაა, ეს საქმეს ერთი-ორად აიოლებს, სინამდვილეში კი, რაღაც თვალსაზრისით, სირთულესაც ქმნის. თუკი მავანი მოინადინებს, სათქმელი პირდაპირ და დაუფარავად გამოხატოს, ამით შესაძლოა სატირის სპეციფიკას დაშორდეს და საგაზეთო სტატიის სტილს დაუახლოვდეს. მე კი ვეცადე, უცხოეთში გამოცემულ ნიგნებშიც სატირის თავისებურებანი შემენარჩუნებინა“.

ფერიდუნ თონქაბონი წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის მანქანა

1385¹ წელი იდგა. წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლა დღითიდღე სწრაფად იკრებდა ძალას. მთავრობას მთელი სამხედრო და არასამხედრო, საჯარო და ფარული ბიუჯეტი წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლისთვის გამოეყო. პოლიციელებს, ხელკეტის ნაცვლად, წელზე უშველებელი ფანქრები ეკიდათ და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს ამით უსწორდებოდნენ. ჯარისკაცთა მუხისთავები კალიგრაფიის კალმების გათლაში ცვდებოდა.

ჯარიმა, გაროზგვა, დატუსაღება და სიკვდილით დასჯა გაუქმებულიყო. თუკი რომელიმე მძღოლი წითელზე გაივლიდა, აიძულდნენ, საგზაო პოლიციის პირველივე განყოფილების მავიდას მისჯდომოდა და ხუთასჯერ ჩამოენერა: „ამიერიდან წითელ შუქნიშანზე აღარ გავივლი!“ ხოლო თუკი ბავშვს გაიტანდა, მაშინ ათი ათასჯერ უნდა დაენერა: „ამიერიდან ბავშვს აღარ დავეჯახები!“ საყსაბო, სახაზაბო და საბაყლო დუქნებზე დიდი აბრები გამოეკრათ, რომლებიც იუნყებოდნენ: „წერა-კითხვის უცოდინრებს საქონელი არ მიეყიდებათ!“


ფოტოგრაფები წერა-კითხვის უცოდინრებს ფოტოსურათს არ უღებდნენ და სტატისტიკის სამმართველო მათ პირადობის მონმობის ასლებსაც არ აძლევდა (არადა, წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის კლასებში რეგისტრაციისთვის ოთხ ფოტოსურათს და პირადობის მონმობის ასლს ითხოვდნენ).

ხალხი ავტობუსისა და ტაქსის რიგებში იაფფასიანი, სქელ და თხელტანიანი ნიგნებს კითხულობდა, რომლებიც „წერა-კითხვის უცოდინართათვის საკითხავ ნიგნთა გამოცემის ცენტრს“ დაეუბნებოდა. სადალაქო და სამეწარმეო ჯიხურებსა და ექიმთა მოსაცდელ ოთახებში ასეთ ნიგნებს ბლომად ნაანყობდებოდა. სახელმწიფო მოხელეები, კმაყოფილებითა და მგზნებარებით, ერთის ნაცვლად ოცდაათი დღის ხე-

ლფასს წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის წმინდა საქმეს ახმარდნენ და შემდეგ შიმშილისაგან ჯგუფ-ჯგუფად, ცოლ-შვილიანად ფეხებს ჭიმავდნენ. მთავრობაც, მაღლობის ნიშნად, მათთვის დაკრძალვის ოფიციალურ ცერემონიას აწყობდა. თავისუფალი პროფესიის მქონენი კი მთელ ქონებას ანადგებდნენ და საგანგებო „7-7-წ“ ანგარიშზე (წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის მეშვიდე შვიდწლიანი პროგრამა) შეჰქონდათ. ისინიც სათითაოდ ჭიმავდნენ ფეხებს. ამის სანაცვლოდ, ერთბაშად მოგებული სამოცდაათი მანქანა მათ ცხედრებს მიასვენებდა. ოფიციალურ ჯილდოდ მიღებული შვიდასი მანი ოქროთი და შვიდი ტონა ვერცხლით კი გრანმათი საფლავი, როგორც თავდადებისა და უანგარობის ნიშნად, მომავალი თაობებისთვის მოსალაცი ადგილი ყოფილიყო.

ლექსზე, რომელიც წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის საზოგადოების დევიზი უნდა გამხდარიყო, კონკურსი გამოცხადდა. ბოლოს ამ ლექსმა გაიმარჯვა: „გაუძელ შიმშილს, ალიკვეთე ვერაგი მადა, რათა ცოდნის და განათლების ნათელი ჭვრიტო.“

ამის მერე ეს სტრიქონები ყველა მარკირებულ დოკუმენტსა და სასწავლო ნიგნზე დაიბეჭდა. კედლებზეც მიაწერეს და, რათა წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლა ქვეყნის ისტორიაში სამუდამოდ აღბეჭდილიყო, უშველებელი ასოებით, რომელიც დედაქალაქიდანაც კი იოლად ნაკითხვობდა, დამავანდის მისი კალთაზეც ამოტიფრეს. ასეთი უმონყალო ბრძოლის შედეგად, როგორც ვარაუდობდნენ, წერა-კითხვის უცოდინარი კაცი აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გამრავლების ჩქაროვანი ტემპების გამო (რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ყოველდღიურად მზარდი განვითარების, ხალხის ყოფითი



და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, უმუშევრობის და განსახლების პრობლემების აღმოფხვრის შედეგი იყო) ქვეყანაში ჯერაც რამდენიმე მილიონი წერაკითხვის უცოდინარი რჩებოდა (მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით მათი რაოდენობა ორას მილიონს სჭარბობდა). რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლა მსოფლიო მასშტაბითაც ჩვენი ქვეყნისთვის მიენდო, პასუხისმგებელი პირები დღეს და ღამეს ასწორებდნენ, რათა, რაც შეიძლება მალე, ეს დარჩენილი ჯგუფები უცოდინრობისა და შემდეგ მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის მიეხედათ. ამდენად, რაღაც დროის მერე, დიდი ფიქრისა და თათბირის შედეგად, გამოსავალი გამოჩნდა და იმ პირებისთვის, რომლებიც წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის საქმეში დახმარებას კისრულობდნენ, უზარმაზარი ჯილდო დაანესეს. ჯილდოები, რომლის წინაშეც სამოცდაათი ავტომობილი და შვიდასი მანი ოქრო მასხარაობად ჩანდა.

ექვსი თვის მერე ამ ორიგინალურმა იდეამ შედეგი გამოიღო და ერთმა ახალგაზრდა გამომგონებელმა, რომელიც პროფესიული სკოლის კურსდამთავრებული გახლდათ, წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის მანქანა გამოიგონა. ეს მანქანა, სხვადასხვა ზომისა — ერთი-ორი კაცისთვის ან მთელი ჯგუფისთვის — იქმნებოდა და მისი უმცირესი ნიმუში ერთი სატელეფონო ჯიხურის ტოლა იყო. ხელსაწყოს კონსტრუქციის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება (ახალგაზრდა გამომგონებელმა ეს ყველაფერი საიდუმლოდ შეინახა და მანქანა საკუთარ სახელზე დაარეგისტრირა), მაგრამ მისი მუშაობის სქემა ძალზე მარტივი იყო: წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანს მონყობილობაში ათავსებდნენ, მანქანას რთავდნენ (ის ორას ოც ვოლტზე მუშაობდა) და ერთი წუთის შემდეგ უკვე წერა-კითხვის მცოდნე პირი რეგულარულ მონყობილობიდან გამოსვდათ. ამდენად, ერთი თვის ან ერთი წლის ნაცვლად წერა-კითხვის უცოდინართათვის წერა-კითხვის სასწავლებლად მხოლოდ ერთი წუთი იხარჯებოდა და დროის ასეთ მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მანქანის ექსპერტებმა ნიმუში გამოსცადეს, იგი მონონებულნი და დამტკიცებული იქნა, ხოლო ახალგაზრდა გამომგონებელმა ჯილდოც მიიღო. ძირითადი დიდი მანქანა დაამონტაჟეს და მუშაობას შეუდგნენ. დანადგარს გვერდით საჭე ჰქონდა, რომელზეც ციფრები ეწერა. მაცივრის მსგავსად, რომელსაც ზომიერი, ცივი და ძალიან ცივი დანაყოფები აქვს, ამ დანადგარსაც ციფრები და დანაყოფები ჰქონდა. თუკი ბერკეტს პირველ ნომერთან დააყენებდნენ, ერთი წუთის შემდეგ მანქანა წერა-კითხვის მცოდნე გამოუშვებდა, თუ ექვსიანზე დააყენებდნენ, გარეთ გამოსულ ადამიანს ექვს წუთში დაწყებითი განათლება გავლილი ექნებოდა. მეცხრე დანაყოფი საშუალო სკოლის ზედა საფეხურისთვის იყო, მეთორმეტე-ათესტატისთვის, მეთექვსმეტე დანაყოფი კი ბაკალავრიატისთვის. ბაკალავრიატს შემოთ საჭირო იყო გადაბრუნება. ანუ მან-

ქანაში მოთავსებული პირი საგანგებო ენერგიაზე გადაჰყავდათ და ორი ან ოთხი წუთით ტემპერატურას უმატებდნენ. პირველ შემთხვევაში გარეთ მაგისტრი, მეორე შემთხვევაში კი დოქტორი გამოდიოდა.

როცა მანქანა თავისი საქმის კეთებას შეუდგა, ყმანვილი გამომგონებლის სახელი მთელ მსოფლიოს მოედო. ჯილდოებს, მედლებს, პრემიებსა და ოფიციალურ მინჯეებს ხომ თვლა აღარ ჰქონდა. ახალგაზრდა გამომგონებელს ყველა ქვეყნიდან შეკვეთები მოსდიოდა და ხალხი მანქანის დამზადებას და გამოგზავნას ექვსი თვის თუ ერთი წლის განმავლობაში უცდიდა.

იაპონიიდან ისეთი მოწყობილობა შეუკვეთეს, რომელიც დენის ნაცვლად ტრანსისტორით ან ბატარეით იმუშავებდა. ეს მანქანა მალევე დამზადდა, რომელმაც მცირე ხანში განათლებულთა არაერთი ჯგუფი გამოუშვა. ისინი იაპონელი ან ტრანსისტორული განათლებულების სახელით გახდნენ ცნობილი.

ერთ-ერთმა სანავთობო კომპანიამ აზიისა და აფრიკის უდაბნოებისთვის ისეთი მოწყობილობა შეუკვეთა, რომელიც ნავთზე იმუშავებდა, რადგან იქ ელექტროენერგია არ იყო, ან ძვირი ღირდა, სამაგიეროდ ნავთობი იყო ბევრი და იაფადაც ფასობდა. მანქანა მეთექვსმეტე დონის გააქტიურებით ნავთის სპეცილისტებსა და ინჟინრებს უშვებდა. მაგრამ ერთ დღეს მანქანის მეთვალყურის დაუდევრობის გამო ფითილი ძალიან გახურდა და ააღდა, რის შედეგადაც გარეთ გამართული და გაჭვარტლული ხალხი გამოვიდა. კომპანია მათ ინჟინრებად და სპეცილისტებად მიღებას არ დათანხმდა და აიძულა, რიგით მუშებად ემუშავათ.

ამასობაში ძირითადი მანქანა კარგად მუშაობდა. წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფები კუთხე-კუნჭულ შეეკრიბათ. საბარგო ავტომობილით მოჰყავდათ და საცავში ცლიდნენ, ხოლო მონყობილობის მეორე მხრიდან მზა, კოხტად შეფუთულ წერა-კითხვის მცოდნეებს (მუშახელის გარეშე) იღებდნენ. ისეთი პირი უჩანდა, რომ წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლა უნდა დაგვირგვინებულიყო, მაგრამ დენის მოხელის დაუდევრობის გამო ორი უსიამოვნო ამბავი მოხდა. პირველი ამბავი ის იყო, რომ დენის მოხელემ, რომელიც უძილობის და სხვა ათასი საქმის გამო დაღლილი და მისაავთებელი გახლდათ, ჩათვლიდა და მანქანის კონტროლი დაკარგა. არასაკმარისი ძაბვის გამო, ელექტროენერგია უცებ დავარდა და განახევრდა. სანამ მოხელე გაიღვიძებდა და ამბავს შეიტყობდა, მანქანამ რამდენიმე ათასი ატესტატინი და ბაკალავრის დიპლომინი გამოუშვა, რომლებიც, სამწუხაროდ, არასათანადო ტემპერატურის გამო კარგად ვერ დაიბრუნნენ და გამოცხვენენ. ყველა მათგანი გამოუშვებულ, გამოუმცხვარ ცომს ჰგავდა. თუმცა, სახელმძღვანელოების ყველა თემა კარგად დაეზუთნათ და ნაუბოროძიკებლად იმეორებდნენ, მაინც უფიცებად დარჩნენ.

მეორე ამბავი მომდევნო ღამეს მოხდა. დენის მოხელემ საქმის დარქარებისთვის ძაბვას მოუმატა. შედეგად, მანქანის პროდუქტებმა ზედმეტი სიმპურვალე მიიღეს და ზომანზე მეტად დაიბრუნნენ.

როცა მანქანის სარქველი გახსნეს, ღმერთმა თქვენ ავი სანახავი გამოროთ! გამხდარი, დანაოჭებული და გაძვალტყავებული პროფესორები, რომელთაც დაფხავებული ტანსაცმელი ემოსათ, თვალზე კი ახლომხედველი სათვალეები დაეკოსებინათ, მონყობილობიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოცვივდნენ. ენით უთქმელი მგზნებარებით კამათობდნენ ქვის ხანის მეცნიერებასა და ლიტერატურაზე, იმ ეპოქის ენებზე, სიტყვათა ფუძეებსა და ეტიმოლოგიაზე, ამ ენების გრამატიკულ სპეციფიკაზე და მათ განმტოვებზე. ვერც დალას გრძნობდნენ და ვერც შიმშილს. ყურადღებას არაფერი უფანტავდათ. მათ თვალწინ კაციც რომ მოეკლათ, არც თავს მიაბრუნებდნენ და არც დისკუსიას შეწყვეტდნენ. ეს უპატრონოები თითქოს ამ პლანეტის შვილები არც იყვნენ.

¹ ირანული მზის კალენდრის 1385 წელი შესაბამისა ქრისტიანული წელთაღრიცხვის 2007 წელს. ნოველა დაიწერა ნახევარი საუკუნის წინ, როცა 2007 წელი ჯერაც მომავალში იყო.



ნიკო ადამიანზე, როგორც იყო ნიკო ფიროსმანი, დღეს წერა ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია თუ კაცი მორჩილად გაიმეორებს გასულ საუკუნეში მხატვრის პიროვნებას და მის შემოქმედებაზე ქართველი ინტელიგენციის ნიაღვრე შექმნილ და დაკანონებულ სტერეოტიპურ წარმოდგენებს.

ფიროსმანის უხეშად იდეოლოგიზირებული სახის, უფრო სწორად, სქემის თანახმად, ის იყო დაჩაგრული ღარიბ გლეხთა კლასიდან გამოსული შემოქმედი, რომელიც უმღეროდა მშრომელი ხალხის ბედნიერებას და სამშობლოს ისტორიულ წარსულს, რომელსაც სძულდა ვაჭრები და მედუქნეები და თავის შემოქმედებაში დასცინოდა მდიდრებსა და ბურჟუაზიას. ეს სქემა მისი შემქმნელი კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგებისთვის წაიღო დავისთვის მდინარე, ასე რომ, კულტურის ისტორიკოსების გარდა მალე, ალბათ, აღარავის ემახსოვრება. სამაგიეროდ, გაცილებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ფიროსმანის მეორე, უმოწყალოდ რომანტიზებული, სახე — ეს არის პოეტური ფანტაზია უიღბლო და ბოჰემური ცხოვრების მოტრფივალე შემოქმედის ლანდზე, რომელიც „ჭიქა არაყით გაიხსნის მადას, მერე შეკრება, ვით მთავრებული და ორთაჭალის ლამაზებს მხატვარს“.

განსხვავებით ზემოთ ხსენებული სქემისგან, იქნებ ეს არც არის ცუდი ფანტაზია, იმ თვალსაზრისით, რომ იგი მაინცდამაინც შორს არ უნდა იყოს რეალობისგან, მაგრამ ეს ფანტაზია გაცილებით უკეთესი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისიც გვეცოდინებოდა, როგორ ცხოვრობდა ფიროსმანი მაშინ, როცა არც არაყის სვამდა და არც ორთაჭალს ლამაზმანებს ხატავდა. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში პოეზიაზე გაცილებით მეტი ყოველდღიური ცხოვრების ყოფილი პროზაა და ამ წესიდან, რა თქმა უნდა, ვერც ფიროსმანი იქნებოდა გამონაკლისი. ის, რასაც ფანტაზია გვთავაზობს, მხოლოდ პოეტური ლანდია და არა ცოცხალი ადამიანის ხატი. ცხადია, პირველ რიგში, საინტერესო ის არის, სინამდვილეში როგორ იყო ნიკო ფიროსმანი მაშინ, როგორც ხორციელი ადამიანი, როგორც კაცი, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, კონკრეტულ ქალაქში ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა, ურთიერთობა ჰქონდა კონკრეტულ ადამიანებთან, ვიღაც უყვარდა, ვიღაც სძულდა, რაღაც აწუხებდა, რაღაც სტაკიოდა, რაღაც უხაროდა, რაღაცას ფიქრობდა, რაღაცას კითხულობდა... ერთი სიტყვით, პირველ რიგში, საინტერესოა მისი შეძლებისდაგვარად ზუსტად აღდგენილი ბიოგრაფია. მაგრამ ასეთი წიგნის დანერგვა ძნელია.

გიორგი კაკაბაძემ თავის დოკუმენტურ რომანში „ნიკო ფიროსმანი“ სწორედ ეს ძნელი გზა აირჩია. იგი შეეცადა, შეუღლებულიყო ადვილი მხატვრის ცხოვრება, მაგრამ ჩვენში ის იოლი არასოდეს იყო. პრინციპი — „მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“ — გასული საუკუნის ჩვენებურ ბიოგრაფოსთა წრეებში პოპულარული არ იყო. არსებობდა ტრადიცია, რომლის ძალითაც ყველა გამოჩენილი პიროვნება, მეფე იქნებოდა ეს, მხედართმთავარი, მწერალი, რეჟისორი თუ მსახიობი, ბიოგრაფს დაახ-

„აუხსნელი ლეგენდა“

ლოებით ისე უნდა დაეხატა, როგორც შუა საუკუნეებში ჰაგიოგრაფოსები ხატავდნენ ქრისტიანული რელიგიისთვის თავდადებულ წმინდანებს, რომელთათვისაც ბავშვობიდანვე უცხო იყო ყოველგვარი ადამიანური ვნება და შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ლამის დაბადებიდან სიკვდილამდე ასე უმოწყალოდ გვტანჯავს უბრალო მოკვდავთ.

ეს დღეისთვის უკვე საკმაოდ მორყეული ტრადიცია აქ იმიტომ გამახსენდა, რომ იდეოლოგიზაციასთან ერთად ფიროსმანს, რა თქმა უნდა, არც „პოეტიზაცია“ პროკრუსტეს სარეცელი ასცდებოდა. გიორგი კაკაბაძე თავისი წიგნის შესავალშივე იხსენებს 1938 წელს ლადო გუდიაშვილის მიერ გამხელილ ინფორმაციას (რომელიც მაშინვე საგულდაგულოდ მიფურჩქნდა), რომლის თანახმადაც ნიკო ფიროსმანს საყვარელი ჰყავდა:

„ახე, ძმაო ლადო! ხო, იმაზე მოგახსენებ. ერთი ქალი იყო, ერთ პადვალში ემსახურებოდა, ჭურჭელს რეცხამდა, სახეზე კარგი იყო, რამდენჯერაც ჩავიდოდი, სულ მივიცინოდა, თურმე, რა ვიცი, „ზნაკომეცა“ უნდოდა ჩემთან, მე კი არ შეიყოფა არ მეხერხებოდა. რუსის ქალი იყო, სახელად მარუსა ერქვა, მეც თვალში მომივიდა და ერთხელ რომ ჩავიდი, მუშტრის თვალთ შევხედი. მანაც იგრძნო ეს და ერთ დღეს შევხვდით კიდეც ერთმანეთს. წავედით მუშტაიდის ბაღში, მტკვრის პირას. იქ მე დღერთ-გამწყარალმა ბევრი ვეარმიყე და ჩემ ვრემონო საყვარელად გავიხადე, სახელიც გამიწოვეს ლადო — მარგარიტა დავარქვი, მისი სურათიც დავხატე...“

იდეალურ ღმერთკაცთა ამაღლებული, მაგრამ სქემატური, უსიცოცხლო მონუმენტების შექმნას, პირველ რიგში, სწორედ ასეთი უაღრესად ადამიანური, სიცოცხლის სავსე დეტალები ეწინააღმდეგება მსხვერპლად. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი ასეთი დეტალი იქნებოდა გაბნეული გიორგი ლეონიძის მიერ მთელი ოცდარვა წლის მანძილზე ნიკო ფიროსმანზე ნაგროვებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციაში, რომელიც ერთ ჩანთაში თავმოყრილი, 1966 წელს სანაყინეში დარჩა(!) და სამუდამოდ დაიკარგა. გიორგი კაკაბაძესთან ერთად ჩვენც შეგვიძლია დავსვათ საკვებით ლოგიკური კითხვა: რატომ გააჩიანურა პოეტმა ამ დოკუმენტების გამოქვეყნება, რატომ არ დაბეჭდა ოცდარვა წლის მანძილზე ფიროსმანის შესახებ შეგროვებული ახალი და უცნობი ტექსტები? პასუხი ასეთი გახლავთ: იქნებ მართლაც იმიტომ, რომ გამოუქვეყნებელ მასალაში ისეთი ფიროსმანი ჩანდა, რომელიც არ შეესაბამებოდა მხატვრის უკვე კანონიერებულ სახეს?

ამგვარი პასუხი მხოლოდ იმას გააკვირვებს, ვინც არ იცის, სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ რა ფიზიკურად დარაჯობდნენ კანონიერებულ სახეთა უსიცოცხლო სიდიადეს და რა ძალის რისხვისა და წყევლა-კრულვისთვის იყო განთავსებული ნებისმიერი, ვინც წინდაუფრთხად შეეცდებოდა რომელიმე „სახის“ პიედესტალიდან მიწაზე ჩამოყვანას და მის გაცოცხლებას.

მაგრამ მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. რატომ არ შეიძლება არყითა და ორთაჭალეული ლამაზმანების სილამაზით მოვრდილი ფიროსმანის ბუნდოვანი ლანდი, რომელიც მილიონ ვარდს უძღვნის აქტრისა მარგარიტას, დღეს მაინც დავაყენებო მკვიდრად მიწაზე?

სამწუხაროდ, უკვე აღარ შეიძლება. გიორგი კაკაბაძე წერს:

„წინამდებარე ნაშრომში მხატვრის ბიოგრაფიის ყველა ის პირველწყარო გამოყენებული, რომელიც სხვადასხვა ავტორის მიერ აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ნიკო ფიროსმანის მიხედვით ამ ისტორიის ყველაზე იდუმალი და გამომწვევითაა პერსონაჟია, რომლის ბიოგრაფიაშიც მუდამ მოიძებნება ადგილი სიტყვებისთვის: „ალბათ“, „შესაძლებელია“, „სავარაუდოდ...“

ეს იმას ნიშნავს, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს სპეციფიკურად ქართულ პარადოქსთან: კაცზე, რომელსაც მთელ მსოფლი-

ოში ცნობადობით ქართველთაგან, ალბათ, მხოლოდ იოსებ სტალინი უსწრებს, სინამდვილეში აღარაფერი ან თითქმის აღარაფერი ვიცი. მაშ, ერთი საუკუნის წინ თბილისში მცხოვრები მხატვარი თუ ისე თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა, რომ მისი არყით მთვრალი ლანდის გარდა თითქმის აღარაფერი დავგვრჩა, მათ შორის, აღარც საფლავი, განა გასაკვირია, რომ რვა საუკუნის წინანდელ რუსთაველზე სახელის გარდა ბუკვალურად აღარაფერი ვიცი? მწირი, ზოგადი, ბუნდოვანი, დაუდასტურებელი, ხშირად საეჭვო ბიოგრაფიული მონაცემების გარდა ფიროსმანზე აღარაფერია ცნობილი. ძალიან საწყენია, მაგრამ თუკი დღეს მხოლოდ მიახლოებითაა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ უღამდებოდა და უთენდებოდა ამ კაცს ამ ქალაქში, რაღა უნდა ითქვას მის შინაგან, უხილავ სამყაროზე, რომელიც, უეჭველია, განსაკუთრებით ღრმაა, თავისებური და საინტერესო უნდა ყოფილიყო? ეს ყველაფერი სამუდამოდ დაიკარგა. ალბათ, ამიტომ შეეცადა გიორგი კაკაბაძე ნიკო ფიროსმანზე დაწერილ წიგნში იმდროინდელი თბილისი და მისი მკვიდრნი მაინც გაეცოცხლებინა, რათა მათ გვერდითა და მათ შორის ფიროსმანიც წარმოგვედგინა. უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას მან შესანიშნავად გაართვა თავი. გოლოვინის პროსპექტი, ეს ევროპის ნამსხვრევი აზიაში, რამდენიმე ნაბიჯში ძველი, ვინრო, დაკანონიერებული ქუჩები და მოედნები თავისი ავნიანი სახლებით, სარდაფებით, დუქნებით, სამიკიტნობითა და ბაზრებით, რომლებიც დიდი ხანია უკვალოდ გაქრნენ, ის ადგილები იყო, სადაც ოდესღაც „მალიარი ნიკალა“ დადიოდა; წიგნის ფურცლებზე გაცოცხლებული ვაჭრები, ჩიონკიკები, თბილისში სავაჭროდ ჩამოსული გლეხები, მედუქნეები, მიკიტნები, მეარღნეები, უსტაბაშები, დარდიმანდი ყარაჩხელები, დაღლარა კინტოები, მალაქნები, დიდუბელი გერმანელები, მედროგები, მეზოვეები, მეთევზეები და მეთულუხჩეები ის ადამიანები იყვნენ, ვისთანაც ფიროსმანს ჰქონდა ურთიერთობა და ვისგანაც გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდა. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მეტი გზა აღარ არის, დანარჩენი ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ. და ამ საქმეში გიორგი კაკაბაძის დოკუმენტურ რომანს შეუძლია ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიოს.

თუკი დღეს გიორგი კაკაბაძე იძულებულია იქნას, რომ მიუხედავად ყველა მცდელობისა, ნიკო ფიროსმანის მიხედვით ცხოვრებაზე ფიროსმანი წიგნის მაინც ყველაზე იდუმალ და გამოუცნობ პერსონაჟად დარჩა, მაშინ იგივე უნდა გავიმეორებოთ მის შემოქმედებაზეც. უფრო მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნიკო ფიროსმანის შემოქმედება ნამდვილი საიდუმლოა.

როგორც მხატვარი, ის 1912 წელს ევროპული მოდერნისტული კულტურით გატაცებული ძმებმა ილია და კორილე ზდანევიჩებმა და მათმა რუსმა მეგობრებმა აღმოაჩინეს. საუკუნო დიდება და პატივი მათ ამისთვის, მაგრამ აკადემიური მხატვრობისა და მის მესვეურთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში ახალგაზრდა რუსმა (და არა მარტო რუსმა) მხატვრებმა ფიროსმანის ტილოები მოდერნისტული მხატვრობის პრინციპების ხორცშესხმად აღიქვეს და საზოგადოებასაც ასეთი ინტერპრეტაციით წარუდგინეს. ფიროსმანის, როგორც „ცივილიზაციით დაღლილი“ პრიმიტივისტის წარმოდგენას, იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ მართლა შესაძლებელია თუ არა ევროპულ მოდერნიზმთან ფიროსმანის რაიმე რეალურ კავშირზე ლაპარაკი?

გიორგი კაკაბაძე წერს: „საქართველოში არასოდეს ყოფილა უფრო თავისუფალი შემოქმედი, ვიდრე ფიროსმანი. იგი ნებისმიერი მხატვრული სკოლისგან თავისუფალია და არ შეიძლება რომელიმე მიმდინარეობას ეკუთვნოდეს, რადგანაც მხატვრობაში სრულიად

დამოუკიდებელი, საკუთარი მიმდინარეობა აქვს, რომელსაც მე ფიროსმანის უფრო ნოდებდი“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი წიგნში კარგადაა არგუმენტირებული, სავარაუდოდ, ის მაინც არ დაემთხვევა იმ ადამიანთა თვალსაზრისს, რომელთაც უყვართ ხოლმე ისეთ ფანტასმაგორიო თემებზე პათეტიკური და ვრცელი მსჯელობანი, როგორიც გახლავთ „ქართული მოდერნიზმის საგანძური“. ევროპული „იზმების“ ელემენტები ძირითადად რუსული ტრანსკრიფციითა და ერთგვარი ინტელექტუალური მოდის სახით აღწევდა ჩვენში და სამწუხაროდ თუ საბედწილოდ, არავითარი რეალური, ადგილობრივი საფუძველი მათ არ ჰქონიათ. აქ შეიძლება გავიხსენოთ კარლ გუსტავ იუნგის ორი ესე, რომლებიც მან დასავლური მოდერნიზმის ორ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს — ჯოისსა და პიკასოს მიუძღვნა. მოგეხსენებათ, ამ ორმა ადამიანი, ერთმა ლიტერატურაში, მეორემ სახვით ხელოვნებაში, შეძლო ყველაზე შთამბეჭდავად გამოეხატა ის უაღრესად სპეციფიკური, უძძიმესი შინაგანი კრიზისი, რომელიც დასავლური კაცობრიობა XIX და XX საუკუნეების გასაყარზე იმყოფებოდა და რომელიც სინამდვილეში ჯერაც არ დასრულებულა, უბრალოდ, ფორმა შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ფიროსმანზე ბევრი არაფერი ვიცი, მაინც, წესით, თვით ყველაზე მოუთოკავი ფანტაზიის მქონე ადამიანსაც უნდა გაუჭირდეს იმის თქმა, რომ მძიმე სულიერ განცდებზე ის შიზოფრენიული სიმპტომების კომპლექსით რეაგირებდა; იუნგის თქმით, პიკასოსთან ჭარბობს ლურჯი ტონები: ღამეს, მთვარის შუქსა და წყალს ლილისფერი ადევს, ეგვიპტური ქვესკნელის სილუეტები, ის კვდება და მისი სული ცხენს მიღმურ სამყაროში მიაჭენებს. წყვილია, რომელიც შობს პათოლოგიურ მიდრეკილებებს, ლურჯ ბინდუნდში განაბულია და ელოდება. გარემოს ანათებს სიკვდილი, რომელიც გამოიხატება ტუბერკულოზური და სიფილიტიკური მოზარდი მუცლის ოსტატურად შესრულებული ფიგურით... მხატვარს ნილად ხვდა თავი ეგრძნო ქვესკნელში, ის არის ადამიანი, რომელიც განგების ნებით მისდევს სილამაზისა და სიკეთის არა საყოველთაოდ მიღებული იდეალებს, არამედ სიძულვილისა და ბოროტების დემონურად მიმზიდველ ძალას, რომელიც მის თანამედროვე ადამიანს ანტიქრისტიანსა და ლუციფერისკენ იზიდავს და, რაც მსოფლიო დაცემის შთაბეჭდილებას ქმნის. ყოველდღიური ნათესი სამყაროს ჯოჯოხეთის ღრუბლები შთანთქმავს, ერთიანად ხრწნინას მას, დაბოლოს, როგორც ნიადაგი მიწისძვრის დროს, ყველაფერი ქუცმაცდებდა, ხაზები იმტვრევა; ყველაფერს მხოლოდ ნაგლეჯები, ნაგავი და არაორგანული ელემენტების ნამსხვრევები ყრია...

ფიროსმანს საკუთარი ქვესკნელი და სამოთხე ჰქონდა.

არც სულ სხვა ტიპის პრობლემებში გავხეულ, ჯერ კიდევ ღრმად პატრიარქალურ ქართულ საზოგადოებას არ განუცდია ანტიქრისტიანული და ლუციფერის დემონურად მიმზიდველი ძალა და არც ამ საზოგადოების შვილი ნიკო ფიროსმანის ვილი ჩაშვებულა არაცნობიერის კომარულ წყვილადში. არც იცის, ეს რა არის; არც სჭირდება, რადგან მას, როგორც ერთ უჩინარ და უბრალო ქართველ კაცს, ძალიან საოცარი და მოულოდნელია, მაგრამ თავისი საკუთარი დემონი ჰყავს (რომელსაც ცოტა ხნის წინ ბარათაშვილი ჯერ „ხმა იდუმალს“ უწოდებდა, ხოლო სიკვდილის წინ — „ბოროტ სულს“), და, რომელიც უფლებას არ აძლევს ისე „კეთილგონიერულად“ იცხოვროს, როგორც მის გარშემო ცხოვრობენ დანარჩენი უჩინარნი და უბრალონი: შეერთოს ცოლი, გააჩინოს შვილები და მთელი დარჩენილი ცხოვრება მათ გაზრდასა და ლუკმა-პურის შოვნას შესწიროს. სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, დემონმა არ დაანება. გიორგი კაკაბაძის წიგნში კარგად ჩანს ის მომენტი, როცა ფიროსმანი საბოლოოდ დანება დემონს. მაგრამ რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ უფულოს, უზინაოს, ყოველგვარ ელემენტარულ კომფორტსა და მხარდაჭერას მოკლებულს ეხატა ის სამყარო, რომელსაც მარტო თვითონ ხედავდა. მას მართლაც შეეძლო ეთქვა: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლე-

ელი“ და კაცმა, რომელსაც, ალბათ, ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, პარიზსა და ბერლინში ატეხილ დეკადენტურ გოდებაზე; რომელსაც არ მიუღია არავითარი განათლება, „არ გაუფლია არც ერთი სამხატვრო სკოლა; რომლისთვისაც უცნობი იყო ხატვის აკადემიური მეთოდები: პერსპექტივის კანონები, ადამიანის სხეულის პროპორციები, მისი ანატომიური თავისებურებები, დამატებითი ფერების კანონები, საგნების ურთიერთმართება, ჩაღრმავება, პლასტიკა, შუქ-ჩრდილის ეფექტები; კაცმა, რომლისთვისაც ასევე უცნობი იყო ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორნამენტულობა, ფერების სიუხვე და პირობითობა, შეძლო თვითონ შეექმნა თავისი ფერწერა“ (გ. კაკაბაძე).

ნიკო ფიროსმანი მართლაც „აუხსნელი ლეგენდაა“, როგორც მას დიმიტრი შევარდნაძემ უწოდა.

*

არტურ შოპენჰაუერი ერთგან წერს: ნიჭიერ ადამიანს შეუძლია შექმნას ისეთი რამ, რაც აღემატება სხვათა ქმნადობის, მაგრამ არა აღქმის უნარს, ამიტომ ის მალე პოულობს დამფასებლებს. მაგრამ გენიოსის ქმნადობა აღემატება დანარჩენების არა მარტო შექმნის, არამედ აღქმის უნარსაც, ამიტომ მისი არ ესმით. ნიჭიერი კაცი ჰგავს მსროლელს, რომელიც ესვრის და ახვედრებს სხვებისთვის მიუწვდომელ სამიზნეს, ხოლო გენიოსი ახვედრებს ისეთ სამიზნეს, რომელსაც დანარჩენები ვერც კი ხედავენ, ამიტომ ისინი ამის შესახებ მხოლოდ სხვათაგან იგებენ და მაშინაც იძულებულნი არიან ეს ამბავი მხოლოდ სიტყვაზე დაიჯერონ.

კიდევ ერთი, ნოე ძიძიშვილის, მოგონება გიორგი კაკაბაძის წიგნიდან:

„1915 წელს, თვე არ მახსოვს, ჩემთან გიმნაზიაში, პუშკინის ქუჩაზე, ძველი სემინარიის შენობაში, მოვიდნენ ნიკიტინი პუბლიცისტი, ჩემი პირადი ნაცნობი და მას მოყვა უცნობი ნიკო ფიროსმანაშვილი, როგორც ნიჭიერი მხატვარი, მაგრამ ყოველ ცხოვრებას მოკლებული. გარეგნული შეხედულება ნიკოსი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ფეხზე დაგლეჯილი ფეხსაცმელი ეცვა, ტანზე არ იყო ჩაცმული სეზონის მიხედვით. ზამთარი იყო და პალტოც არ ეცვა. ნიკო ხმას არ იღებდა, იჯდა დარცხვენილი. ეს პირველი გაგონება იყო ჩემი ნიკო ფიროსმანაშვილის არსებობის შესახებ. ბოლოს ნიკიტინმა მთხოვა, გამეჩინა მისთვის მატერიალური დახმარება. მე პირადად ნიკიტინს დავუჯერე და გულში გადავწყვიტე ასი მანეთის მიცემა, რომ ტანსაცმელი მაინც შეეძინა. იქვე მივეცი 25 მანეთი და ვსთხოვე მეორე დღეს შემოსულიყო: ფულს კიდევ მოგცემ-თქვა, — უთხარი. დიდი მადლობა მიძღვნა და ორივე გამომეთხოვნენ სრულიად კმაყოფილნი.“

მესამე დღეს მენვია თვითონ ნიკო ფიროსმანაშვილი. მივეცი მას 50 მანეთი. მას ისე გაეხარდა, დამპირდა კარგი სურათის დახატვა და ჩემთვის მოძღვნა. მე მადლობა გადავუხადე სურათისთვის წინათვე და ვსთხოვე თავი არ შეეწუხებინა. ფიროსმანაშვილი დიდის კმაყოფილებით გამომეთხოვა და წავიდა. ეტყობოდა, ასე მცირე დახმარებასაც მოკლებული იყო.

მეორე დღეს ჩემმა მოსამსახურებმა მითხრეს, რომ თქვენი ფული იმ უცნობმა ნიკიტინთან ერთად აქვე დატოვა „პად-

ვალშიო“ და ერთი მეორეს აყენებდა, ისე მთვრალეები იყვნენო. მსახურები ნიკიტინს იცნობდნენ და არა ნიკოს. ძალიან მეწყინა ეს ამბავი და გადავწყვიტე შემდეგ აღარ მიმეცა მათთვის ფული. ამის შემდეგ ნიკო ჩემთან აღარ მოსულა. თითქმის თვეზე მეტი გავიდა.

ერთ დღეს ის მოულოდნელად გაჩნდა ჩემთან და დაპირებული სურათიც ხელში ეჭირა. ნიკომ მომმართა: მიიღეთ დაპირებული სურათი და გადამიშალა მაგიდაზე. სურათი იყო თეთრ ტილოზე ქალაქად გადაკრულზე შესრულებული. სიმაღლით 1,5 მეტრი და განი 1 მეტრი. წარმოადგენდა ნაძვის ტყეს, შუაში პატარა მინდორი, იქვე იდგა დიდი ქვა ძეგლის მზგავსი, ზედ იჯდა ბერი, გრძელ თეთრწვერა ლამაზი მოხუცი. მოშორებით ცხვრის ფარა, შუაში ახალგაზრდა მწყემსი. სურათი იყო ზეთის საღებავებით შედგენილი.

გარეგნულად ვერ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას, მეტადრე ამ სურათებში გაურკვეველი ადამიანისათვის.

ამ სურათის მოტანის შემდეგ მე ჩავარდი უხერხულ მდგომარეობაში. დავაპირე სურათის დაბრუნება, მაგრამ უცებ ეს გადაწყვეტილება შევცვალე. სურათი დავიტოვე და მას მივეცი 125 მანეთი. ნიკოს სახეს უცებ დიდი კმაყოფილება დაეტყო. რამდენჯერმე გაიმეორა თავისი უღრმესი მადლობა და გამომეთხოვა. ამის შემდეგ ის ჩემთან ორ-სამჯერ ყოფილა, მაგრამ მე არ ვიყავი თბილისში და როცა დავბრუნდი ექვსი თვის შემდეგ, მე ის აღარ მინახავს...

ახლა საინტერესოა, რა ბედი ეწია ნიკო ფიროსმანაშვილის სურათს. რა გასაკვირია, რომ მე ვერ დავაფასე ნიკოს სურათი, როცა მის სიცოცხლეში არავის დაუფასებია.

ნიკოს მოძღვნილი სურათი მივიტანე სახლში. ჩემმა ოჯახობამ ვერ გამოიჩინა მხატვრული ნიჭი და უარი გამოცხადა ზალაში სხვა სურათებთან სამასხაროთ მისი ჩამოკიდება. ასე მტრულად შეხედნენ სხვა ნაცნობებიც და მეგობრებიც. ეს სურათი ეგდო უყურადღებოთ კორიდაოში. ბავშვებს კიდევ დაუხიათ. ეს სურათი ჩემმა ოჯახობამ მომიტანა გიმნაზიაში და დასტოვა იქ. ვინ წაიღო ამის შემდეგ გიმნაზიიდან, ან სად არის ახლა ის, არ ვიცი. მე თვითონ ვეძებ და ვნანობ, რომ დავკარგე. საჭიროა მივიღოთ ყოველივე ღონისძიება, რათა ვიპოვოთ...“

როგორც ამბობენ, თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროს დუქნების, სარდაფების, სამიკიტნობისა და რესტორნების კედლებზე ნიკო ფიროსმანაშვილის აუარაცხელი რაოდენობის ტილოები ეკიდა. გადარჩა მხოლოდ ორას ოცი ნახატი...

დაბოლოს, ერთი კითხვა: შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა, ძმები ზდანევიჩები და მათი მეგობრები ევროპული მოდერნიზმით რომ არ ყოფილიყვნენ გატაცებულნი და თბილისის დუქნების კედლებზე ჩამოკიდებული უცნაური ნახატებისთვის ისეთივე მიმტყეველური ღიმილით რომ შეეხედათ, როგორც, ეჭვი არ არის, დუქანში შესული სხვა ინტელიგენტები უყურებდნენ?

და კიდევ ერთი რამ: ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან ას წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ვითომ დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავინახეთ მისი სამიზნე? ვითომ აიხსნა ლეგენდა?

რთულნი ზოგადად კლასიკოსების თარგმნა და, მით უმეტეს, თუ მწერალი თანამედროვე არ არის. წარსული დრო ენაზეც აისახება და მან თარგმანშიც უნდა იჩინოს თავი.

ჯორჯ გორდონ ბაირონის თარგმნა ქართულ ენაზე მე-19 საუკუნეშივე დაიწყო. მან მრავალ მსოფლიოს პოეტზე მოახდინა საკმაოდ დიდი ზეგავლენა და, მათ შორის, ქართველ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

პირველი ცნობები ბაირონის შესახებ საქართველოში ალექსანდრე გრიბოედოვსა და რუს პოეტს ვილგელმ კიუხელბეკერს შემოაქვთ. ისინი კავკასიაში გადმოასახლეს, როგორც ურჩი და არასანდო ახალგაზრდა ინტელიგენტები. შემთხვევითი არ არის, რომ ბაირონზე პირველი ცნობების შემომტანი სწორედ გრიბოედოვია. პოემა „ვაი ჭკუისაგან“ მინიმოდელია იმისა, რაც ბაირონმა თავის სამშობლოში განიცადა. გრიბოედოვი არის პირველი გზამკვლევი ბაირონისა საქართველოში...

თამარ შარაბიძე

მარად თანამედროვე


როგორც ჩანს, მისი სიმამრი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძეც, სწორედ მისი წყალობით მოექცა ბაირონის ზეგავლენის ქვეშ. ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგია“ სავარაუდოდ ბაირონის „ებრაული მელიოდების“ შთაგონებით არის შექმნილი. თავიანთ ნაწარმოებებში ბაირონს მოიხსენიებდნენ მე-19 საუკუნის ქართველი მწერლები: გიორგი ერისთავი, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანები, ილია ჭავჭავაძე და სხვები. მის განსაკუთრებულ გავლენას ნიკოლოზ ბარათაშვილი განიცდიდა, რაზეც არაერთხელ აღუნიშნავთ სამეცნიერო ლიტერატურაში.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდგომ საქართველოში 8 წლის განმავლობაში აკრძალული ყოფილა ბაირონის შემოქმედების უბრალოდ კაცის, მაგრამ მწერლის იდეები სალონიდან სალონი გადართობდა და პოპულარული ხდებოდა. სწორედ ამ ფაქტების შედეგია, რომ ბაირონის საქართველოში კარგად იცნობენ და თარგმნიან მის შემოქმედებას. მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი, მწერალი ილია ჭავჭავაძე მდინარე თერგს — მოძრაობის სიმბოლოს — სწორედ ბაირონს ადარებს, ხოლო მყინვარს — ამაღლებულსა და შორეულს — გოეთეს. მე-19 საუკუნეშივე ითარგმნა იოსებ ბაქრაძის მიერ ბაირონის „დონ ჟუანი“ (წარწერილი დაიბეჭდა 1872 წლის „მნათობის“ მე-8 და მე-9 ნომრებში), რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში და ნათარგმნი ობიექტურადაც შეფასდა. შემფასებელი იყო ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. მთარგმნელთათვის უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ნიკო ნიკოლაძის აზრი, რომ მათ ძალის მოსინჯვა დიდი მწერლის ცნობილი ნაწარმოებით არ უნდა დაიწყო, ასევე კარგად უნდა იცოდნენ ის ენა, რომლიდანაც თარგმნიან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბაირონის პოეზიას თარგმნიდნენ დედნიდანაც და ასევე რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანებიდანაც, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი ნაკლი გააჩნდა და წარმოადგენდა თარგმანის თარგმანს. მასში დაკარგული იყო ის ნიუანსები, რომლის გადმოღება რუსმა მთარგმნელმა ვერ შეძლო და აქედან გამომდინარე, ქართულ თარგმანშიც თავისთავად ვერ აისახა.

ნიკო ნიკოლაძე სტატიაში „ჩვენი მწერლობა“ ერთმანეთს ადარებს „დონ ჟუანის“ პირველივე სტროფის ინგლისურ ტექსტს და „მნათობში“ დაბეჭდილი მის ქართულენოვან თარგმანს, რომელიც სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი, რის გამოც დაკარგულია დედნის აზრი, მასში გაჟღერებული ირონია და კილო.

„ან რა უნდა გამოსულიყო ამ თარგმნიდან? — კითხვობს ნიკოლაძე, — ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის „დონ-ჟუანი“? ის სამართებელსავით მჭრელი ირონია, ის მდულარე გრძობა და ბრაზიანი სიძულვილი, რომლითაც საესეა ეს პოემა, დაუჭმუჭნელათ აბა როგორ ჩაიკეტებოდა „მნათობის“ თავში?“ (თარგმანი საამო საკით-



ხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართულ ქალებისაგან, ნ. 1, 1872 წ.).

უთუოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ზემოაღნიშნული დამოკიდებულება თარგმანისადმი — „დიდს ნუ შეეჭიდები, როცა ამის ძალა არ გაგაჩნია“ — დაიძლია პროფესიონალთა მიერ შესრულებული ბაირონის „დონ-ჟუანის“ ახალი თარგმანი. 2016 წელს ინგლისელი გენიოსის შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი თარგმანი შეემატა ქართულ ლიტერატურას. ეს არის პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ პროზაულად თარგმნილი „დონ-ჟუანი“.

მსოფლიო რანგის ეპოსთაგან აქამდე არა ლექსად, არამედ პროზაულ ვერსიად, ორად ორი ნიმუში იყო თარგმნილი ქართულად: უცნობი მთარგმნელის მიერ გადმოტანილი ფაზრ ედ-დენ გორგანის „ვისრამიანი“ და ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხეიძის მიერ თარგმნილი ჰომეროსის „ოდისეა“. და აი, ამ თარგმანებს პაატა და როსტომ ჩხეიძეების „დონ ჟუანიც“ შეემატა.

თავის დროზე ამ ლიტერატორებმა ლექსად გადმოიღეს ანგლოსაქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“ და არც „დონ ჟუანის“ ლექსად თარგმნა უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ შეგნებულად ამჯობინეს ქართული „ვისრამიანითა“ და „ოდისეით“ გაკვალული, პროზაული, გზა. მიზეზი იყო შემდეგი: ლორდ ბაირონის ეს თხზულება მათ თანამედროვე რომანად მიაჩნიათ.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ თარგმანის შესახებ არსებობს ორი მოსაზრება. კრიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ „ჩვენს დროში თავად ბაირონიც კი პროზად ამჯობინებდა მის შექმნასო; ნაწილი მიიჩნევს, რომ მიზანშეუწონელია პოეტური ქმნილების პროზაულად თარგმნა, ის ამახინჯებს ნაწარმოების ალქმას, რაც ლექსის ფორმაში, რიტმულობასა და სიმსუბუქეში მჭლავნდება.

ჩვენ, პირიქით, მივესალმებით ამ თარგმანს, რადგან ვთვლით, რომ თანამედროვე მკითხველი (არა გვაქვს საუბარი ლიტერატორზე) ძნელად აღიქვამს დიდტანიან ნაწარმოებს, ლექსად დაწერილს; მთარგმნელსაც უჭირს ზუსტად გადმოიტანოს ის მოქმედება თუ განცდები, რომელთა გარითმვაზე ცალკე უნდა იფიქროს; თანაც მთელი დიდტანიანი ნაწარმოები ერთ ფორმაში ჩასვას.

თავის დროზე მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძე აპირებდა „დონ ჟუანის“ თეთრ ლექსად თარგმნას და ნიმუშად გადმოიღო „მიძღვნა“, რომელიც შემდგომ ჩართო ბიოგრაფიულ რომანში „იტალიური დოკუმენტები ბაირონისა“. მწერალი მიხვდა, რომ ეპოსის გადმოღება უდიდეს დროსა და ენერგიას მოითხოვდა მისგან და, რაც მთავარია, ინდივიდუალურ შემოქმედებაზე უარის თქმას, რასაც საბოლოოდ ვერ შეეღია და ისევ საკუთარი რომანის დაწერა ამჯობინა; სამაგიეროდ სათარგმნელად შეავლიანა სხვები, რომლებიც მისმა ბიოგრაფიულმა რომანმა ბაირონის სამყაროში შეიყვანა და „დონ ჟუანის“ მხატვრული სიძლიერეც განაცდევინა.



თამარ შარაბიძე

მარად თანამედროვე

დასასრული

ცნობილია, რომ ლორდ ბაირონი ამ ეპოსს ჰომეროსის კვლობზე ქმნიდა, ჩაფიქრებული ჰქონდა მისი 24 ქებად დაწერა, თუმცა ეს ვერ მოახერხა ნაადრევად აღსასრულის გამო და მე-17 სიმღერამდე შეძლო ნაწარმოების დაწერა. დონ ჟუანის მღელვარე თავგადასავალი მეტად მძაფრ ეპიზოდში წყდება, მაგრამ დაუმთავრებლობა ვერაფერს აკლებს ამ დიდებულ ნაწარმოებს.

ვირჯინია ვულფი, მოდერნისტული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავის დღიურებში „დონ ჟუანს“ მოიხსენიებს ერთ-ერთ ყველაზე საკითხავ პოემად. მკვლევარებს უჭირთ ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრა. ზოგს ეპოსად მიაჩნია, ზოგს — სატირულ ეპოსად და ზოგსაც — ანტიეპოსად. მთარგმნელებისთვის განსაკუთრებით საგულბისმო ყოფილა ენ მელორის მიერ მისი ეპიკურ რომანად, ხოლო ელიზაბეთ ბოილის მიერ გალექსილ პიკარესკულ რომანად მოხსენიება. ამ გარემოებამ მთარგმნელები ნაწარმოების პროზად გადმოღების შესაძლებლობაში დაარწმუნა. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე პუშკინის „ევგენი ონეგინს“, რომელიც უშუალოდ ლორდ ბაირონის ამ ეპოსის გავლენით შეიქმნა (ისევე როგორც მისი დრამატული პოემა „დონ ჟუანი ანუ ქვის სტუმარი“), ამგვარი მინანქრი ახლავს: „რომანი ლექსად“.


ჯორჯ გორდონ ბაირონი ძალზე დიდი სახელია მსოფლიო ლიტერატურაში, განსაკუთრებით მოდერნულ ეპოქასთან მიმართებით, როდესაც გლობალური კულტურული პროცესები და მათი მიმოცვლა ევროპულ ქვეყნებს შორის მეტად აქტუალურ სახეს იღებს. შესაბამისად ეს თხზულება არ აღიქმება როგორც მხოლოდ სათავგადასავლო ტექსტი: დონ ჟუანის თავს გადამხდარი ამბები ბაირონის მიერ კაცობრიობის იმ ამბიციის დეკლარირებაა, უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში რომ იჩენს თავს. როგორც ცნობილია, ბაირონი თვითონაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმდროინდელ მოვლენებში. იგი არა მხოლოდ კულტურული, არამედ პოლიტიკური ფიგურაც გახლდათ. მისი პოლიტიკური საქმიანობა, საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართვა, დაუსრულებელი მოგზაურობები მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ ბაირონი იყო დიპლომატიც, ევროპის ყველაზე გამორჩეული ფიგურა, რომელსაც მსოფლმხედველობრივი ცვლილებები შეჰქონდა ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ცნობიერებაში.

ინტერვიუში როსტომ ჩხეიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლორდ ბაირონი თავისი „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობითა“ და „დონ ჟუანით“ XX საუკუნის მოდერნისტულ პროზასაც განსაზღვრავს, არათუ პოეზიას; ტიპოლოგიური მიმართებების დაძვინა შესაძლებელია მასსა და ჯეიმზ ჯოისს შორის. არც ისაა შემთხვევითი, რომ „ულისეც“ ჰომეროსის გავლენით შეიქმნა და თავდაპირველად ირლანდიელ მწერალსაც რომანის სტრუქტურა 24 თავად ჰქონდა განზრახული.

ქართულად თარგმნილი „დონ ჟუანი“ სასიამოვნო წასაკითხია, პირდაპირ მიუყვება დედნის ტექსტს და ცდილობს არ გადაუხვიოს მისგან არც ერთ დეტალში. ერთი სიტყვით, წიგნი არ წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს. მასში კარგად გამოიკვეთა ბაირონის მთავარი სტილური თავისებურებები: ორმაგი დრო — პერსონაჟისა და ავტორის, მწერლის მძაფრი ირონია თითქმის ყველა მოვლენისა და გრძობისადმი, საკუთარი თავისადმიც კი, რომლის წყალობითაც ბაირონი თავისუფლდება ყოველგვარი ლიტერატურული ჩარჩოებისაგან; ის თვით რომანტიკულ გრძობას დასცინის პოემა „დონ ჟუანში“ და უტილიტარულ მოთხოვნისაგან დაჰყავს. რომანტიკული და რეალისტური ტენდენციების შერწყმა — სინამდვილის რეალისტური ასახვა და მასთან ერთად მოვლენათა ზემოქმედებით მიღებული განცდების აღწერა დამახასიათებელია ბაირონის შემოქმედებისათვის.

გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით, ინგლისურ რომანტიზმში დიდია სწრაფვა რეალიზმისაკენ. ეს პროცესი ლიტერატურაში მე-18 საუკუნიდან ხდება თვალსაჩინო. პოეზიის მარადიული თემა ინგლისურ რომანტიზმშიც ადამიანის სულის ცხოვრებაა, რომელიც ყოველდღიურობაში, ყოფითობაში ვლინდება. მწერლის ამოცანაა, მკითხველის აზრსა და გრძობაზე სწორი ზემოქმედებით აამოქმედოს იგი. ალბათ ამიტომაც ინგლისური რომანტიზმის ყველაზე დიდებული წარმომადგენლის, ბაირონის, შემოქმედებაში ძალზე ძლიერია რეალისტური ტენდენციები. პოეტი იმდენად დეტალურად გამოხატავს გარემომცველ სამყაროს, რომ ერთი შეხედვით რეალისტურადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ არა ასახვის თავისებურებაში გამომჟღავნებული უაღრესად მოჭარბებული სუბიექტივიზმი. ბაირონის ეპიკურ ნაწარმოებში ისე უხვადაა შეტანილი ავტობიოგრაფიული მასალა, რომ მისი „დონ ჟუანი“ ავტობიოგრაფიულ რომანადაც კი წარმოგვიდგება.

ბაირონს მხოლოდ გარე სამყარო არ აინტერესებს, ის დიდ ყურადღებას უთმობს



ამ სამყაროს ზემოქმედებას მასზე, თავის სუბიექტურ შეფასებას და ირონიას, რომელიც გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პოეტს და ათავისუფლებს საზოგადოებრივი მორალისაგან. სწორედ ეს თავისუფლებაა თვალსაჩინო ქართულ თარგმანშიც, რაც პირველ რიგში რეალიზმისაკენ მწერლის გადახრაში მჟღავნდება და რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება პოემებში. ბაირონი ზუსტად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ამა თუ იმ მოვლენის ზემოქმედებით მიღებული განცდების ირონიულ აღწერას.

ალსანიშნავია, რომ პოემაში „დონ ჟუანი“ გადმოცემულია არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟის ისტორია, არამედ უპირველესად მწერლისდროინდელი სინამდვილე (თუნდაც, ბაირონის მიმართებები ისტორიული და მიმდინარე მოვლენებისადმი, შეხედულებები თანამედროვე მწერლებსა და მოღვაწეებზე, რომელთა შორის არიან: უილიამ ბლეიკი, თომას მური, სემუელ ტელიორ კოლრიჯი, უილიამ უორდსუორთი, უოლტერ სკოტი, თომას კემპბელი, სემუელ როჯერსი, ჯორჯ ქრაბი და სხვები; მათთან ურთიერთობის ნიუანსები და ა.შ.).

ორი დრო თანაბარ კალაპოტში მიედინება, თუმცა სიუჟეტის განვითარება მხოლოდ ერთ დროში ხდება. ორ დროში ლავირება, პერსონაჟისა და ავტორის დროისა და გარემოს გაერთიანება ბაირონის პოემათა სტილის თავისებურებაა, რაც თარგმანშიც ზემდინენითა და სიმკვეთრით აისახება.

ბაირონის მიერ პოემათა დასათაურება კი, თუნდაც, „დონ ჟუანი“, „მანფრედი“, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“, უფრო ხშირად მხოლოდ პერსონაჟის დროზე მიგვანიშნებს, რასაც ვერ ვიტყვით პოემაზე „კაენი“. თანამედროვეობის ამგვარი წინ წამოწევა სუბიექტივიზმის ერთ-ერთი ნიშანია, თუმცა თითოეული რომანტიკოსი სუბიექტივიზმს სხვაგვარადაც ამჟღავნებს: როგორც ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალიზმის წინ წამოწევით, ასევე ავტორის სუბიექტური შეხედულებებით.

შეიძლება ასეც ვთქვათ, „დონ ჟუანში“ მოჩანს ბაირონის შემოქმედებითი მეთოდის განვითარება რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ და ეს ტენდენცია თარგმანშიც გამოკვეთილია.

როგორც ვიცით, ბაირონის პოეზიაში პოეტის სულიერი მდგომარეობა მრავალფეროვნად წარმოჩნდება: მძიმე ნალველი განუშორებელია სიმშვიდედაკარგული სულისთვის, რომელიც მუდმივად მიქრის და ადამიანი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავს („უკვე გავრბივარ, ეს ნაპირიც დავტოვო ბარემ“ /ბაირონი); ბაირონის პოეზიაში ფიგურირებს სულიერი კონცეფტები — ტრფობის ტაძარი, რწმენის

კოშკი, ხომალდი, „მთვარე ლურჯი შუქის მოდებით“. ბაირონის სული არ ნებდება ქარსა და ნამქერს და ისრის სისწრაფით მიქრის ნებისმიერი სიძნელის გადასალახად. ხანდახან პოეტის სული ასაფლავსკენ მიექანება იმკვეციურის შესამცენებლად. ბაირონისთვის ლურჯი პოეტურის გამოხატულებაა: ენსლის მთის ლურჯ მწვერვალს ახსოვთ პოეტი ბაირონი, რომელსაც ობლად ხეტილი უყვარდა. ბაირონის მთვარე ლურჯ შუქში ჰფენს გარემოს და „ქარს სძინავს ლურჯ საქანელაზე“.

ზემოთჩამოთვლილი კონცეფტები ქმნის პოეტის იდეოლოგიას, პოეტურ აზროვნებას, რაც „დონ ჟუანის“ პროზაულ თარგმანშიც თვალსაჩინოა. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კონცეფტი მის შემოქმედებაში, ჩვენი აზრით, მარადიული სწრაფვაა, მუდმივი ლტოლვა („სირბილი“) მიუღწევლისაკენ. ბაირონის მთელ შემოქმედებაში თვალსაჩინოა სწრაფვისა და მოძრაობის შინაგანი რიტმი: „უკვე გავრბივარ, ეს ნაპირიც დავტოვო ბარემ“ (ეს სტრიქონები მოხმობილია ბაირონის ლირიკის კრებულიდან, დონა კოლხმა და დავით გაბუნიაშვილმა თარგმნეს).

ამიტომ „დონ ჟუანზე“ მუშაობისას მთარგმნელებს — პაატა და როსტომ ჩხეიძეებს — საკმაოდ დიდხანს მოუწიათ ფიქრი თხრობის ყველაზე შესაფერისი რიტმის მისაგნება; ამისათვის მათ სხვადასხვა სტილის მოსინჯვა მოუხდათ.

ბაირონის „დონ ჟუანის“ ქართულ თარგმანს ერთვის მთარგმნელთა წინასიტყვაობა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი მოექმნათ ზუსტი შესატყვისი ფორმა ამ რთულ პოეტურ ქმნილებებისათვის. მათ ნამუშევარს შეიძლება პოეტური პროზაც ვუნდოთ, რომელსაც, მართალია, რითმა არა აქვს, მაგრამ ინარჩუნებს თავისებურ რიტმს. ეს რიტმი ენობრივ მასალასთან ერთად განსაზღვრავს კიდევ თარგმანის პოეტურ სტრუქტურას. რიტმით, რეფრენებით, ალიტერაციებით, ლექსიკური თავისებურებებითაც ტექსტი სწორედ პოეტური თხზულების თავისებებს ავლენს.

მთარგმნელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი მიზანს — შენარჩუნებულიყო კავშირი რომანტიკულ ეპოქასთან, მე-19 საუკუნეში რომანტიკოსთა მიერ დამკვიდრებულ ლექსიკურ ტრადიციებთან და ამავე დროს ეს ყველაფერი თანამედროვე ელფერიითაც აღბეჭდილიყო. არქაული ენისა და სკაბრეზული პასაჟების მონაცვლეობით მათ შეძლეს ორი საუკუნის წინანდელი ეპოქის ფაქტებით გაჯერებული ტექსტი მარად თანამედროვე ყოფილიყო. ტექსტისადმი ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, განაპირობებს წიგნის წარმატებასაც და თარგმანის პოპულარობასაც.

შემდეგი ნომერი გამოვა 5 ივნისს



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველო ბანათეაზის, მაცნეარაგის, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
 საქართველოს მხარაალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 772346 794004